# ლელო

№ 026 (12 096)

2 თებერვალი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ნედ ზელიჩმა დინამოსთან კონტრაქტი გააფორმა** 2

მიმოხილვა

**ვინ სად დაბინავდა**

ქართველი ლეგიონერები სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ 4

**მარჩელო ლიპიმ აღიარა**

მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელს ჩელსი იწვევს 6

ქრონიკა

**როგორ დანიშნეს ოტმარ ჰიტცფელდი**



ყველაფერი 42 წუთში გადაწყდა 7


ჩვენი პარტნიორია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK


ხვალ, 15:30. რუმინეთი-საქართველო. ანთიმოზ ივერიელის თასისთვის

# ჯერ რუმინეთი, მერე... HENRY BRONCAN




## მორაგბეთა ნაკრებს ფრანგი კონსულტანტი ჰყავს

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა გუშინ, რუმინეთ-საქართველოს მატჩამდე ორი დღით ადრე, კაფე "მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენცია გამართეს. ბევრი ინფორმაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკრების მენეჯერის **ვასილ აბაშიძის** განცხადება იყო: - **თითქმის დასრულებულია მოლაპარაკება ილია ზედგინიძის კლუბის, "ოშის" მთავარ მწვრთნელ ანრი ბრონკანთან, რომელიც თანახმაა, საქართველოს ნაკრების კონსულტანტი იყოს. ის ამ თანამდებობაზე მსოფლიო თასის ბოლომდე იმუშავებს, საქმიანობას კი ერთა თასზე, რუსეთის ნაკრებთან მატჩისთვის სამზადისისას შეუდგება. რუსებთან შეხვედრა 24 მარტს თბილისში გაიმართება.**

შეგახსენებთ, რომ ანრი ბრონკანის შესაძლო დანიშვნის შესახებ პირველად "ლელოში" დაიწერა 27 იანვარს, რუმინულ და ფრანგულ სარაგბო ვებგვერდებზე დაყრდნობით. მაშინ ინფორმაცია დაგვიდასტურა რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტმა **კოკა ლაზიშვილმაც**, ოღონდ დააზუსტა, რომ ბრონკანის გარდა კიდევ ორი კანდიდატურა განიხილებოდა, მათ შორის - "კლერმონის" მწვრთნელ **ვერნონ კოტერისა.**


მე-11 გვერდზე




### ანრი ბრონკანი

დაიბადა 1944 წლის 26 თებერვალს, საფრანგეთის პატარა ქალაქ მირამონში. სიმაღლე: 168 სმ, წონა: 67 კგ

1964 წელს ჩაირიცხა გუნდ "მირანდში", სადაც ოთხი წელი დაყო. თამაშობდა 9 ნომრად. 1968-1969 წლებში "მონტობანის" ღირსებას იცავდა. 1969 წლიდან 1979 წლამდე "ლომბეში" თამაშობდა. მისი ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ ამ კლუბთანაა დაკავშირებული. ანრი ბრონკანმა სამწვრთნელო მოღვაწეობა სწორედ "ლომბეში" დაიწყო 1980 წელს და ამ გუნდში 18 წელი დაყო.

1998 წლიდან ბრონკანი გასკონური კლუბის, "ოშის" მთავარი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით 2004 წელს "ოშმა" ელიტურ, პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა. 2005 წელს კი ევროთასების გათამაშებაში რანგით მესამე ჯილდო, "პარკერ პენის" სინი მოიპოვა.

"ოში" ამჯერად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის ლიდერია და ელიტაში დასაბრუნებლად წესით ხელი ვერაფერმა უნდა შეუშალოს.

"ოშში" ამჟამად საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ილია ზედგინიძე** თამაშობს. ბრონკანის ხელმძღვანელობით ამ გუნდში უთამაშიათ **მამუკა მაგრაქველიძესა** და **ბესიკ ხამაშურიძეს.**

აღსანიშნავია რომ, ანრი ბრონკანს კონსულტანტობას იაპონიის ნაკრებშიც სთავაზობდნენ. ის თითქმის თანახმა იყო, თუმცა იაპონიის ნაკრებიდან ფრანგი სპეციალისტის **ჟან-პიერ ელისალდის** წამოსვლის შემდეგ გადაიფიქრა.

ანრი ბრონკანი პროფესორია. მისი სპეციალობებია ისტორია და გეოგრაფია.

მეტსახელი - "ჯადოქარი".

მეორე წრის წინ. დინამო

# ზელიჩი უკვე დინამოელია

## კიდევ ერთი ფორვარდი: ილია სპასოევიჩი


ნედ ზელიჩი

ᲘᲛᲓᲔᲜᲘ კარგი ითქვა **ნედ ზელიჩზე უგრინის** მხრიდან, რომ მისი გადინამოელება ეჭვს არ იწვევდა. და აი გუშინ მხარეებმა თანამშრომლობა დოკუმენტურად დაადასტურეს – ზელიჩმა თბილისის "დინამოსთან" წლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

და კიდევ ერთი სიახლე: "დინამოში" 19 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი **ილია სპასოევიჩი** ისინჯება. *"კლუბის ხელმძღვანელობა კვლავაც ზრუნავს შემადგენლობის გაძლიერებაზე. სწორედ ამისი დასტურია ჩვენს გუნდში 19 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდის ილია სპასოევიჩის გამოჩენა. ის ნოვი სადის "ვოევოდინაში", "ჟევარევოსა" ჟევარევოს ცსკა-ში ასპარეზობდა. ასევე ნათამაშები აქვს სერბეთის ჭაბუკთა ნაკრებში. საკლუბო კარიერის ბოლოს 15 მატჩში 7 გოლი გაიტანა. სპასოევიჩი ანთალიურ შეკრებას "დინამოსთან" ერთად გაივლის და გუნდში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება"*, - გვითხრა "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ.**

დაბოლოს, დღეს "დინამო" თურქეთში მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. უგრინის გუნდი ლვოვის "კარპატის" ძირითად გუნდს დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**


ლევან მელქაძე

სავარაუდო ტრანსფერი

# ოთხი გოლი... პირველ ვარჯიშზე

## ბობოხიძე ზარიიდან წამოვიდა

**ლევან მელქაძეს** ერთწლიანმა უთამაშებლობამ ისე მოანატრა ფეხბურთი, უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდში პირველივე ვარჯიშის დროს მწვრთნელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

როგორც შევიტყვეთ, 28 წლის ფორვარდმა ლუგანსკის "ზარიაში" პირველი ვარჯიში ჩაატარა და ორმხრივ თამაშში ერთბაშად ოთხი ბურთი გაიტანა. "ზარიას" მწვრთნელი **ალექსანდრ კოსევიჩი** მისი თამაშით კმაყოფილი დარჩა. გუშინ დილით კიდევ ერთი ვარჯიში და თამაში ჩატარდა და ქართველმა ფორვარდმა თავი ისევ გამოიჩინა, ამჯერად მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა.

ლევან მელქაძის ჩარიცხვა ჯერ არ გადაწყვეტილა. მწვრთნელმა კიდევ ორი ფორვარდი მიიწვია გასინჯვაზე.

სხვათაშორის, ლევანი თურქეთში გამგზავრებამდე არჩევანს აკეთებდა ოთხ უკრაინულ კლუბს შორის - მისადმი ინტერესი კიევის "არსენალმა", ხარკოვის "მეტალისტმა" და სიმფეროპოლის "ტავრიამაც" გამოამჟღავნეს.

სამწუხაროდ, ლუგანსკში ქართველთა დუეტი ველარ შედგება – 31 იანვარს გუნდს თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე** დაემშვიდობა.

არაა გამორიცხული, უახლოეს დღეებში, ლუგანსკის "ზარია" და "ზესტაფონი" ერთმანეთს საკონტროლო მატჩში დაუპირისპირდნენ და ლევანს ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა მოუხდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# მირზა ბჟალავა აუსტრიაში გადავიდა

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲝ ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე კიდევ ერთი ქართული ტრანსფერი განხორციელდა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **მირზა ბჟალავა** ავსტრიულ "აუსტრია ლუშტენაუში" გადავიდა. ბჟალავა "ზესტაფონის" წევრი იყო, ბოლო ერთი კვირა ის "აუსტრიაში" სინჯებზე იყო, სადაც ორ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. ქართველმა ნახევარმცველმა განსაკუთრებით კარგად "ვადუცთან" 1:1 დასრულებულ მატჩში ითამაშა. მისი დატოვებაც მაშინ გადაწყდა. მირზა "აუსტრიის" მეხუთე ახალწვეული გახდა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში. ქართველი ნახევარმცველი ამ დღეებში 19 წლის გახდება.

"აუსტრია" ერსტე ლიგაში თამაშობს, სადაც ამჟამად მეექვსე ადგილზეა 32 ქულით. კლუბს **ჰაინც ფოხსბიხლერი** წვრთნის. ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთი კლუბი გადადის, თუმცა "ლასკი" იმდენად წინაა (47 ქულა) სხვებზე, რომ გვეეჭვება საგზური ვინმეს დაუთმოს. ერსტე ლიგაში ორი ქართველი ითამაშებს, აუტსაიდერ "ჰარტბერგში" ორიოდ დღის წინ **გივი ჩხეტიანი** ჩაირიცხა, რომელიც პირველ წრეში ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა. სეზონი ერსტე ლიგაში მარტში განახლდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მირზა ბჟალავა

ოლიმპი

# სილაგაძე რუსთავში გამოჩნდა

**ოლიმპი 2:0 მოყვარულები**

ოლიმპი: **მერლანი - ბერუაშვილი, მახვილაძე, სილაგაძე, ჭეიშვილი, ვ. კვარაცხელია, ჩხარტიშვილი, ძამსაშვილი, ხუბუა - რეხვიაშვილი, სებისკვერაძე (ვაჩიბერაძე).**

"ოლიმპმა" მოყვარულები **ძამსაშვილისა** და **სეფისკვერაძის** გოლებით დაამარცხა.

რუსთაველთა რიგებში გამოჩნდა **ლევან სილაგაძეც**, მაგრამ **რეზო ძოძუაშვილის** თქმით, ჯერ მისი საკითხი არ გადაწყვეტილა.

გადაწყდა, რომ რუსთაველები თურქეთში აღარ მოემზადებიან. მომზადების მეორე ეტაპს გუნდი 10 თებერვლიდან ისევ თბილისში დაიწყებს.

**დათო მეფარიშვილი**

ინტერვიუ გივი ჩხეტიანთან

# ჰარტბერგი ტრამპლინად გამომადგება

**ახლახან ქართულ ლეგიონს კიდევ ერთი წარმომადგენელი შეემატა. გივი ჩხეტიანმა რამდენიმე დღის წინ ავსტრიის პირველი ლიგის ბოლოადგილოსან „ჰატბერგთან" ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი ამჟამად მშობლიურ ქუთაისშია და ავსტრიის ვიზას ელოდება. შემთხვევით ვისარგებლეთ და წასვლამდე გავესაუბრეთ.**

- „ᲰᲐᲠᲢᲑᲔᲠᲒᲘᲡ" ვარიანტი ავსტრიაში მოღვაწე ქართველმა მწვრთნელმა სერგო ჭელიძემ შემომთავაზა და ბელარუს მენეჯერ ალექსანდრ მეტრიცკის დამაკავშირა. გუნდთან მოლაპარაკებებს სწორედ ეს უკანასკნელი აწარმოებდა. ავსტრიაში ჩავედი, საკონტროლო მატჩში ვითამაშე და ამის შემდეგ კონტრაქტიც გავაფორმე.

**- რამდენ მატჩში მიიღე მონაწილეობა?**

- ავსტრიაში ახალი წლის დღეებში უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ უკრაინაში, ავსტრიის საელჩოში ძალიან გამაწვალეს. ბოლოს, „ჰატრბერგის" პრეზიდენტმა კურტ რიდლიმ დარეკა კონსულთან და ვიზა მხოლოდ ამის შემდეგ მომცეს. სამი დღის განმავლობაში ვივარჯიშე და „ვოკლაბრიუკთან" ამხანაგურ მატჩში მივიღე მონაწილეობა. პირველ ტაიმში თავდამსხმელად გამამწესეს, მეორე ნახევარში ადგილი შემიცვალეს და მარჯვენა ნახევარმცველად გადამიყვანეს. პირველი 15 წუთი გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ თამაშს ალღო ავუღე და კარგად ავთამაშდი. მატჩი 4:1 მოვიგეთ. მესამე გოლი მე გავიტანე, მანამდე კი საგოლე გადაცემაც გავაკეთე.

**- ალბათ, გუნდის ხელმძღვანელობა შენით კმაყოფილი დარჩა. თამაშის შემდეგ მწრთნელმა რა გითხრა?**

- გუნდს მადლობა გადაუხადა. პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე რომ კმაყოფილი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტს არ გამიფორმებდნენ.

გუნდში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ისინჯებოდა და პირველი ტაიმის შემდეგ, ჩემ გარდა მწვრთნელმა ყველა შეცვალა. მეორე ნახევარში საბრძოლო შემადგენლობა დააყენა და მეც მათ რიგებში ვიყავი. მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ანდრეი ჰქვია, გვარი არ მახსოვს, რუსული იცის და ერთმანეთს ვესაუბრებით. იქ ყოფნისას სასტუმროში მანქანით მაკითხავდა და ვარჯიშებზე დავყავდი. ძალიან კარგი პიროვნებაა.

ბევრი ლეგიონერი გვყავს, ოთხი ფეხბურთელი ახლა დაგვიმატეს და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა იოლი არ იქნება, მაგრამ ავსტრიაში სკამის სახეხად ნამდვილად არ მივდივარ. იქ ისეთი პირობები დამხვდა, რომ ფეხბურთის გარდა ფიქრი არაფერზე მომაწევს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი.

**- ჩანს, რომ პირობებით კმაყოფილი ხარ.**

- სავარჯიში პირობებზე აღარ მაქვს საუბარი, ყველაფერი მაღალ დონეზეა მოწესრიგებული. ავსტრიაში რომ ჩავალ ბინას და მანქანას მომცემენ.

როგორც ჩანს, შეძლებული გუნდია. ქალაქში რაც კი სერიოზული ფირმაა „ჰარტბერგს" ყველა აფინანსებს. მათ შორის ხორცის მწარმოებელი ფირმა „შინხოფერი". მთავარი სპონსორი კი „შპარკასე ბანკია".

**- ასეთი შეძლებული გუნდი პირველი ლიგის ბოლო ადგილზე რატომ უნდა იყოს?**

-„ჰარტბერგი" პირველ ლიგაში ახალი გადმოსულია და პირველ წრეში ამიტომ გაუჭირდა. ახლა გუნდის გაძლიერება მიმდინარეობს და ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა მოვახერხოთ. ჩემპიონატი მარტში განახლდება. საწყის ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერს „პარნდორფს" ვხვდებით და თუ გავიმარჯვეთ ბოლო ადგილს თავს დავაღწევთ.

**- გუნდს როდის შეუერთდები?**

- შემეძლო გერმანიაში დავრჩენილიყავი, მაგრამ „ამერთან" შეთანხმების გარეშე ეს არ გავაკეთე. რამდენიმე დღეში ვიზა ჩამომივა და გავემგზავრები. „ჰარტბერგი" შეკრებეზე ანთალიაში მიდის და იმ დროს გუნდში უნდა ვიყო. ვფიქრობ, ავსტრიის პირველი ლიგა კარგ ტრაპლინად გამოდგება და იქედან უკეთეს გუნდში შევძლებ გადასვლას. აქვე აუცილებლად უნდა ვახსენო ჩემი პირველი მწვრთნელი მამუკა ჯავახაძე, რომელმაც ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი დაიდო და შემდეგშიც არაერთხელ დამეხმარა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

21-წლამდელთა ნაკრები

# გოცირიძის ნაცვლად ელბაქიძე

ისე მოხდა, რომ ამ კვირაში ლამის ყოველდღე ხდება ცვლილებები საქართველო-თურქეთის მატჩთან დაკავშირებით. ეს ცვლილებები ხან შემადგენლობას ეხება, ხანაც ამა თუ იმ გუნდის წინასამატჩო პროგრამას. ახლა კი ერთბაშად ორივე სახის ცვლილებაზე გეტყვით.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 21-წლამდელთა ნაკრებს "ზესტაფონის" ფორვარდი **ბექა გოცირიძე** გამოაკლდა. საქმე ის გახლავთ, რომ გოცირიძე, რომელიც მეორე ბუნდესლიგურ "აუეში" ერთკვირიან ტესტირებაზე იყო "ნორდ დრეზდენთან" ამხანაგურ მატჩში დაშავდა და დღემდე ვერ შეძლო მომჯობინება. მის ნაცვლად ნაკრების მწვრთნელმა **რალფ მინგემ** სიას "ამერის" მცველი **გიორგი ელბაქიძე** დაამატა.

რაც შეეხება თურქეთს. სტუმართა ახალგაზრდულს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 6 თებერვალს 18:45 საათზე უნდა გაემართა წვრთნა. თუმცა თურქებმა უფრო ადრე მოინდომეს ვარჯიშის ჩატარება. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, თურქეთის 21 წლამდელთა ნაკრები 6 თებერვალს, იმავე არენაზე 16:45 საათზე ივარჯიშებს.

**დავით ცაბაძე**


რალფ მინგე

ლეგიონერი

# ბრემენში კობის თამაში საეჭვოა

## ჯერჯერობით, თურქეთთანაც

გასულ კვირას გავრცელებული ცნობის თანახმად, საქართველოს ნაკრებისა და "შალკეს" ნახევარმცველმა **ლევან კობიაშვილმა** ფრანკფურტში "აინტრახტთან" მატჩის მსვლელობისას ტრავმა მიიღო, თამაშის გაგრძელებას ველარ შეძლო და შეცვლა ითხოვა. თუმცა ის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, კობიმ გამოჯანმრთელება მოასწრო და გუშინწინ "ალემანიასთან" საშინაო შეხვედრაშიც 90 წუთის განმავლობაში ითამაშა. გუშინ კი გერმანული წყაროები, კვირას 4 თებერვალს გასამართ "ვერდერი"-"შალკეს" მატჩსაც შეეხნენ. პოპულარული "კიკერის" "რევიერ შპორტისა" და სხვა სააგენტოთა მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ბრემენში, "ვერდერთან" კობიაშვილის თამაში საეჭვოა. "ხუმარათა" თავკაც **მირკო სლომკას** სულაც არ ეხუმრება და მასმედიას ჩაფიქრებულმა განუცხადა.

*"მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით. ლონკოლნი ტრავმირებულია. კობიაშვილს კი ფეხის თითის ტკივილმა ისევ შეახსენა თავი და კვირას ბრემენში მისი თამაშიც საეჭვოა".*

თავად ლევანთან დაკავშირება გუშინ არ მოხერხდა. მისმა მეუღლემ, **თამუნამ** კი გადაჭრით ვერაფერი გვითხრა.

თუკი კობი 4 თებერვალს "ვერდერთან" თამაშს ვერ შეძლებს, მაშინ თურქეთთან 7 თებერვლის ამხანაგურ მატჩშიც საეჭვოა მისი მონაწილეობა. აქედან გამომდინარე ნაკრები გუნდების მენეჯერ თამაზ ბოკერიასაც დავუკავშირდით, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია არც მას ჰქონდა.

დაბოლოს, ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით იმასაც გაცნობებთ, რომ გამთენიისას **კლაუს ტოპმიოლერი** ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცთან** ერთად, თბილისში ჩამოფრინდა. დღეს ორივე 17 საათზე პრესკონფერენციას გამართავს. კობიაშვილის, ნაკრების სხვა ფეხბურთელებისა და საერთოდ, ეროვნული გუნდის თემაზე ყველაფერს დღეს შევიტყობთ.

**დავით ცაბაძე**


ლევან კობიაშვილი


სოფიო თავართქილაძე და სანდრო ცნობილაძე პრესკონფერენციაზე ფოტო: www.gff.ge

პრესკონფერენცია

# ვისაც გლაზგოში წასვლა გსურთ

## მიმართეთ GFF TRAVEL-ს 10 თებერვლამდე

ჩვენი ეროვნული ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს 24 მარტს შოტლანდიასთან გასვლითი მატჩით განაახლებს. ბუნებრივია, არაერთია ამ მატჩის უშუალოდ ხილვისა და საქართველოს ნაკრების ქომაგობის მსურველი. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია, სადაც მედიის წარმომადგენლებს GFF TRAVEL-ის გენერალური დირექტორი **სოფიო თავართქილაძე** შეხვდა.

თავიდანვე გვითხრეს, რომ პრესისთვის ამ მატჩისთვის ჩარტერული რეისი თბილისი-გლაზგო-თბილისი არ იქნება. მიზეზი ისაა, რომ თბილისიდან ბრიტანეთში ქართული დელეგაცია მხოლოდ რამდენიმე წევრის შემადგენლობით წავა. ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები გუნდს პირდაპირ გლაზგოში შეუერთდებიან. თუმცა, GFF TRAVEL სიურპრიზს გვთავაზობს, შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ, გლაზგოდან თბილისამდე 5 თავისუფალი ადგილია და ამდენივე ჟურნალისტი უფასოდ იმგზავრებს. GFF TRAVEL შოტლანდიაში გამგზავრების მსურველებს სხვადასხვა სახისა და ფასის მომსახურების პაკეტს სთავაზობს.

*"ჩვენ იმ 5 ჟურნალისტს, რომელიც გლაზგოდან თბილისამდე ჩვენთან ერთად იმგზავრებენ, აქედან, შოტლანდიაში ჩასასვლელად, ფინანსურად მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შევუქმნით. მომსახურების სხვადასხვა პაკეტი გვაქვს. გლაზგოში ჩასასვლელად ბრიტანეთის ვიზაა საჭირო, რომლის გაკეთებასაც გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ გლაზგოში გამგზავრების მსურველებმა GFF TRAVEL-ს 10 თებერვლამდე უნდა მიმართონ. ბრიტანეთის ვიზისთვის, საელჩოს მოთხოვნით, ყველას ინდივიდუალურად მოუწევს საელჩოში შესვლა, ანაბეჭდების აღებისა და სხვა პროცედურებისთვის. მსურველებს შეგვიძლია ავუწყოთ ინდივიდუალური მარშრუტიც.*

*გლაზგოში ეროვნული ნაკრების ფანკლუბის 50-კაციანი ჯგუფიც გაემგზავრება. ისინი თბილისიდან 21 მარტს გაფრინდებიან და თამაშის შემდეგ უკან გამოემგზავრებიან.*

*შეგვიძლია, მსურველებს მომსახურების სხვა პაკეტიც შევთავაზოთ და მატჩამდე 2 დღით ადრე გავამგზავროთ ბრიტანეთში"*, - განაცხადა სოფიო თავართქილაძემ.

მოკლედ ვისაც გლაზგოში წასვლა გინდათ, 10 თებერვლამდე მიმართეთ GFF TRAVEL-ს. დანარჩენ დეტალებსაც იქვე დაზუსტებთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# მუჯირის გამოკლება დიდი მინუსია

ანთალაში, მოსამზადებელი შეკრების გავლის შემდეგ სამარის "კრილია" მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ტრავმის გამო გუნდის ქართველ ნახევარმცველ **დავით მუჯირს** ანთალიურ შეკრებაზე გამართული მატჩებიდან არცერთში არ მიუღია მონაწილეობა. "კრილია" სამარაში დიდხანს არ გაჩერდება. ორიოდე დღეში, **სერგეი ობორინის** გუნდი მომდევნო მოსამზადებელი შეკრებისთვის, ორი კვირით კვიპროსს მიაშურებს. კუნძულზე გამგზავრებამდე, "კრილიამ" კომპანია "უმბროს" ახალი ეკიპირება მიიღო, რომელიც "ადიდასს" ჩაანაცვლებს.

კვიპროსზე გამგზავრებამდე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ობორინმა ანთალიური შეკრების შედეგები შეაჯამა და საუბარში დავით მუჯირსაც შეეხო.

*"... სამწუხაროდ, მუჯირს ანთალიაში ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია. ის უკვე უკეთაა და მალე შეძლებს თამაშს. ამ ფეხბურთელის გამოკლება ჩვენი გუნდისთვის სერიოზული მინუსია. ქართველი ნახევარმცველის არყოფნა გუნდის თამაშს აშკარად დაეტყო და სასიხარულოა, რომ ის მალე ითამაშებს".*

**დავით ცაბაძე**

# ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ფანკლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში - გამარჯვებული გუნდი ლიტვაში!

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფანკლუბი ატარებს ფან-კლუბის წევრების ტურნირს მინი ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და თბილისსა და ბათუმში ჩატარდება.

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფანკლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფანკლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს, ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს.

გუნდს აქვს უფლება, ფანკლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მის პირად ხარჯებს (მოთამაშეების გაწევრიანებას, გადაადგილებას და ა.შ).

თბილისა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერფინალში. ტურნირის მთავარი პრიზი ლიტვა-საქართველოს ნაკრებთა შორის ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაზე დასწრებაა! მატჩი 2 ივნისს ლიტვაში შედგება.

განცხადებები მიიღება 20 თებერვლამდე.

დაგვიკავშირდით და მოგვწერეთ

ტელეფონი: 542-542; e-mail: geo_fanclub@yahoo.com

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# მალე დაბინავდებიან



ლევან ცქიტიშვილი

**შიდაქართული ტრანსფერების შესახებ რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ, დღეს კი იმ ლეგიონერთა ამბები შევაჯამოთ, რომლებმაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი უკვე შეიცვალეს, ანაც ახალი ნავსაყუდელის ძიებაში არიან. დასავლეთ ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს დაიხურა, ასე რომ, ჩვენებურები მომდევნო დღეებში, ძირითადად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს მიაშურებენ.**

## მალხაზ ასათიანი

ვინ იცის, რომ არა გასული წლის სექტემბერში მიღებული მძიმე ტრავმა, მალხაზ ასათიანი უკვე რომელიმე ევროგრანდის წევრი ყოფილიყო. ამის შანსი კიდევ არსებობს, მაგრამ სანამ საქართველოს ნაკრების ლიდერი მოედანს არ დაუბრუნდება და ოპტიმალურ სათამაშო ფორმას არ აღიდგენს, მოსკოვის "ლოკომოტივში" დარჩება. მალხაზს რკინიგზელებთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და რუსული კლუბისთვის მისი ახლავე გაყიდვა ხელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ ეს გამორიცხულია. საუკეთესო შემთხვევაში, ასათიანი "ლოკომოტივს" სწორედ ზაფხულში დატოვებს და იმედი ვიქონიოთ, რომ თავისი კლასის შესაფერის გუნდში გააგრძელებს კარიერას. უპირველეს ყოვლისა კი, მას დროულად გამოჯანმრთელება უნდა ვუსურვოთ.

## გოგიტა გოგუა

სამწუხაროდ, უკვე დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოგუა "ჰართსში" ვერ გადავიდა. საუკეთესო შემთხვევაში, ედინბურგელებთან კონტრაქტს იგი ზაფხულში თუ გააფორმებს, თუმცა ესეც ძალიან სათუოა.

შეგახსენებთ, ჩაშლილი ტრანსფერის ოფიციალურ მიზეზად საქართველოს ნაკრების დაბალი რეიტინგი დასახელდა. სავარაუდოდ, ქართველი ნახევარმცველი კარიერას რუსეთშივე გააგრძელებს, მაგრამ სად, გაურკვეველია. მას "ტომი" და "სატურნი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ უცნობია, კიდევ თუ აქვთ გოგუას გადაბირების სურვილი.

## ჯაბა კანკავა

"დნეპრში" გადასვლა ჯაბასთვის დიდი კარიერული წინსვლა იყო. დნეპროპეტროვსკულ კლუბში მასზე დიდ იმედებს ამყარებენ და პირველივე საკონტროლო მატჩში გაძევების მიუხედავად, მას უფრო მაღალ დონეზე თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი აქვს. შესაძლოა, პირველ ხანებში კანკავას ახალი გუნდის ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდეს, მაგრამ თუ ახალ სიტუაციას ალლო მალე აუღო, "დნეპრის" დონესთან გამკლავება უნდა შეძლოს.

## ლევან ცქიტიშვილი

გამოცდილი შუახაზელი სეზონს "პანიონიოსში" ჩაამთავრებს. როგორც გახსოვთ, მისი "ალკმაარში" ჩარიცხვის მცდელობა უნაყოფოდ დასრულდა. ჰოლანდიიდან საბერძნეთში დაბრუნებულ ცქიტიშვილს ის სიტუაცია დახვდა, რომელსაც ვერაფრით ეგუება – ჩემპიონატის ბოლო კალენდარულ მატჩს ლევანმა სათადარიგო სკამიდან ადევნა თვალი. იმედი ვიქონიოთ, რომ "პანიონიოსის" სასტარტო შემადგენლობაში ლევანი ამჯერად მაინც დაიმკვიდრებს ადგილს, რაც მისი ნაკრებში წარმატებული ასპარეზობის შანსს მნიშვნელოვნად გაზრდის. ზაფხულში კი, თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ცქიტიშვილი ადგილსამყოფელს აუცილებლად შეიცვლის.

## მიხეილ აშვეთია

ყაზანის "რუბინში" ჩატარებული წარუმატებელი სეზონის შემდეგ, აშვეთიამ გერმანიაში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. "კარლ ცაისი" ნამდვილად არაა ის დონე, ამ დონის ფეხბურთელს ადაპტაცია რომ გაუჭირდეს. გერმანელები მას დიდი იმედებით დახვდნენ და ვნახოთ, როგორ შეეწყობა აშვეთია ახალ გუნდსა და ახალ ლიგას. ოპტიმალური ფორმისგან იგი შორსაა, მაგრამ ნესით, იენაში ძალების ალსადგენად მიხეილს საუკეთესო პირობები და ატმოსფერო უნდა დახვდეს. ახალი გუნდის შემადგენლობაში მან პირველი გოლი უკვე გაიტანა, ოლონდ საკონტროლო შეხვედრაში.

## გიორგი ლომაია

საქართველოს ნაკრებს სამეკარეო პრობლემის მოგვარების თუ არა, შემსუბუქების შანსი მაინც გაუჩნდა. "კარლ ცაისის" შემადგენლობაში ჩატარებულ ტესტმატჩში ლომაიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და საერთოდაც, გერმანელები მას პოტენციურ პირველ გოლკიპერად განიხილავენ. სავსებით შესაძლებელია, გიორგის მეორებუნდესლიგური დებიუტი ამ შაბათსვე, "კიოლნის" წინააღმდეგ შედგეს. თუ ლომაია ხვალ ძირითადში დააყენეს, ბუნებრივია, ამ შეხვედრაზე მისი მომავალი დიდად იქნება დამოკიდებული. ვლადივოსტოკში გატარებული ფუჭი პერიოდის შემდეგ, გიორგის არცთუ დაბალ დონეზე ეძლევა თავის გამოჩენის საშუალება და ღმერთმა ქნას, საქმეები კარგად გერმანიაში მაინც წაუვიდეს.

## ზურაბ მენთეშაშვილი

ზურა "შინიკის" რიგებში არცთუ ურიგოდ ასპარეზობდა, მაგრამ იაროსლაველელთა პრემიერლიგიდან გავარდნის გამო, გუნდის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. ერთი პერიოდი, მენთეშაშვილი რუსთავის "ოლიმპში" აპირებდა თამაშს, მაგრამ შემდეგ ლატვიაში დაბრუნების შესაძლებლობა გაუჩნდა და ეს ვარიანტი ამჯობინა.

## ალეკო ამისულაშვილი

"შინიკის" პრემიერლიგიდან გავარდნის გამო, ალეკოც ახალ გუნდს ეძებს. ჯერჯერობით, გაურკვეველია, სად გააგრძელებს იგი კარიერას.

## კახა ალადაშვილი

კახას "დნეპრში" არენდის ვადა ამოეწურა და ახლა სხვაგან განათხოვრებას ელის. კიევის "დინამოში" მისი დამკვიდრების შანსი მეტისმეტად მცირეა.

## გიორგი ქინქლაძე

დიდი ხანია, რაც გიორგიმ "რუბინი" დატოვა, მაგრამ მისი ახალი კლუბის შესახებ არაფერი გარკვეულა. ქინქლაძე თბილისშია და შეთავაზებას ელის. არაა გამორიცხული, რუსეთში დაბრუნდეს.

## გიორგი ჭელიძე

ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელის მომავალიც გაურკვეველია. შესაძლოა, მოსკოვის "ლოკომოტივმა" იგი გაანათხოვროს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ჭელიძე ახალ სეზონში რკინიგზელთა ძირითადს გაუშინაურდეს. ამ ეტაპზე ის გუნდთან ერთადაა მოსამზადებელ შეკრებაზე.

## რევაზ ბარაბაძე



რევაზ ბარაბაძე

არც ისე დიდი ხანია, რაც იგი "დნეპრში" ჩაირიცხა და როგორც მოსალოდნელი იყო, დუბლებში უწევს თამაში. ჯერჯერობით, ბარაბაძის საკითხი არ გარკვეულა, არაა გამორიცხული, იგი სხვა კლუბში გაანათხოვრონ.

## სერგი ორბელაძე

ორბელაძე მარიუპოლის "ილიჩევეცში" იჯარით ასპარეზობდა და ვადის ამოწურვის შემდეგ, თბილისის "დინამოს" უბრუნდება. მისი მომავალი ჯერ გაურკვეველია. თუ დუშან უგრინის სურვილი იქნება, ორბელაძე "დინამოში" დარჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ სხვაგან გაანათხოვრებენ.

## გიორგი გახოკიძე

გიორგი გახოკიძე ცალკე სალაპარაკო და გულდასაწყვეტი თემაა. გამოცდილმა ნახევარმცველმა ქრონიკული ტრავმის გამო, კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. ამის მიუხედავად, გოგა მოედანზე დაბრუნების იმედს არ კარგავს და ვნახოთ, იქნებ მისი და იმედები გამართლდეს. თავისი საფეხბურთო შესაძლებლობებით, გახოკიძე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი უნდა იყოს და ეგებ იგი ტოპმიოლერის რაზმში კიდევ ვიხილოთ.

## მიხეილ ყაველაშვილი

ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა "ბაზელთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ჯერჯერობით, უგუნდოდაა. არაა გამორიცხული, "ბაზელი" მის კარიერაში უკანასკნელი კლუბი იყოს. სადღეისოდ არაფერი გვსმენია იმის შესახებ, რომ ყაველაშვილი ახალი ნავთსაყუდელის ძიებაშია. სულ მალე გაირკვევა, ჩამოკიდა თუ არა მან ბუცები ლურსმანზე.

## ლადო კაკაშვილი
## მირზა მერლანი
## რევაზ გოცირიძე,
## ზურაბ არზიანი
## ვიტალი დარასელია
## ლევან სილაგაძე

საზღვარგარეთული კარიერის შემდეგ, ეს ექვსეული სამშობლოს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, კაკაშვილი "ამერში" ისინჯება, მერლანი, გოცირიძე და არზიანი "ოლიმპში" არიან, დარასელია და სილაგაძე კი, სავარაუდოდ, "სიონის" ღირსებას დაიცავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ლეგიონერები

# გამეზარდაშვილი და გენაძე რჩებიან

რიგის "სკონტოში" გასინჯვაზე მყოფმა ნახევარმცველმა **რეზო გენაძემ** მთავარ მწვრთნელ **პოლ ეშუორტს** თავი მოაწონა და როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტის გაფორმება ახლა მთლიანად რეზოზეა დამოკიდებული.

"სკონტომ" ქართულ მხარესთან ანუ რუსთავის "ოლიმპთან" ყველა საჭირო დეტალი შეათანხმა და ახლა მოთამაშესთან პირადი კონტრაქტის დეტალებზე მიდის საუბარი. ბოლო ორ საკონტროლო მატჩში რეზო ლატვიელთა შემადგენლობაში არ გამოჩენილა, ამის მიზეზი ისაა, რომ "სკონტოს" მწვრთნელმა ქართველი ნახევარმცველის შესაძლებლობები კარგად დააფასა და სხვები გასინჯა.

საქმე იმისკენ მიდის, რომ "სკონტოში" **დათო გამეზარდაშვილიც** დარჩება. ამჯერად კლუბის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ მას გუნდის გაძლიერება შეუძლია. თუმცა საბოლოოდ ქართველების თაობაზე გადაწყვეტილებას "სკონტო" დღეს მიიღებს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით გამეზარდაშვილი

ჩაშლილი ტრანსფერი

# გოცირიძე ტრავმამ დააღალატა

"ზესტაფონის" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ბექა გოცირიძე** ერთი კვირით გასინჯვაზე მეორე ბუნდესლიგის "აუეში" იყო. სამწუხაროდ, ბექას თბილისში დაბრუნება მოუხდა, რადგან თამაშის დროს ტრავმა მიიღო.

*"გერმანიაში ძალიან კარგად მიგვიღეს მე და შოთა გრიგალაშვილი საკონტროლო მატჩში გამოგვცადეს. მგონი, ცუდად არ მითამაშია. ბურთი გავიტანე, მაგრამ ბედი არ გინდა? გოლიდან ათ წუთში კოჭი გადამიტრიალდა და ასეთ მდგომარეობაში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. გერმანია, სამოყვარულო ლიგა ხომ არაა და ასე არავინ ამიყვანდა. ძალიან დამწყდა გული. სამწუხაროა, ასე რომ შემემთხვა. არ გამიმართლა, თორემ მწვრთნელის დამოკიდებულებიდან და ჩვენი უშუალო საუბრიდან გამომდინარე, გახარებული ვიყავი"* – გვითხრა ბექამ.

ბექა გამოჯანმრთელებისთანავე ანთალიაში მოსამზადებლად მყოფ „ზესტაფონს“ უნდა დაუბრუნდეს.

**მერაბ მამულაშვილი**



ბექა გოცირიძე

ლეგიონერები

# გიგიაძე ისევ საუკეთესოა

## ალტმანი ქართველებს აკრიტიკებს

უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა "უა-ფუტბოლმა" გულშემატკივრებში გამოკითხვა ჩაატარა, თუ ვინაა ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერი. მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა "კრივბასის" კაპიტანი **ვასილ გიგიაძე**, მეთერთმეტეზე – "დნეპრში" გადასული **ჯაბა კანკავა**, მეთვრამეტეზე კი "ჩერნომორეცის" მცველი **ილია კანდელაკი**, ტრავმის მიუხედავად, გულშემატკივარს არ დავიწყებია ზაპოროჟიეს "მეტალურგის" თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე**, რომელიც 21-ე ადგილზეა.

სასიამოვნოა, როცა საუკეთესოებში ქართველები დაასახელეს, მაგრამ არასასიამოვნოა ის კომენტარი, რომელიც ოდესის "ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა **სემიონ ალტმანმა გიორგი შაშიაშვილისა** და **კახა მჟავანაძის** თაობაზე გააკეთა. გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა: ძირითად შემადგენლობაში ეს ორი ლეგიონერი ბოლო დროს იშვიათად ჩნდება და გამოდის, ძირითადში მათ ადგილს ვერ ხედავთო?

"*თქვენი დაკვირვება უსაფუძვლო არაა. ჩვენ ისედაც ბევრი ლეგიონერი გვყავს და რისი მოთმენაც შემოდგომაზე შეგვეძლო, გაზაფხულზე შეუძლებელია. ამიტომაც ვეძებთ თამაშის სტაბილიზაციისა და გაძლიერების გზებს. პრესა, გულშემატკივრები და გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო დაცვის ხაზით, განსაკუთრებით, პირველი წრის დასასრულს და ეს უნდა გავითვალისწინოთ*" – თქვა ალტმანმა.

მას არაფერი უთქვამს ილია კანდელაკის შესახებ, რადგან მას ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ შექმნია.

**მერაბ მამულაშვილი**




ვასილ გიგიაძე საუკეთესოთა შორისაა, შაშიაშვილი კი ისევ გააკრიტიკეს

# რევიშვილმა სატურნი დაამარცხა

გუშინ ესპანურ მარბელიაში შეკრებაზე მყოფი ორი რუსული კლუბი ერთმანეთს გაეჯიბრა, ყაზანის "რუბინმა" 2:1 დაამარცხა რამენსკოეს "სატურნი". მეორე ტაიმში "სატურნი" **გიანმა** დააწინაურა, თუმცა ჯერ **იარკინმა** გაათანაბრა, მერე კი **ბუხაროვმა** ბოლო წუთზე ყაზანელებს მოაგებინა. "რუბინის" კარს საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** იცავდა, რომელიც მატჩში ერთადერთი შეუცვლელი ფეხბურთელი აღმოჩნდა გუნდში. 43-ე წუთზე მოედანზე კიდევ ერთი ქართველი ვიხილეთ, **ლაშა სალუქვაძემ გაბრიელი** შეცვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნუკრი რევიშვილი

მეტოქეები

# საფრანგეთს სისე დაუბრუნდა

7 თებერვალს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები "სტად დე ფრანსზე" არგენტინელებს დაუპირისპირდება. „სამფეროვანთა", თავკაცმა **რაიმონ დომენეკმა** გუნდის საამხანაგო შემადგენლობა უკვე დაასახელა.

მეკარეები: **გრეგორი კუპე** ("ლიონი"), **მიკაელ ლანდრო** (პსჟ).

მცველები: **ერიკ აბიდალი** ("ლიონი"), **ფრანსუა კლერკი** ("ლიონი"), **ჟულიენ ესკუდე** ("სევილია"), **პატრის ევრა** ("მანჩესტერი"), **გაელ ჟივე** ("მონაკო"), **ფილიპ მექსე** ("რომა"), **ვილი სანიოლი** ("ბაიერნი"), **სებასტიან სკილაჩი** ("ლიონი"), **ლილიან ტურამი** ("ბარსელონა").

ნახევარმცველები: **კლოდ მაკელელე** ("ჩელსი"), **რიო ანტონიო მავუბა** ("ბორდო"), **ჟერემი ტულალანი** ("ლიონი"), **პატრიკ ვიეირა** ("ინტერი"), **ფლორიან მალუდა** ("ლიონი"), **ფრანკ რიბერი** ("მარსელი").

თავდამსხმელები: **ნიკოლა ანელკა** ("ბოლტონი"), **ჯიბრილ სისე** ("მარსელი"), **სიდნეი გოვუ** ("ლიონი"), **ტიერი ანრი** ("არსენალი"), **დავიდ ტრეზეგე** ("იუვენტუსი").

ყურადსაღებია ეროვნულ გუნდში ორი ფორვარდის, **ნიკოლა ანელკასა** და **ჯიბრილ სისეს** გამოჩენა. არასტაბილურ ანელკას დომენეკი ნაკრებში დამკვიდრების კიდევ ერთ შანსს აძლევს, სისემ კი სულ ახლახან მოიშუშა ზედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ მიღებული უმძიმესი ტრავმა და „სამფეროვნებს" რვათვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ უბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ლიტვა მალისთვის დაირაზმა

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მეტოქე ლიტვა 7 თებერვალს პარიზში მალის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. იმასაც განგიმარტავთ, რომ ეს შეხვედრა პარიზში მხოლოდ იმ მიზეზით დაიგეგმა, რომ მალის ეროვნული გუნდის ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბებში ასპარეზობს. 24 მარტის საფრანგეთთან საშინაო მატჩის წინ ლიტველები მალის გაეჯიბრებიან. აფრიკელთა წინაალმდეგ ლიტველთა ნაკრების თავკაცმა **ალგიმანტას ლიუბინსკასმა** შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: **ჟედრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი).**

მცველები: **მარიუს სტანკევიჩუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა (უკლუბოდ), როლანდას ჟიუკშტასი (სატურნი, რუსეთი), ირმანტას ზემლიკასი (ტავრია, უკრაინა), დეივიდას შემბერასი (ცსკა რუსეთი), მარიუს ჟალიუკასი, ნერიუს ბარასი (ორივე ჰართსი, შოტლანდია).**

ნახევარმცველები: **საულიუს მიკოლიუნასი, დეივიდას ჩესნაუსკისი (ორივე ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (მეტალურგსი), ლინას პილიბაიტისი (კაუნასი), ვიტალიუს კოვალიუსკასი (ეკრანასი), იგორას მორინასი (ჟალგირისი).**

თავდამსხმელები: **ედგარას იანკაუსკასი, ანდრიუს ველიჩკა (ორივე ჰართსი, შოტლანდია), ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (კლადნო).**

მალისთან მატჩს ახლახან გადატანილი ოპერაციის გამო ნაკრების თავკაცი ალგიმანტას ლიუბინსკასი ვერ დაესწრება. გუნდს მის ნაცვლად მისივე ასისტენტები **ვიტალიუს სტანკევიჩიუსი** და **რაიმონდას სტანკევიჩიუსი** უხელმძღვანელებენ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ლიტვას წელს ორჯერ ეთამაშება. 2 ივნისს **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ლიტველებს სტუმრად დაუპირისპირდება, ხოლო 21 ნოემბერს, ლიტვას ამ შესარჩევი ციკლის დასკვნით შეხვედრაში თბილისში ვუმასპინძლებთ.

**დავით ცაბაძე**

### სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), სილაგაძე | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა | მესხი (ჩიხურა), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ც. ბუკია, ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, ანთალია |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი (ოლიმპი), ნერგაძე, გიგაური | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), გარკუშა, დოს სანტოსი, სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ქიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა) სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია | დსთ-ის თასი, ყირიმი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, | ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | თბილისი, ურეკი |
| ჩიხურა | მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი) | — | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი მწვრთნელი

# ლიპიმ აღიარა: ჩელსი მეძახის

## არ დაგავიწყდეთ მანჩესტერ იუნაიტედიც...



მარჩელო ლიპი შეიძლება ნისლიან ალბიონზე გაემგზავროს

**მარჩელო ლიპიმ** დუმილი დაარღვია. მან გათქვა საიდუმლო, რომელსაც აქამდე, ყველა ინტერვიუსა თუ კომენტარში სათუთად ინახავდა. ცნობილია, რომ უმუშევარი მსოფლიო ჩემპიონი საქმეს მომავალი სეზონიდან შეუდგება, ახალი სამსახურის ძებნას კი აპრილ-მაისიდან დაიწყებს. მას უკვე ჰქონდა რამდენიმე წინადადება, კერძოდ, ლიბიიდან და მექსიკიდან. ამას ის თავადაც აღიარებს, მაგრამ ეტყობა, მსუყე ლუკმებს მომავლისთვის ინახავს. ცხადია, რომ დიდი კლუბები ასეთ მწვრთნელებს ყოველთვის ყურადღებით აკვირდებიან.

*"ვიცი, რომ არა ერთი გრანდის სიაში ვარ,* - განუცხადა ლიპიმ ინგლისურ "სანს", - *მაგრამ განსაკუთრებით, ეს "ჩელსიზე" უნდა ვთქვა. ჩემი აზრით, ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. მწვრთნელს შედეგებით აფასებენ. ვმუშაობდი გუნდებში, რომლებიც ოთხჯერ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალებში, ხუთჯერ მაქვს მოგებული სერია A, აღარაფერს ვამბობ მსოფლიო ჩემპიონობაზე. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ინგლისში წასვლა ჩემთვის შეუფერებელია, მაშინ მე ვეტყვი მათ, რომ კიდევ მომცენ დასვენების საშუალება".*

ფაქტობრივად, ლიპი აფრთხილებს **ჟოზე მოურინიოს**, რომ მზადაა, ზაფხულში ის "ჩელსის" მწვრთნელის პოსტზე შეცვალოს. მარჩელო ტყუილად არ მიუთითებს ტიტულებზეც. ჟოზეც ხომ ხშირად ამით იწონებს თავს. არადა, ადრე ლიპი ინგლისისგან შორს იჭერდა თავს, ამბობდა რა, რომ ენის არცოდნა ფეხბურთელებთან პირდაპირ ურთიერთობაში ხელს შეუშლიდა.

*"დღეს მე მზად ვარ ინგლისში სამუშაოდ, თუნდაც ენის ცოდნის იმ დონით, რასაც ამ მომენტისთვის ვფლობ. ხალხს შეცდომით ჰგონია, რომ ინგლისურად ცუდად ვსაუბრობ. არ არის ასე. ამ ხალხს ავიწყდება, რომ ფეხბურთი მრავალენოვანი გახდა. დიდ კლუბებში სხვადასხვა ერის წარმომადგენლები თამაშობენ. მაგრამ თავად ფეხბურთის ენა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ესაა მთავარი. თანაც, ინგლისურის გარდა, ფრანგულადაც ვსაუბრობ. ამიტომ, მე ვსვამ კითხვას: რატომ არ შეიძლება იყოს "ჩელსი" ჩემი მომავალი სამუშაო ადგილი"?*

როგორც ხედავთ, ლიპი პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. მის ადრეულ საუბრებში კოლეგებისადმი გაცილებით მეტი მოკრძალება და პატივისცემა იგრძნობოდა. ამის დასტურად, გავიხსენოთ მისი ერთი თვის წინანდელი კომენტარი, რომელიც "ნაპოლის" ეხებოდა. აი, რა თქვა ლიპიმ, როცა ნეაპოლში შესაძლო დანიშვნაზე ჰკითხეს: *"ამ გუნდში მუშაობს ბრწყინვალე სპეციალისტი ედუარდო რეია, ნამდვილი ლიდერი, ამავე დროს, ჩემი მეგობარი. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება, როცა ყოველდღე კითხულობს გაზეთებში, რომ ლიპი "ნაპოლიში" ინიშნება. ჟურნალისტებს მეტი კორექტულობა მოგეთხოვებათ".*

მარჩელოსადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვათ, რომ "ჩელსისთან" დაკავშირებული კომენტარები სწორედ რომ არაკორექტულობის ნიმუშია, პირველ რიგში, მისი კოლეგა მოურინიოს მიმართ. სხვათა შორის, "სანმა" ლიპის "მანჩესტერ იუნაიტედზეც" ჰკითხა. *"ფანტასტიკაა, ნამდვილი ოცნებაა!"* - ესეც ახალი ინტრიგა. ისე, ცოტა ხნის წინათ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ სეზონის ბოლოს სერ **ალექს ფერგიუსონი** პენსიაზე გავა, კლუბის დირექტორატში გადაინაცვლებს და თავის ადგილს სწორედ ლიპის დაუთმობს. "მენიუს" მფლობელებმა ფერგის ხომ მემკვიდრის არჩევის უფლება მისცეს...

მაშათ დაველოდოთ მაისს, როცა ლიპი ახალ სამსახურზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. მანამდე კი... მანამდე კი, შეიძლება, ბევრმა წყალმა ჩაიაროს. როგორც ამბობენ, **რომან აბრამოვიჩსა** და მოურინიოს შორის ურთიერთობა ძველებურად დაძაბულია. და არც ის გაგიკვირდეთ, რომ ამ დღეებში ლიპიმ კატეგორიულად უარყოს "სანის" მიერ გამოქვეყნებული მასალის უტყუარობა...



ფელიქს მაგათი და თომას დოლი

ჰამბურგი

# ტანჯვის დასასრული: დოლი გაუშვეს!

## HSV-ს ბოსები მოლაპარაკებებს ფელიქს მაგათთან აწარმოებენ!

მაშ ასე, როგორც გუშინდელ ნომერში ვივარაუდეთ, **თომას დოლის** ტანჯვა-წვალება გუშინ დასრულდა! საკუთარ მოედანზე "კოტბუსის" ვერდამარცხების შემდეგ "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც წესითა და რიგით, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს უნდა მიეღოთ: მათ დოლი გაათავისუფლეს! ამრიგად, "გლადბახიდან" **იუპ ჰაინკესის** წასვლისა და "ბაიერნიდან" **ფელიქს მაგათის** გაგდების შემდეგ, 24 საათის განმავლობაში ბუნდესლიგაში მესამე მწვრთნელი დარჩა უმუშევარი.

HSV-ს ბოსებმა დოლის გათავისუფლება "კოტბუსთან" მატჩის დასრულებიდან 4 საათის შემდეგ, ანუ შუაღამისას გადაწყვიტეს და მწვრთნელს ეს გადაწყვეტილება მაშინვე აცნობეს. *"არ გვინდოდა, რომ ასე მომხდარიყო. ვფიქრობ, ყველამ დაინახა, რომ თომასს უკანასკნელ წამამდე ვენდეთ. დარწმუნებულები ვიყავით, რომ მეორე წრეში ყველაფერი გამოსწორდებოდა, მაგრამ ბოლო ორმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ვცდებოდით. საკუთარ მოედანზე "კოტბუსთან" ქულების დაკარგვა უკანასკნელი ბიძგი იყო და ჩვენც მივხვდით, რომ რეაგირება უნდა მოგვეხდინა. თომასს ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდით და წარმატებებს ვუსურვებთ. მან ყველაფერი გააკეთა მდგომარეობის გამოსასწორებლად,"* - განაცხადა "ჰამბურგის" ბოსმა, **ბერნდ ჰოფმანმა**.

*"რა თქმა უნდა, დამწუხრებული ვარ. ამ გუნდში ორი შესანიშნავი წელი გავატარე და ეს პერიოდი ყოველთვის მემახსოვრება, როგორც ერთ-ერთი ულამაზესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. იმედი მაქვს, რომ "ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდება!"* - ეს კი უკვე დოლის სიტყვებია. შეგახსენებთ, რომ "კოტბუსთან" ფრის შემდეგ HSV ბოლო ადგილამდე დაეშვა. სწორედ ფსკერზე დაშვების გამო გაუშვეს ამ გუნდიდან ორი წლის წინათ **კლაუს ტოპმიოლერიც**. თომას დოლი ჩრდილოგერმანულ კლუბში სწორედ ტოპის შემცვლელი გახლდათ. პირველ სეზონში მან გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა, მომდევნო სეზონში კი გერმანიის ჩემპიონობისთვის აბრძოლა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა. ხოლო ის, რაც HSV-ს მიმდინარე სეზონში დაემართა, ყველამ კარგად იცის.

ვინ გაწვრთნის "ჰამბურგს"? ჰოფმანმა და **დიტმარ ბაიერსდორფერმა** გუშინ პირველი მოლაპარაკებები გამართეს **ფელიქს მაგათთან**. "ბაიერნიდან" გათავისუფლებული ფელიქსი ჰამბურგში ჩავიდა და მათ პირადად გაესაუბრა. უკანასკნელი ცნობების თანახმად, მაგათმა "ჰამბურგის" შეფებს თანხმობა ჯერ არ უთხრა, თუმცა "დესპოტი ფელიქსი" დოლის შემცვლელის პოსტზე მაინც ფავორიტად რჩება. ასე რომ, "ბაიერნიდან" გაგდებულმა მაგათმა, შესაძლოა, "ჰამბურგში" დაიწყოს მუშაობა. შეგახსენებთ, რომ ფელიქსი HSV-ს ერთხელ უკვე წვრთნიდა - 1995-იდან 1997 წლამდე. მის ალტერნატივად **ჰუუბ სტევენსი** მოიაზრება. ფაქტი ის არის, რომ "ჰამბურგს" ახალი მწვრთნელის წარდგენა დღეს სურს...

**გოტფრიდ ლენცი**

რეალი. მორიგი სკანდალი

# კაპელო: არ გაპატიებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს!

## მწვრთნელი გუტის თვითნებობამ გადარია

**რონალდო** "მილანშია". ერთი შეხედვით, ბრაზილიელის წასვლის შემდეგ სამეფო კლუბში ნანატრ სიმშვიდეს უნდა დაესადგურებინა, მაგრამ "რეალს" მშვიდი ცხოვრება არა და არ ეღირსა.

გუშინ მადრიული გრანდის ჩვეულებრივი ვარჯიში სკანდალით დასრულდა. საწვრთნელი პროცესი ფინალს უახლოვდებოდა. ფეხბურთელებს სპარინგ თამაში ჰქონდათ გაჩაღებული, როცა **გუტიმ** თვითნებურად თანაგუნდელები მიატოვა და გასახდელისკენ გაემართა. **ფაბიო კაპელოს** სათვალე კინაღამ ჩამოუვარდა. იტალიელს თავდაპირველად ეგონა, ეჩვენებოდა, თუმცა როგორც კი დარწმუნდა, რომ ვოლუნტარიზმთან ჰქონდა საქმე, შეგირდს საკმაოდ მკვახედ დაუძახა: *"ეი, შენ, საით გაგიწევია. სასწრაფოდ, მოდი აქ და ამიხსენი რას ნიშნავს შენი საქციელი?"* გუტიმ ყურიც არ ათხოვა და ბურტყუნით გზა გააგრძელა. აი, ამის შემდეგ კი კაპელომ წონასწორობა კინაღამ დაკარგა: *"არ გესმის, აქ მე ვწყვეტ, როდის მთავრდება ვარჯიში. ნუ მიდიხარ, სასწრაფოდ მოდი აქ და ახსენი რა გეტაკა."* გუტი კვლავ არ გაჩერდა და დამრიგებელი საბოლოოდ გადაიყვანა ჭკუიდან. კაპელო უკვე ცოფებს ყრიდა: *"შე თავხედო, მოიხედე როცა გელაპარაკები. ეს თუ უძვირესად არ დაგიჯდეს, ჩემს თავზე გაიარე. არ გაპატიებ სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს. მოიხედე-მეთქი, შენი..."*

სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საქმეში აპენინელის თანაშემწე, **ტონი გრანდე** ჩაერთო და გუტისთან მივიდა. მან პრობლემის მოგვარება დაყვავებით სცადა. გუტიერესს ასეთი ტონი უფრო მოეწონა და გრანდეს უთხრა: *"ტერფი მტკივა, გააჩუმე ის იდიოტი. არ გესმით, ძლივს დავდივარ. რა უნდა იმ იტალიელს? თუ ძალიან წუხს, თვითონ მოვიდეს გასახდელში. მე უკან არ დავბრუნდები."*

მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ გუტი ვერ დაიყოლია. კაპელომ კი ბაზა მამის მკვლელის გამომეტყველებით დატოვა. უკლებლივ ყველა მიმომხილველი ვარაუდობს, რომ ხოსე მარია **ანტონიო კასანოს** ბედს გაიზიარებს. მოგეხსენებათ, იტალიელ ფორვარდს კაპელოსთან უხამსი საუბარი ძირითადი გუნდიდან მოკვეთად დაუჯდა.

გუშინდელ ვარჯიშზე ბატონმა ფაბიომ **ბექჰემიც** უზომოდ გაანაწყენა. ინგლისელმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა. ის სრულიად ჯანმრთელია, მაგრამ დამრიგებელი ისე ავარჯიშებს, როგორც საწოლიდან ორი წუთის წინ წამომდგარ დავრდომილს. ბექსი გუნდს ახლოსაც არ გააკარა და კასანოსთან ერთად დაბალ ტემპში ძუნძული დაავალა. ამით განრისხებულმა დევიდმა ბაზიდან გასვლისას მანქანა ადგილიდან ისე მოსწყვიტა, რომ ასფალტზე შავი ზოლები, ჰაერში კი კვამლი დატოვა. კარისკაცებმა კი ჟურნალისტებს უთხრეს, დევიდს რა დაემართა, რომ გადიოდა თავისთვის იჯდა და გაგიჟებული სახით იგინებოდაო...



ფაბიო კაპელო გუტის ემუქრება

გერმანიის ნაკრები

# გომესი, ახალი სახე

გერმანელთა თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** "შტუტგარტის" თავდამსხმელი **მარიო გომესი** გამოიძახა. 21 წლის დებიუტანტს გერმანიისა და ესპანეთის ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ბუნდესნაკრებს დაუბრუნდა შალკელი **კევინ კურანი**. განაცხადშია დორტმუნდელი **კრისტოფ მეტცელდერი**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. 7 თებერვალს დიუსელდორფში გერმანია შვეიცარიას უმასპინძლებს. 24 მარტს კი ჩეხეთთან საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს. იმ თამაშში ლიოვს დისკვალიფიცირებული **მიროსლავ კლოზე** დააკლდება.

**მეკარეები** - იენს ლემანი (არსენალი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი);

**მცველები** - არნე ფრიდრიხი (ჰერტა), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), მანუელ ფრიდრიხი (მაინცი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), მარსელ იანსენი (ბორუსია მ.), კრისტოფ მეტცელდერი (დორმუნდი);

**ნახევარმცველები** - მიხაელ ბალაკი (ჩელსი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), თომას ჰიცლშპერგერი (შტუტგარტი), იან შლაუდრაფი (ალემანია), ტიმ ბოროვსკი (დორტმუნდი);

**თავდამსხმელები** - მიროსლავ კლოზე (ვერდერი), მაიკ ჰანკე (ვოლფსბურგი), მარიო გომესი (შტუტგარტი), კევინ კურანი (შალკე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. ახალი ძველი მწვრთნელი

# ისევ ის ოტმარი: ჩემპიონები გავხდებით!

## როგორ გააგდეს მაგათი, როგორ დაითანხმეს ჰიტცფელდი; ყველაფერი 42 წუთში, ბეკენბაუერთან შეთანხმებით მოხდა!



ოტმარ ჰიტცფელდმა გუშინ პირველი ვარჯიში ჩაატარა

**ოთხშაბათი "ბაიერნისთვის", ამ გუნდის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ქაოტური დღე იყო. ზებენერშტრასეზე საგიჟეთი ძალიან მოულოდნელად დაიწყო და მალევე დასრულდა - გუშინ ბავარიული გიგანტის მენეჯერმა ული ჰიონესმა ჰიტცფელდი ოფიციალურად წარადგინა. გუშინვე ოტმარმა პირველი ვარჯიში ჩაატარა. დღეს რეკორდმაისტერი "ნიურნბერგს" სტუმრობს...**

### 15:35 - მაგათი გაუშვეს!

ოთხშაბათს ნაშუადღევს ზებენერშტრასეზე პანიკა და ქაოსი იყო. "ბაიერნის" ოფისის წინ არანორმალური ხალხმრავლობა იყო. თავიდან ჟურნალისტებმა დაიწყეს შეკრება. ჭორი იმის შესახებ, რომ დიდი შანსი იყო, **ფელიქს მაგათი** რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადაეყენებინათ, მასმედიის წარმომადგენლებში ელვის სისწრაფით გავრცელდა. 14 საათზე გამოცემა "ბილდის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწერა: *"ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციით, "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ფელიქს მაგათი დაიფრინეს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ რეკორდმაისტერში ოტმარ ჰიტცფელდი დაბრუნდება."* "ბილდმა", როგორც ყოველთვის, ყველას დაასწრო. ამის შემდეგ სხვადასხვა გერმანული გამოცემის ვებ-გვერდებზე ნელ-ნელა გაჩნდა იგივე ინფორმაცია. ბოლოს კი ცნობილი გახდა, რომ მაგათის გაშვება 15 საათსა და 35 წუთზე გადაწყდა.

სამშაბათს, "ბოხუმთან" შეხვედრის შემდეგ (0:0), მაგათმა მიუნხენის "ალიანს არენა" დატოვა. **ული ჰიონესისა და კარლ-ჰაინც რუმენიგესგან** განსხვავებით, მას ჟურნალისტებთან გასაუბრებაზე უარი არ უთქვამს, თუმცა რაც თქვა, ნამდვილად სასაცილო იყო - მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვიგეთ, ჩვენს თამაშში ბევრი დადებითი ასპექტი დავინახეო. ოთხშაბათს 10 საათზე გუნდი ავარჯიშა და ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ფეხბურთელებს ამ სიტყვებით დაემშვიდობა: *"ბიჭებო, ხვალ სამის ნახევარზე ვივარჯიშებთ."* იმ დროს ფელიქსმა არ იცოდა, რომ მომდევნო ვარჯიშს უკვე **ოტმარ ჰიტცფელდი** ჩაატარებდა. დასრულდა თუ არა "ბაიერნის" ვარჯიში, ბოსები, **კარლ ჰოპფნერი**, რუმენიგე და ჰიონესი ამ უკანასკნელის კაბინეტში მაგიდას შემოუსხდნენ და ბჭობა დაიწყეს. სამივე მათგანი შეთანხმდა იმაზე, რომ მაგათი გასაშვები იყო. პარალელურად ურეკავდნენ ჰიტცფელდსა და პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს**, რომელიც იმ დღეს დუბაიში გახლდათ.

12-ის ნახევარზე მაგათი თავისი ავტომობილით სახლში მიემგზავრებოდა, როცა მას რუმენიგემ დაურეკა და ზებენერშტრასეზე დაბრუნება სთხოვა. ფელიქსი და კალე შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს 16 საათზე შეხვდებოდნენ. მაგათი დანიშნულ დროს რუმენიგეს კაბინეტში გამოცხადდა, რომელმაც "დესპოტ ფელიქსს" გათავისუფლების შესახებ ამცნო. 16 საათსა და 25 წუთზე მაგათმა "ბაიერნის" ოფისი უსიტყვოდ დატოვა - ჟურნალისტების მტკიცებით, მწვრთნელი შოკირებული იყო.

რუმენიგე: *"გული მტკივა, რომ ასე მოხდა, მაგრამ რაღაც უნდა გველონა, რადგან აშკარად დავინახეთ იმის საფრთხე, რომ "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ველარ მოიპოვებდა. ბეკენბაუერს რამდენჯერმე დავურეკეთ, ფრანცი ყველაფერში დაგვეთანხმა და ეს გადაწყვეტილება მასაც ეკუთვნის."*

მაგათის კონტრაქტს ვადა 2008 წლამდე აქვს. როგორც იცით, ჰიონესმა და რუმენიგემ მას ახალი ხელშეკრულება ზაფხულში გაუფორმეს. გაირკვა, რომ ფელიქსი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე მიიღებს ხელფასს - მისთვის გარკვეული კომპენსაციის გადახდა რუმენიგემ გამოირიცხა.

### 16:17 - ჰიტცფელდი დაითანხმეს!

მას შემდეგ, რაც "ბაიერნის" კრიზისი აშკარა გახდა, ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ ჰიტცფელდი რეკორდმაისტერში დაბრუნდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორები იყო, რადგან ორივე მხარე ამტკიცებს, რომ ოთხშაბათამდე არანაირი მოლაპარაკება არ გამართულა. თვითონ ოტმარიც ამბობს, რომ გადაწყვეტილება ძალიან სპონტანურად, სულ რაღაც რამდენიმე წუთში მიიღო. ჰიონესმა და რუმენიგემ, 58 წლის სპეციალისტის ზებენერშტრასეზე დაბრუნება, ზუსტად 16 საათსა და 17 წუთზე, ბეკენბაუერთან შეთანხმებით გადაწყვიტეს. იმ დროს ჰიტცფელდისგან თანხმობა უკვე მიღებული ჰქონდათ და ბოლო ზარი, რა თქმა უნდა, ბეკენბაუერთან განხორციელდა. თუმცა ულისა და კალეს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ კაიზერი ამ ამბავს სიხარულით შეხვდებოდა. ასეც მოხდა: ფელიქს მაგათის წინამორბედი, მისი შემცვლელი გახდა!

ზუსტად ერთი თვის წინ ჰიტცფელდმა დორტმუნდის "ბორუსიის" მწვრთნელობა იუარა. ოტმარმა მაშინ თქვა, როცა გუნდი საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად იბრძვის, ეს ჩემთვის არასაკმარისი მოტივაციააო. "ბაიერნი" კი, მით უმეტეს, მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითებული "ბაიერნი", "გენერლისთვის" ძალიან დიდი მოტივაციაა. აი, თურმე რას ელოდა ორწელინადნახევრის განმავლობაში!

*"ოტმარმა დამირეკა და მითხრა, "ბაიერნის" შეფებს მაგათის გათავისუფლება უნდათ და დაბრუნება შემომთავაზესო. მერე კი დაამატა, ხომ იცით, მიუნხენში თუ წავალ, შენც ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე და ამაზე რას იტყვიო. გავოგნდი."* - ამბობს **მიხაელ ჰენკე**, ოტმარის ლეგენდარული ასისტენტი, რომელიც "ზაარბრიუკენის" სპორტული დირექტორი გახლდათ. ჰენკემ ჰიტცფელდს, რა თქმა უნდა, თანხმობა უთხრა, მოგვიანებით კი, "ზაარბრიუკენიდანაც" მიიღო გათავისუფლების ფურცელი. გადაწყვეტილია, რომ ჰიტცფელდი მიუნხენში ზაფხულამდე დარჩება. ასეთი მოკლევადიანი კონტრაქტის გაფორმება თვითონ ოტმარმა მოითხოვა. ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერს **სვენ-გორან ერიქსონმა** ან **ჟერარ ულიემ** უხელმძღვანელონ. მაგრამ კაცმა არ იცის, რა მოხდება, თუკი ჰიტცფელდი რომელიმე ტიტულს მოიგებს. შეგახსენებთ, "ბაიერნი" ორ ფრონტზე იბრძვის: ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგა.

### გენერალი: მჯერა, ჩემპიონები გავხდებით!

როგორც იცით, ჰიტცფელდი ტელეკომპანია "პრემიერ უორლდისთვის" მუშაობდა. დიახ, მუშაობდა, რადგან გუშინწინ, როცა მისი "ბაიერნში" დაბრუნება გადაწყდა, განცხადება დაწერა. მიუხედავად ამისა, ოთხშაბათს საღამოს, როცა ყველაფერი გარკვეული იყო, მან მაინც ისაუბრა ხსენებული ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში, თუმცა საუბრის თემა ამჯერად თვითონ იყო.

**ჰიტცფელდი ფელიქს მაგათის შესახებ**: *"სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი იმას, რომ მაგათს გაათავისუფლებდნენ. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ფელიქსმა "ბაიერნში" სრულყოფილად ორი სეზონი გაატარა და ამ ორ სეზონში ოთხი ტიტული (ორი ჩემპიონობა, ორი თასი) მოიგო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი მიუნხენური ხანა წარმატებული იყო. როცა რეკორდმაისტერმა დორტმუნდში წააგო, მივხვდი, რომ სიტუაცია დაიძაბებოდა, მაგრამ მაინც არ მეგონა, რომ ასე მალე გაათავისუფლებდნენ. "ბოხუმთან" მატჩის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ჰიონესი და რუმენიგე განგაშის ზარებს შემოჰკრავდნენ, რადგან გუნდი მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენის საფრთხე დაემუქრა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფელიქსი "ნიურნბერგთან" მატჩის სახით კიდევ ერთ შანსს მიიღებდა."*

**ჰიტცფელდი ული ჰიონესის ზარის შესახებ**: *"ულიმ დამირეკა და მკითხა, ხარ თუ არა დაინტერესებული და მოტივირებულიო. სპონტანურად ვუთხარი, ასეა-მეთქი. ამ საუბრის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ "ბაიერნში" დავბრუნდებოდი. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ როდის ჩავიბარებდი გუნდს - ახლავე თუ ორშაბათს. როცა მწვრთნელი ასეთ შეთავაზებას მიიღებს, დიდხანს არ უნდა დაფიქრდეს, რადგან ამას აზრი არ აქვს. მაშინვე იცი, გინდა თუ არ გინდა. თუ დროს გაწელავ, ყოველი დღე უაზრო და დაკარგულია."*

**ჰიტცფელდი "ბაიერნში" დაბრუნების შესახებ**: *"2004 წელს ერთმანეთს მეგობრულად დავცილდით - ისე, რომ ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვის არ გვრცხვენოდა. როცა "ბაიერნში" გიხმობენ, უარის თქმა ყოველთვის ძალიან ძნელია. ეს სწორედ ის მომენტია, რომელსაც ველოდი. სიტუაცია ჩემთვის აბსოლუტურად ხელსაყრელია. დასვენებული, მონდომებული და მოტივირებული ვარ. მზად გახლავართ, "ბაიერნის" სამსახურში ჩავდგე."*

**ჰიტცფელდი მოკლევადიანი კონტრაქტის შესახებ**: *"ასეთი იყო ჩემი სურვილი! ჰიონესს ვუთხარი, ახლავე მოვდივარ, ოღონდ მუშაობა მხოლოდ ზაფხულამდე მინდა-მეთქი. ზაფხულიდან კი, ულიმ და კალემ ახალი გზა უნდა ეძებონ."*

**ჰიტცფელდი "ვერდერისა" და "შალკეს" შესახებ**: *"დღესავით ნათელია, რომ ეს გუნდები ყველა თამაშს ვერ მოიგებენ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გერმანიის ჩემპიონი "ბაიერნი" გახდება. მე ყოველთვის მებრძოლი და მაქსიმალისტი ვიყავი. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. მინდა, რომ გუნდიც ძველებურად მებრძოლი და მაქსიმალისტი გახდეს."*

### პრეზენტაცია

გუშინ ოტმარმა რეკორდმაისტერი პირველად ავარჯიშა, მანამდე კი, ჰიონესმა ის პრესკონფერენციაზე "ბაიერნის" ახალ მწვრთნელად ოფიციალურად წარადგინა. ოტმარმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ის სიტყვები, რაც წინა დღეს, "პრემიერ უორლდის" პირდაპირ ეთერში თქვა: *"ჩვენი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. ლიდერებს რვა ქულით ჩამოვრჩებით. ეს ძალიან ბევრია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. პროგრამა მინიმუმი კი მესამე ადგილზე გასვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება. ერთი სიტყვით, მე სახლში დავბრუნდი!"*

რაც შეეხება კონტრაქტს. *"ვფიქრობ, ზაფხულიდან "ბაიერნს" სხვა მწვრთნელი ეყოლება."* - განაცხადა ჰიტცფელდმა ხსენებულ პრესკონფერენციაზე. ჰიონესი კი ამბობს, რომ ჯერ არ იცის, ვინ გაწვრთნის რეკორდმაისტერს 1 ივლისიდან, არავითარი გეგმა არ გვაქვსო და იქვე დასძენს: *"თუკი ჰიტცფელდი წარმატებას მიაღწევს, გიჟები უნდა ვიყოთ, კონტრაქტის გაგრძელება რომ არ შევთავაზოთ. წინ კიდევ 15 თამაშია, გერმანიის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ."*

### დებიუტი დღეს, ნიურნბერგში

მაშ ასე, ოტმარ ჰიტცფელდი მეორე მიუნხენურ ხანას დღეს, ნიურნბერგში გასამართი მატჩით იწყებს. "ნიურნბერგის" დამარცხება ყველას ძალიან უჭირს. თავად განსაჯეთ, **ჰანს მაიერის** გუნდს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 2 ნაგება აქვს. ესეც არ იყოს, ფრანკებს ყველაზე ცოტა, სულ რაღაც 19 გოლი აქვთ გაშვებული. ერთი სიტყვით, "რკინის ჰანსის" შეგირდების დამარცხება არც ისე იოლია. ასე რომ, ჰიტცფელდს რთული დებიუტი ელის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ბავარიული დერბია და თანაც, "ნიურნბერგმა" რეკორდმაისტერი ბოლოს 1999 წელს დაამარცხა (2:0). "ბაიერნის" მწვრთნელი მაშინაც ჰიტცფელდი გახლდათ. "ნიურნბერგის" ბოსი **მიხაელ როთი** ამბობს: *"ერთი მითხარით, რა უნდა შეცვალოს ჰიტცფელდმა ორ დღეში? მოედანზე ოტმარიც იმავე გუნდს გამოიყვანს, რაც მაგათს ჰყავდა. ცხადია, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჰიტცფელდს ეს დებიუტი ჩავუმწაროთ."*

### როგორი იყო პირველი ხანა

ჰიტცფელდმა სამწვრთნელო კარიერაში სულ 16 ტიტული მოიგო და ყველა დროის ყველაზე წარმატებული გერმანელი მწვრთნელია. 16-იდან 8 ტიტული მან "ბაიერნის" თავკაცის რანგში მოიპოვა. როცა ოტმარი მიუნხენურ კლუბში გადავიდა (1998 წელს), მას დორტმუნდის "ბორუსიის" მწვრთნელის რანგში ორჯერ გერმანიის ჩემპიონობა და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა ჰქონდა მოგებული. ოტმარმა "ბაიერნი" ოთხჯერ გახადა გერმანიის ჩემპიონი (1999, 2000, 2001 და 2003 წლებში), ორჯერ მოაგებინა გერმანიის თასი (2000, 2003) და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა (2001). ამრიგად, 2000-2001 წლების სეზონი მის სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე წარმატებული იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი კლასის ფეხბურთელებად **შტეფან ეფენბერგი, ჯოვანი ელბერი, მიხაელ ბალაკი** და **ოლივერ კანი**. ოტმარი მიუნხენური კლუბიდან 2004 წლის ზაფხულში გაუშვეს. მიზეზი ის გახლდათ, რომ იმ სეზონში "ბაიერნი" ვერც გერმანიის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგასაც ნაადრევად გამოეთიშა. ოტმარ ჰიტცფელდის ხელში "ბაიერნმა" სულ (ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა, გერმანიის თასი) 304 თამაში ჩაატარა და აქედან 189 შეხვედრა მოიგო (62 პროცენტი).

**გოტფრიდ ლენცი**

## ექსპერტის მოსაზრება

### ბილდი: ღია წერილი ფელიქს მაგათს

**პატივცემულო ფელიქს მაგათ, თუ თქვენ ერთი წამით მაინც გაიფიქრეთ, რომ ცუდი მწვრთნელი ხართ, ძალიან ცდებით. თქვენ არ გაუთავისუფლებიხართ იმის გამო, რომ მწვრთნელობაში შეგეშალათ რამე. დამიჯერეთ, "ბაიერნიდან" თქვენი გაგდების უმთავრესი მიზეზი რუმენიგესა და ჰიონესის ეგოისტობაა. თქვენ ამ ორი კაცის ეგომ გაგათავისუფლათ! კალემ და ულიმ ვერ აიტანეს ის, რომ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილამდე დაეშვით. ხოლო ის, რომ "ბაიერნი" ევროპის მასშტაბით ძალიან ქვემოთაა, მათ სულაც არ აღელვებთ.**

**რუმენიგემ და ჰიონესმა ფელიქს მაგათი გააგდეს, ამაში გაუგებარი, პირადად ჩემთვის, არაფერია. უბრალოდ, სიმართლე ის არის, რომ ფრანც ბეკენბაუერისა და გერდ მიულერის შემდეგ, "ბაიერნს" გენიოსი ფეხბურთელები აღარ ჰყოლია. "ბაიერნი" დღეს მხოლოდ და მხოლოდ ოლუზიაა, ზღაპარია. ევროპულ ფეხბურთში ჩვენი რეკორდმაისტერი მხოლოდ და მხოლოდ ეპიზოდურ როლს თამაშობს. ბუნდესლიგაში მეოთხეა? ე.ი. გერმანიაშიც კარგავს მთავარ როლს.**

**იცით რა? მე, როგორც "ბაიერნის" ფანი, პირველ რიგში რუმენიგეს და ჰიონესს გავაგდებდი! და "ბაიერნს" ზუსტად ისეთი ფეხბურთის თამაშს მოვთხოვდი, როგორსაც ადრე თამაშობდა - იმ დროს, როცა FCB-ში ბეკენბაუერი და გერდ მიულერი ასპარეზობდნენ...**

**ფრანც იოზეფ ვაგნერი**

#### ბაიერნის ყველა ნაგება ამ სეზონში

15 ივლისი: სტრასბური-ბაიერნი 2:0 (ამხ)
31 ივლისი: ბაიერნი-ურავა რედ დაიმონდსი 0:1 (ამხ)
5 აგვისტო: ვერდერი-ბაიერნი 2:0 (ლიგის თასის ფინალი)
8 აგვისტო: მიუნხენი-ბაიერნი 3:0 (ელბერის გამოსათხოვარი მატჩი)
22 აგვისტო: ბარსელონა-ბაიერნი 4:0 (ამხ)
16 სექტემბერი: არმინია-ბაიერნი (ბუნდესლიგა)
30 სექტემბერი: ვოლფსბურგი-ბაიერნი 1:0 (ბუნ)
21 ოქტომბერი: ვერდერი-ბაიერნი 3:1 (ბუნ)
8 ნოემბერი: ბაიერნი-ჰანოვერი 0:1 (ბუნ)
20 დეკემბერი: ალემანია-ბაიერნი 4:2 (გერმანიის თასი)
26 იანვარი: დორტმუნდი-ბაიერნი 3:2 (ბუნ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A-ს ყველა ტრანსფერი

# ზამთრის ბაზარი მილანისაა

**31 იანვარს ევროპაში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. იტალიურ გუნდებს შორის ბაზარზე ყველაზე მეტად „მილანმა“ იაქტიურა. რონალდოსა და ოდოს შეძენამ კლუბში დიდი ენთუზიაზმი შეიტანა და მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეავსო ის დანაკლისი, რომელიც „როსონერის“ პასიურად ჩატარებული საზაფხულო კამპანიის შემდეგ ჰქონდა. „გაძეტა დელო სპორტმა“ გუშინ სერია A-ს ყველა ტრანსფერის სია გამოაქვეყნა და თითოეული კლუბის მიერ წარმოებულ სატრანსფერო კამპანიას საკუთარი შეფასებაც მისცა.**

## ასკოლი

მივიდნენ: დი ბიაჯო (თავისუფალი აგენტი), მელარა (ტორინო), ბონანი (სამპდორია), სონჩინი (ატალანტა), ჩენტი (ატალანტა), ლომბარდი (არეცო)

წავიდნენ: ლუკოვიჩი (უდინეზე), სკელა (ენერგი), გოტი (უდინეზე), პეკია (ფოჯა), კუდინი (ვიჩენცა), ბოკეტი (ფროზინონე), გალოპა (სიენა), პეკორარი (სპეცია)

სავარაუდო შემადგენლობა: პალიუკა, დი ბიაჯო, ვასტოლა, მელარა, ნასტასე, ფინი, ფონტანა, პ.ძანეტი, ბონანი, ბიელანოვიჩი, პაოლუჩი.

მწვრთნელი: სონეტი

შეფასება: 6.5

## ატალანტა

მივიდნენ: ტავერა (კრუზეირო), ჩია (ალტო ადიჯე)

წავიდნენ: სონჩინი (ასკოლი), ჩენტი (ასკოლი), მაგრინი (პრო ვერჩელი), მანძონი (პადოვა)

სავარაუდო შემადგენლობა: კალდერონი, ბელინი, კაროციერი, რივალტა, ლორია, ფერეირა პინტუ, დონატი, მილიაჩო, არიატი, დონი, ძამპანია

მწვრთნელი: კოლანტუონო

შეფასება: 6

## ემპოლი

მივიდნენ: კორალი (ლუკეზე)

წავიდნენ: პელეკია (პერუჯა), გასპარეტო (ჯენოა), ბუძეგოლი (პიზა)

სავარაუდო შემადგენლობა: ბალი, რაჯი, ლუკინი, პრატალი, ტოსტო, მორო, ალმირონი, ბუშე, ვანუკი, მატეინი, საუდატი

მწვრთნელი: კანი

შეფასება: 6

## ინტერი

მივიდნენ: არავინ

წავიდნენ: კოკო (ტორინო), სეზარი (ლივორნო), ბელაიდი (პსვ)

სავარაუდო შემადგენლობა: ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი, კორდობა, მაქსველი, ვიეირა, ხ.ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: მანჩინი

შეფასება: 6.5

## კალიარი

მივიდნენ: მარკინი (ტრიესტინა), ბრუცონე (კაშინა)

წავიდნენ: პეანა (ტრიესტინა), კოკო (ვენეცია)

სავარაუდო შემადგენლობა: ფორტინი, პიზანო, ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი, კონტი, ბლონდინი, კოლუჩი, მარკინი, ლანჯელა, სუაზო

მწვრთნელი: კოლომბა

შეფასება: 6

## კატანია

მივიდნენ: ბიაჯანტი (პრო ვასტო), სპადავეკია (პესკარა), პლაზმატი (კროტონე)

წავიდნენ: დანუჩი, დელ კორე და ანასტაზი (ყველა ჩეზენა), ნარდინი (რეჯინა), პოლიტო (პესკარა)

სავარაუდო შემადგენლობა: პანტანელი, სილვესტრი, სოტილი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, ედუზეი, კაზერტა, ჯ. კოლუჩი, სპინეზი, მასკარა

მწვრთნელი: მარინო

შეფასება: 6

## კიევო

მივიდნენ: იტალიანო (ვერონა), ბოგდანი (სიენა), სეზარ პრატესი (ლივორნო), კოცოლინო (ლეჩე), კონჩეტი (მონცა), რუდო (ანკონა), ტროიანო (მოდენა)

წავიდნენ: გოდეასი (მანტოვა), გარძონი (აველინო), ბრუნო (მოდენა), ტირიბოკი (ლეჩე), ძანკეტა (ლეჩე), სილვა რეისი (პრატო), მარკეზეტი (ტრიესტინა), პასარინი (კრემონეზე)

სავარაუდო შემადგენლობა: სიჩინიანო, მორო, მანდელი, დ'ანა, ლანა, სამარკო, იტალიანო, სემიოლი, ბრიგი, ბოგდანი, ობინა

მწვრთნელი: დელ ნერი

შეფასება: 7

## ლაციო

მივიდნენ: ხიმენესი (ტერნანა), კორეა (ლანჩანო)

წავიდნენ: ოდო (მილანი), ფოჯა (რეჯინა), კუადრი (სპეცია)

სავარაუდო შემადგენლობა: პერუცი, ბეჰრამი, სივილია, კრიბარი, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, მუტარელი, მაური, პანდევი, როკი

მწვრთნელი: დელიო როსი

შეფასება: 6.5

## ლივორნო

მივიდნენ: კოპოლა (მესინა), ბერგვოლდი (კოპენჰაგენი), სეზარი (კორინთიანსი), ფიორე (ტორინო)

წავიდნენ: ჯალომბარდო (მესინა), დანილევიჩუსი (ბოლონია), ვიჯანი (რეჯინა), არჯილი (ფროზინონე), ბაკაიოკო (მესინა), სეზარ პრატესი (კიევო)

სავარაუდო შემადგენლობა: ამელია, გრანდონი, გალანტე, კუფური, პასკუალე, პასონი, ა. ფილიპინი, მორონე, ფიორე, სეზარი, ლუკარელი

მწვრთნელი: არიგონი

შეფასება: 7

## მესინა

მივიდნენ: პესტრინი (ჩეზენა), ჯალომბარდო (ლივორნო), პაოლეტი (უდინეზე), კანდელა (სიენა), დ'ავესრა (სიენა), ბაკაიოკო (ლივორნო)

წავიდნენ: კოპოლა (ლივორნო), რაფაელი (ფლუმინენსე), სტორარი (მილანი), სულო (აველინო)

სავარაუდო შემადგენლობა: კალიონი, ზორო, ძანკი, იულიანო, პარიზი, დ'ავერსა, კანდელა, ალვარესი, პესტრინი, რიგანო, ფლოკარი

მწვრთნელი: კავაზინი

შეფასება: 6.5

## მილანი

მივიდნენ: გრიმი (რასინგ აველიანდა), სტორარი (მესინა), ოდო (ლაციო), რონალდო (რეალ მადრიდი)

წავიდნენ: არავინ

სავარაუდო შემადგენლობა: დიდა, ოდო, მადლინი, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო, რონალდო

მწვრთნელი: ანჩელოტი

შეფასება: 7.5

## პალერმო

მივიდნენ: მატუსიაკი (ბელჩატოვი), კავანი (დანუბიო), ჩარამიტარო (პარმა), ჯაკომაცი (პალერმო)

წავიდნენ: ბოვო (ტორინო), პარავიჩინი (პარმა), მუნარი (ლეჩე)

სავარაუდო შემადგენლობა: ფონტანა, კასანი, პიზანო, ბარძალი, ძაკარდო, გუანა, კორინი, სიმპლისიო, ბრეშანო, დი მიკელე, კარაჩოლო,

მწვრთნელი: გუიდოლინი

შეფასება: 7

## პარმა

მივიდნენ: პერნა (მოდენა), როსი (მანჩესტერ იუნაიტედი), პარავიჩინი (პალერმო), რინალდი (უდინეზე)

წავიდნენ: დედიჩი (ფროზინონე), ჩარამიტარო (პალერმო), სავი (მონცა)

სავარაუდო შემადგენლობა: ბუჩი, პერნა, პაჩი, კონტინი, პიზანუ, ბოლანო, კასტელინი, გრელა, მორფეო, როსი, ბუდანი

მწვრთნელი: პიოლი

შეფასება: 6.5

## რეჯინა

მივიდნენ: ნარდინი (კატანია), ვიჯანი (ლივორნო), ფოჯა (ლაციო), პუჯონი (პიზა), ნოვაკოვიჩი (ოდენსე), გაცი (ბარი)

წავიდნენ: კორობიო (ჯენოა), ლეონი (ჯენოა), რიოსი (როსარიო სენტრალი), პელიცოლი (მოსკოვის ლოკომოტივი), ჩერავოლო (პიზა), შიბა (პრო ვასტო), კასტილია (ვიჩენცა), მორაბიტო (კროტონე)



რონალდო

სავარაუდო შემადგენლობა: კამპანიოლო, ლანძარო, ლუკარელი, არონიკა, მესტო, ვიჯანი, მოდესტო, ტედესკო, ფოჯა, ბიანკი, ამორუზო

მწვრთნელი: მაცარი

შეფასება: 6.5

## რომა

მოვიდნენ: ვილჰელმსონი (ნანტი), ტავანო (ვალენსია)

წავიდნენ: მონტელა (ფულჰემი), ძოტი (სამპდორია)

სავარაუდო შემადგენლობა: დონი, პანუჩი, კივუ, მექსე, ტონეტო, დე როსი, პისარო, მანსინი, ტადეი, პეროტა, ტოტი

მწვრთნელი: სპალეტი

შეფასება: 7

## სამპდორია

მივიდნენ: ძოტი (რომა), ფერარი (ნიუ იორკ მეტროსტარზი), ციგლერი (ტოტენჰემი), კუჩინიელო (აველინო)

წავიდნენ: ბონანი (ასკოლი), ფოტი (ვიჩენცა)

სავარაუდო შემადგენლობა: ბერტი, ძენონი, სალა, ფალკონე, მაჯო, კუალიარელა, ვოლპი, პალომბო, ციგლერი, ფლაკი, ბაძანი

მწვრთნელი: ნოველინო

შეფასება: 6

## სიენა

მივიდნენ: ბენუსი (ლეჩე), იაკოლა (ტპ47), მაკარონე (მიდლსბრო), გალოპა (ასკოლი), ერიომენკო (უდინეზე)

წავიდნენ: მაზიელო (ჯენოა), პავარინი (ლეჩე), ზაიცი (მარიბორი), ბოგდანი (კიევო), დ'ავესრა (მესინა), კანდელა (მესინა)

სავარაუდო შემადგენლობა: მანინგერი, ბერტოტო, რინაუდო, პორტანოვა, მოლინარო, ანტონინი, ვერგასოლა, კოდრეა, ფრიკი, მაკარონე, კიეზა

მწვრთნელი: ბერეტა

შეფასება: 6.5

## ტორინო

მივიდნენ: კოკო (ინტერი), ბოვო (პალერმო)

წავიდნენ: დუდუ (ჩეზენა), ფერარეზე (ვერონა), ორფეი (სალერნიტანა), მელარა (ასკოლი), ფიორე (ლივორნო), მუზიჩი (ტრევიზო)

სავარაუდო შემადგენლობა: აბიატი, ჩოფი, ფრანჩესკინი, დი ლორეტო, კომოტო, დე აშენტისი, ბარონე, კოკო, როზინა, აბრუსკატო, სტელონე

მწვრთნელი: ძაკერონი

შეფასება: 7

## უდინეზე

მივიდნენ: სივოკი (სპარტა), კასაცა (პავია), ლუკოვიჩი (ასკოლი), ზაპოტოჩნი (სლოვანი)

წავიდნენ: პაოლეტი (მესინა), შუმახერი (მურსია), აგილარი (ხერესი), ერიომენკო (სიენა), ვარგასი (ტრევიზო), ჯერარდი (პისტოიეზე)

სავარაუდო შემადგენლობა: დე სანკტისი, საპატა, ნატალი, ფელიპე, ძენონი, ობოდო, ლუკოვიჩი, მუნტარი, პინცი, დი ნატალე, იაკუინტა

მწვრთნელი: მალეზანი

შეფასება: 6

## ფიორენტინა

მივიდნენ: კუზმანოვიჩი (ბაზელი), კარკურო (ტრევიზო), ალექსი (პლოვდივის ლოკომოტივი)

წავიდნენ: ლობონტი (დინამო ბუქარესტი), დო პრადო (სპეცია)

სავარაუდო შემადგენლობა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, ბლაზი, ლივერანი, გობი, იორგენსენი, მუტუ, ტონი

მწვრთნელი: პრანდელი

შეფასება: 6.5

ახალი სკანდალი

# ჰაინკესი: მოკვლით მემუქრებოდნენ!

## დონ იუპი იძულებული გახდა, პირადი მცველები აეყვანა...

"ბაიერნსა" და "ჰამბურგში" დატრიალებულმა ამბებმა **იუპ ჰაინკესის** ამბავი დაჩრდილა. თუმცა მიონხენგლადბახის "ბორუსიის" შემთხვევაშიც არანაკლები რამ მოხდა. გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ ჰაინკესი "ნიურნბერგთან" მატჩის (0:0) შემდეგ "გლადბახის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. "დონ იუპმა" განცხადება თავისი ნება-სურვილით დაწერა და თანაც უარი თქვა ყოველგვარ კომპენსაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გასაკვირი იყო. ბევრს ეგონა, რომ ჰაინკესი წარუმატებლობების გამო წავიდა, არადა, საქმე სულ სხვა რამეში ყოფილა.

"რაინიშე პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში "დონ იუპი" ამბობს, რომ მას მოკვლით ემუქრებოდნენ, რის გამოც იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა. *"ბოლო ორი თვის მანძილზე სამჯერ დამემუქრნენ მოკვლით. ეს იმდენად სერიოზული მუქარა იყო, რომ შევშინდი და დაცვა ავიყვანე. ბოხუმსა და კოტბუსში პირადი მცველებით ჩავედი, სამართალდამცავები კი ჩემს სახლთან იყვნენ და ოჯახის წევრებს ყარაულობდნენ. გასულ უქმეებზე კიდევ ერთი შეტყობინება მივიღე - მემუქრებოდნენ, თუ გგონია, რომ შენი ცოლი კიდევ დიდხანს იცოცხლებს, ძალიან ცდებიო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. არადა, თანამდებობის დატოვება არ მინდოდა. ჩემი გული "გლადბახს" ეკუთვნის და დარწმუნებული ვიყავი, რომ წარმატებებს მივაღწევდი. რომ არა მუქარა, პოსტის დატოვება აზრადაც არ მომივიდოდა. ხელმძღვანელები ყველანაირად მხარში ამომიდგნენ და ნდობა გამომიცხადეს, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ თანამდებობაზე ველარ დავრჩებოდი. "ნიურნბერგთან" რომც მოგვეგო, მაინც გადავდგებოდი."* - აცხადებს 61 წლის სპეციალისტი, რომელმაც სამშაბათს 501-ედ დამოძღვრა ბუნდესლიგური კლუბი.

ესეც ახალი სკანდალი: ბუნდესლიგელ მწვრთნელს მოკვლით ემუქრებოდნენ. გამოძიება დაწყებულია და იმედია, უახლოეს მომავალში ყველაფერი გაირკვევა. მიონხენგლადბახურ კლუბს კი მომდევნო ტურში ჰაინკესის თანაშემწე **იოს ლუჰუკეი** უხელმძღვანელებს...



იუპ ჰაინკესი

მოსალოდნელი გარიგება

# ლივერპული არა, ნიუკასლი?

დუბაელებმა "ლივერპულთან" მოლაპარაკებები შეწყვიტეს. "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალმა" უკან წაიღო 882 მილიონდოლარიანი შეთავაზება და თამაშიდან გავიდა. ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბს შეიხი მოჰამედ ბინ რაშინ ალ მაქთუმი არ შეიძენს. მერსისაიდელებმა მოლაპარაკებები განაახლეს ამერიკელ მილიარდერ ჯორჯ ჯილეტ უმცროსთან, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "მონრეალ კანადიენსის" მეპატრონეა. სხვადასხვა დროს ის "მაიამი დოლფინსისა" და "ჰარლემ გლოუბტროტერსის" მეწილეც იყო. თუ ჯილეტი "ლივერპულს" შეიძენს, პრემიერლიგის მესამე ამერიკელი ინვესტორი გახდება. მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ასტონ ვილასაც" ამერიკელი მილიარდერები - მალკოლმ გლეიზერი და რენდი ლერნერი ფლობენ. გუშინდელი ინფორმაციით, დუბაი ინტერნეშენელ კაპიტალი "ნიუკასლის" ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და შესაძლოა, "ლივერპულის" ნაცვლად, ეს კლუბი შეიძინოს. "ნიუკასლი" 227 მილიონი გირვანქა (დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი) ღირს.

ვილიარეალი

# რიკელმემ წასვლა არ ისურვა

## არგენტინელი პელეგრინის ნდობის დასაბრუნებლად იბრძოლებს

**ხუან რომან რიკელმეს** სერიოზული პრობლემები აქვს. შეგახსენებთ, **მანუელ პელეგრინისთან** კონფლიქტის გამო მან "ვილიარეალის" ბოლო ექვსი შეხვედრა გამოტოვა. ჩილელ სპეციალისტს რომი განაცხადშიც კი არ შეჰყავს. პრეზიდენტი **ფრანსისკო როიგი** პელეგრინით კმაყოფილია და მას კონტრაქტიც კი გაუხანგრძლივა. აქედან გამომდინარე, სიტუაციის განსამუხტავად საუკეთესო გამოსავალი რიკელმეს გასხვისება იქნებოდა.



ხუან რომან რიკელმე

არგენტინელს რამდენიმე საინტერესო კლუბი გამოუნახეს, მაგრამ მან ყველა უარით გაისტუმრა. არადა, სენიორ როიგი 31 იანვრის 23:59 წუთამდე იმედოვნებდა, რომ ხუან რომანი რომელიმე შეთავაზებას დათანხმდებოდა. სამხრეთამერიკელი "ვილიარეალში" მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება. ფეხბურთელთან დაახლოებეული პირები აცხადებენ, რომ ის კონფლიქტის მოგვარებას შეეცდება და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებისთვის იბრძოლებს. პელეგრინი მისგან თავდადებულ შრომას, თავმდაბლობასა და პატივისცემას ითხოვს. სხვა შემთხვევაში, რიკელმეს ბურთთან გაკარების იმედიც არ უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის მოსაზრება

# ინტერის წარმატების ფორმულა

## მორატიმ მწვრთნელის მოსმენა ისწავლა



არიგო საკი

„ინტერი" დომინირებს, გამანადგურებელი გუნდია. თავისი კოლოსალური ძალით, თავისი შეუჩერებელი სვლით ტურიდან ტურამდე აგროვებს ქულებს, მომხრეებსა და სიმპათიას კრიტიკოსებსა და მედიის წარმომადგენლებს შორის. გავიხსენოთ, რომ ამ ხალხის დიდი უმრავლესობა ბოლო 12 წელიწადში „ინტერს" (ხელმძღვანელობას, გუნდს, პრეზიდენტს) კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა, თუმცა არც ირონიას აკლებდა და ხშირად აბუჩადაც იგდებდა. მაგრამ რა ძალა აქვს წარმატებას! გადაჭარბებული იყო მწარე კრიტიკა მაშინ თუ გადამეტებულია ქება-დიდება ახლა? ვფიქრობ, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ვერავინ დააყენებს ეჭვქვეშ ამ ბრწყინვალე გუნდის სიძლიერესა და ტექნიკურ-ტაქტიკურ პოტენციალს. იმის მტკიცება, რომ „ინტერის" წარმატება ნაკლებად ფასობს, ვინაიდან „იუვენტუსი" არ არის და „მილანმაც" ჰანდიკაპით დაიწყო, დიდ უსამართლობად მიმაჩნია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველა დანარჩენი მეტოქე იგივეა, რაც ადრე იყო, და კიდევ იმიტომ, რომ არც „იუვენტუსს" და არც „მილანს", უახლოეს წარსულში, არ გაუკეთებიათ იმდენი, რამდენსაც დღევანდელი „ინტერმა" გააკეთა და აკეთებს. სხვა სიტყვებით, არცერთს არ ჰქონია მსგავსი სარეკორდო შედეგები. მეორე მიზეზი: თუკი „იუვენტუსი" დღეს სერია B-ში თამაშობს, ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს და არანაირად „ინტერს". „მილანს" რაც შეეხება, არა მგონია, წლევანდელი ბრწყინვალე „ნერაძურისთვის" რეალური წინააღმდეგობის გაწევა შეძლებოდა, ის რვა ქულა რომ არ ჩამოეკლოთ.

არასწორი სკუდეტო. ყურადღების გამახვილება უფრო იმაზე ღირს, რომ „ინტერისთვის" გასული ჩემპიონატის სკუდეტოს ასე ნაჩქარევი წესით გადაცემა, როგორც ახლა გამოჩნდა, აშკარა შეცდომა იყო. ბოლოდროინდელი ფაქტები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ სხვა კლუბების მსგავსად „ნერაძურიც" არ იყო მთლად სუფთა და გაუსვრელი. გავიხსენოთ ყალბი პასპორტების ამბები, მერე გამოძიებები საგადასახადო დოკუმენტების გაყალბებაზე, ყალბი ხელმოწერები, ფარული თვალთვალი და ფარული სატელეფონო მოსმენები. ნებისმიერ შემთხვევაში, გასულ ჩემპიონატში იმდენად ბევრი უკანონობა იყო, რომ ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, თუ იტალიის ჩემპიონის ტიტული არცერთ გუნდს არ გადაეცემოდა. მეტიც, სკანდალის მასშტაბებიდან გამომდინარე, ჩემპიონატი სულაც უნდა შემწყდარიყო. მაგრამ ყველაფერი გაკეთდა, რომ ის გაგრძელებულიყო. და ისე გააგრძელეს, თითქოს არაფერი მომხდარიყო. როგორც ჩანს, ფული ბევრად უფრო მეტს ნიშნავს და ბევრად უფრო მეტს წყვეტს, ვიდრე ეთიკა, პატიოსნება და გამჭვირვალობა. მოკლედ: საცირკო სანახაობის შეჩერება არ შეიძლება. თუმცა ყველას და ყველაფრის დადანაშაულებაც არ შეიძლება: ჩვენს სპორტულ სტრუქტურებში, ოლიმპიურ კომიტეტში, ფედერაციაში, საფეხბურთო ლიგასა და კლუბებში ბევრი პატიოსანი და ღირსეული ადამიანია. ისინი ყოველთვის სერიოზულად მუშაობდნენ და მუშაობენ, დღესაც დაუღალავად შრომობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებულ მავნე ჩვევებს, ტრადიციებსა და ათასგვარ კერძო ინტერესს აწყდებიან. მთავრობა და პოლიტიკა თითქმის არასდროს ღებულობს ზომებს ფეხბურთში სიტუაციის გასაუმჯობესებლად. პირიქით, ძალიან ხშირია, როცა პოლიტიკა საფეხბურთო ფენომენს საკუთარი პოპულისტური მიზნებისთვის იყენებს. მთავრობის ყველა ჩარევა ნეგატიურ შედეგებს იძლევა და ნამდვილად არ ემსახურება საფეხბურთო სამყაროს გაჯანსაღებას. რაც შეეხება პოლიტიკას, ამჯერად „საფეხბურთოს", შევამჩნიე, რომ ჩვენი ფედერაციის ექსპრეზიდენტი **ფრანკო კარარო** უეფას პრეზიდენტის არჩევნებს ესწრებოდა (რომელიც **პლატინის** გამარჯვებით დასრულდა). განცვიფრებული დავრჩი. ამას იმ აზრამდე მივყავარ, რომ, როგორც ჩანს, მაინც არ გვინდა, ბოლომდე გავწყვიტოთ კავშირი ბნელ წარსულთან და იმ ხალხთან, რომელმაც ასეთ მძიმე სიტუაციამდე მიგვიყვანა.

ბევრი ფული. კიდევ ერთ დიდ პრობლემად რჩება საფეხბურთო მეპატრონე-მეცენატების საკითხი. ეს ბატონები თავიანთი გატაცებისთვის (თუ სხვა მიზნებისთვის) ფულს აქეთ-იქეთ ისვრიან, რითაც საფეხბურთო ბაზარსა და კონკურენციას ანადგურებენ და დიდ საფრთხეს უქმნიან ფეხბურთის მომავალს. ვფიქრობ, ფიფა ვალდებულია, ახლავე ჩაერიოს და დაავალდებულოს ყველა კლუბი, რომ იარსებონ თვითდაფინანსებაზე და ხარჯონ მხოლოდ ის ფული, რომელსაც საკუთარი მენეჯმენტით გამოიმუშავებენ. ეს იქნება ბრწყინვალე საშუალება, რომ ფეხბურთს ჩამოვაშოროთ ზემოთნახსენები ინდივიდები, ყველა ის საეჭვო პიროვნება, ვინც ფეხბურთის გარშემო ტრიალებს. კლუბებს წახალისება სჭირდებათ, რომ იყვნენ უფრო აქტიურები, მოქნილები და კონკურენტუნარიანები. ამგვარად, ფეხბურთში ყველასთვის ერთი და იგივე წესები იარსებებს, იქნება მეტი გამჭვირვალობა, მეტი კონკურენცია და რაც მთავარია, მეტი იქნება არაპროგნოზირებადობის ხარისხი, რაშიც ფეხბურთის მთელი ხიბლი დევს.

მდიდრები და ღარიბები. კომერციულმა ტელევიზიებმა, კლუბებთან ინდივიდუალურად დადებულმა კონტრაქტებმა ფეხბურთში ძალიან დიდი ეკონომიკური უთანასწორობა წარმოშვა. ამას დაემატა სკანდალი და არცთუ სანახაობრივი თამაშები, და საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ დაიკარგა ინტერესი. შესაბამისად, გარდაუვალი იყო სტადიონების დაცარიელება. მაყურებელი ბილეთში ფულს აღარ იხდის. დიდი იმედი მაქვს, რომ სატელევიზიო უფლებების კოლექტიურად გაყიდვის დაკანონების ინიციატივა მალე სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. ეს თანამედროვე ფეხბურთის ერთი-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. დღეს, ტელევიზიებმა და ულტრამილიარდერმა მეპატრონეებმა თავიანთი ფულით იმდენად დაარღვიეს საფეხბურთო სისტემაში არსებული წონასწორობა, რომ ფეხბურთმა ხიბლი და ემოცია დაკარგა. თვალი გადავავლოთ ბოლო ხუთ წელიწადს: ზედიზედ მოგებული შეხვედრების რეკორდები მოიხსნა გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში. არადა, ეს რეკორდები მრავალი ათწლეულის მანძილზე ხელშეუხებელი რჩებოდა. ეს ახალი სიტუაცია ფეხბურთში არაპროგნოზირებადობას კლავს, ჩემპიონატებში სიურპრიზის, მოულოდნელობის ფაქტორი იკარგება. ახლა უკვე ძალიან მდიდარი და ძალიან ღარიბი კლუბები არსებობენ. დროა, ღრმად და საფუძვლიანად ვსწავლობდეთ ამერიკული NBA-ს სტუქტურას. ის თანამედროვე პროფესიული მენეჯმენტის მაგალითია.

ვიერი და რონალდო. იტალიას და „ინტერს" დავუბრუნდეთ. აშკარაა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ამ 12 წლის მანძილზე დაშვებულ შეცდომებზე ბევრი ისწავლა. მისმა პრეზიდენტმა მთავარ მოსაუბრედ როგორც იქნა აირჩია მწვრთნელი მანჩინი და არა ვიერი ან რონალდო, რომლებსაც დესტაბილიზაცია და დაბნეულობა შეჰქონდათ ისედაც რთულ და ძნელადსამართავ გუნდში. მორატიმ მანჩინისთან მიმართებაში მოთმინება გამოიჩინა. მართალია, არაერთხელ დაეჭვებულა მწვრთნელის კომპეტენციაში, არაერთხელ იდგა მისი გაშვების პირას, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოუსმინა მანჩინის, მიჰყვა მის იდეებს და ამგვარად, ფულის უზომო და უკიდეგანო ფლანგვამაც, ბოლოს და ბოლოს, შედეგი გამოიღო. მაგრამ გვახსოვდეს, რომ ფულით, მხოლოდ და მხოლოდ ფულით, პროექტის, ცოდნისა და ზუსტი გათვლების გარეშე, ვერასოდეს მიაღწევდა ისეთ ფანტასტიკურ შედეგებს, როგორიც დღეს აქვს.



მილანის ინტერი დღეს...

იმიტაცია. თუკი იტალიის ჩემპიონატმა მომხიბლაობა და შესაბამისად, მაყურებელი დაკარგა, ამაში ბრალი იმ კლუბებსაც მიუძღვით, ვინც სცადა, რომ მიებაძა და ბრმად გადაეღო დიდი და მდიდარი კლუბების მოდელი. ეგონათ, რომ მხოლოდ ფული და ფეხბურთელების ინდივიდუალური მონაცემები წარმატების გარანტია იყო. ყურადღების მიღმა დარჩათ ისეთი ასპექტები, რომლებსაც ფულზე გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვთ. ვგულისხმობ დიდ საკლუბო ორგანიზაციას, გუნდური თამაშის პრინციპებს, კომპეტენციას, სწავლის სურვილს, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს, ინოვაციას, მოტივირებას, გუნდურ სულისკვეთებას. როცა ნაკლებად უზრუნველყოფილ გუნდს უნდა, რომ გრანდებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს, მაშინ ვალდებულია, აქცენტი გააკეთოს კოლექტივზე, შრომაზე, უნდა მოიყვანოს ფეხბურთელები, ვინც თავის საქმეს პროფესიონალიზმთან ერთად ფანატიკური სიყვარულით აკეთებს. ამ თვისებების ხარჯზე ნებისმიერის წინააღმდეგ შეიძლება წარმატების მიღწევა.

**არიგო საკი**

გაძეტა დელო სპორტი



...და 1989 წელს, როცა სხვების დაუხმარებლად უკანასკნელად მოიპოვა სკუდეტო

პარალელები ტრაპატონის ინტერთან

# ბერგომი: ეს ყველა დროის საუკეთესო ინტერია

## 89 წლის ჩემპიონი ნერაძურის ფეხბურთელები მაშინდელ და დღევანდელ გუნდებს ადარებენ

1988/89 სეზონის „ინტერი" – ის, რომელმაც ბოლო, მე-13 სკუდეტო მოიგო, თუ არ ჩავთვლით მე-14, ამ ზაფხულს „ნაჩუქარ" სკუდეტოს. იმ გუნდს **ჯოვანი ტრაპატონი** წვრთნიდა, ძირითადი შემადგენლობა კი ასეთი იყო: **ძენგა, ბერგომი, ბრემე, მატეოლი, ფერი, მანდორლინი, ბიანკი, ბერტი, დიასი, მათეუსი, სერენა.** სერია A-ში 18 გუნდი გამოდიოდა, ორი მოთამაშის შეცვლა შეიძლებოდა. ის „ინტერიც" ჩემპიონატის აბსოლუტური დომინანტი იყო: საბოლოოდ „ნაპოლი" 11 ქულით ჩამოიტოვა, „მილანი" 12-ით და „იუვენტუსი" 15-ით. „გაძეტა დელო სპორტი" მაშინდელი „ინტერნაციონალეს" ფეხბურთელებს დაუკავშირდა და დღევანდელი „ინტერის" თაობაზე ყველა მათგანს ორი კითხვა დაუსვა. ფეხბურთი შეიცვალა, იმ დროს ტრაპი ლიბეროთი თამაშობდა, მცველებიდან მარტო მარცხენა მცველი უტევდა, მარჯვენა გარემარბს მთელი ფლანგი უნდა ეკონტროლებინა... მაგრამ მაინც რჩება ინტერესი, რომ ორ „ინტერს" შორის საერთო წერტილები იპოვნო. ორი კითხვა, რომლითაც „გაძეტამ" ძველ ინტერისტებს მიმართა, ასეთი იყო: 1) რა მსგავსებებსა და განსხვავებებს ხედავთ ამ და თქვენს „ინტერს" შორის? 2) ამპლუისგან დამოუკიდებლად, დღევანდელი „ინტერის" რომელ ფეხბურთელს შეადარებდით საკუთარ თავს?

ვალტერ ძენგა: 1. პარალელების გავლება შეუძლებლად მეჩვენება: ჩვენ სულ 13-14 ფეხბურთელი ვიყავით. შეიძლება, მსგავსება მენტალობაში უნდა ვეძებოთ.

2. იმ დროს მე მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მაღიარებდნენ, დღეს კი ასეთი ბუფონია. თუმცა ჟულიო სეზარი გოლებს იშვიათად უშვებს, კიდევ იმიტომ, რომ კარგად არის დაცული.

ჯუზეპე ბერგომი (კაპიტანი): 1. შედარება შეუძლებელია: ასეთი ძლიერი გუნდი „ინტერს" არსებობის მანძილზე არ ჰყოლია. შეხედეთ ყოველ კვირას რა ხალხი ვერ ხვდება განაცხადში და მერე ახალგაზრდული გუნდიც ნახეთ, რა თაობა გვეზრდება.

2. თამაშის სტილით საკმაოდ მგავს ნიკოლას ბურდისო. ის უნივერსალური მცველია, თანაბარი წარმატებით შეუძლია დაცვის ყველა პოზიციაზე თამაში.

ანდრეას ბრემე: 1. წლევანდელი ჩემპიონატი ძალიან იოლია. ჩვენი მოწინააღმდეგეები მარადონას „ნაპოლი", „მილანი" და „იუვენტუსი" იყვნენ. დღევანდელ „ინტერს" ღირსეული მეტოქე არ ჰყავს.

2. მსოფლიო ჩემპიონატზე გროსო გავიცანი, სამწუხაროდ. ვიტყოდი, რომ მანაც, ისე როგორც მე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ჯანფრანკო მატეოლი: 1. მსგავსებას ყველაზე მეტად მენტალიტეტში ვხედავ. დღევანდელი გუნდიც ადასტურებს, რომ გამარჯვებას საშინლად არის მოწყურებული. ჩვენ ზუსტად ასეთები ვიყავით.

2. შეტევების წამოწყებისა და თამაშის განაწილების მხრივ თავს ცოტათი კამბიასოს ვადარებ.

რიკარდო ფერი: 1. მსგავსია გამარჯვევების მთელი წყება მძიმე დაწყისის შემდეგ. მეტ მსგავსებას კი ვერ ვხედავ, რადგან მორატიმ მსოფლიო დონის გუნდი შექმნა.

2. ჩემს თავს ვერავის მივამსგავსებ, ვიტყოდი, რომ ჩემში დღევანდელი მცველების გარკვეული თვისებები იყო თავმოყრილი.

ალესანდრო ბიანკი: 1. ჩვენ მძიმედ დავიწყეთ, იტალიის თასიდან გავარდნის შემდეგ, რამდენიმე პროვინციული გუნდის დამარცხება ძალიან გაგვიჭირდა. თუმცა მენტალიტეტი იდენტურია: ამ გუნდის მსგავსად, წარმატების ჩვენც ბრმად გვჯეროდა.

2. შავი სამუშაოს შესრულებით, ბევრი სირბილისა და გუნდზე თამაშის უნარით, ყველაზე მეტად ხავიერ ძანეტი მგავს.

ანდრეა მანდორლინი: 1. ჩვენ სასწაული მოვახდინეთ, იმიტომ, რომ რიცხობრივად ძალიან ცოტანი ვიყავით, დღევანდელი გუნდი კი სავსეა დიდი ფეხბურთელებით. თუმცა საერთო გვაქვს იმის რწმენა, რომ დაუმარცხებლები ვართ.

2. პირადად ძალიან მომწონს სამუელი. იშვიათად თამაშობს, მაგრამ მოქნილია, კარგად აზროვნებს და შესაბამისად, კარგად შეეფერება ლიბეროს პოზიციას, რომელზეც მე და ვერდელი ვთამაშობდით.

ალდო სერენა: 1. რეალურ მსგავსებას ნახევარდაცვაში ვხედავ - ბერტის, ბიანკისა და მათეუსის ფიზიკურ სიძლიერეში და მატეოლის გეომეტრიულ სიზუსტეში.

2. იმ ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, ზღაპრული სეზონი იყო. კრესპო საჯარიმოში თამაშის მანერით მგავს.

ლოთარ მათეუსი: 1. ღირსეული მეტოქეების არარსებობის გამო, ჩვენს ზღაპრულ სეზონს წლევანდელს ვერც კი შევადარებ. ახლა მოწინააღმდეგე ერთი „რომაა", ჩვენ კი ოთხ-ხუთ ძლიერ გუნდთან გვიწევდა ბრძოლა.

2. მეორე მათეუსი არ არსებობს. ზოგჯერ სტანკოვიჩის აჩქარებები... შეიძლება...

რამონ დიასი: 1. „სან ლორენსო დე ალმაგროს" მწვრთნელი ვარ - კლუბის, რომელმაც ივან კორდობას ევროპისკენ გაუხსნა გზა, ამიტომ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს „ინტერის" ტრიუმფალურ სვლას: ბრწყინვალე გუნდია! იმედია, სკუდეტოს აღსანიშნავ ზეიმზე მეც დამპატიჟებენ.

2. აღნაგობით დაწყებული, ძალიან განსხვავებული მონაცემების მიუხედავად, იბრაჰიმოვიჩი იმავე საქმეს აკეთებს, რასაც მე ვაკეთებდი.

ნიკოლა ბერტი: 1. დერბის წინ („ინტერმა" 4:3 მოიგო) „გაძეტას" ჩეთში ვყავდი მიწვეული და ერთმა ტიფოზმა მკითხა: რა გვაკლია, რომ ჩემპიონები გავხდეთ? პასუხი მზად მქონდა: სკუდეტოს ნიშანი მაისურზე უკვე რომ გვაქვს?.. ძალიან მომწონს ადრიანო, თუმცა ჩვენს დროს ფეხბურთი მაინც სხვა იყო: ყველა იტალიელი და სამი უცხოელი.

2. პოზიციის მიხედვით, ცოტათი ვიეირა მგავს, მაგრამ რეალურად ამ გუნდში არავინაა, მე რომ მგავდეს.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაულთან

# ტიტულებს რონალდოს გარეშეც მოვიპოვებთ

## კაპიტანი დასაბრუნებლად მზადაა. ის ნახევარდაცვიდან თავდასხმაში გადაინაცვლებს და გოლების გატანას გაიხსენებს

**რონალდოს "მილანში" გაყიდვის შემდეგ სამეფო კლუბში ფორვარდის ვაკანსია გაჩნდა. მადრიდელები იმავე "როსონერიდან" რიკარდო ოლივეირას გადაბირებაზე მუშაობდნენ, მაგრამ ბრაზილიელს ევროპული პასპორტი არ აღმოჩნდა და პრედრაგ მიატოვიჩმა ხელშეკრულების გაფორმებისგან თავი შეიკავა. ამასობაში კი იანვრის სატრანსფერო ბაზარიც დაიხურა. "რეალს" ახალი ფეხბურთელების ყიდვა ივნისამდე აღარ შეუძლია. ფაბიო კაპელო იძულებული გახდა, ფორვარდის ვაკანსია შიდა რესურსებით შეევსო. გუშინ იტალიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რაული ნახევარდაცვაში აღარ ითამაშებს და მადრიდული გრანდის თავდამსხმელად მოგვევლინება. საზოგადოებისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. საქმე ის არის, რომ გონსალეს ბლანკოს ყველაზე მეტად სწორედ წინა ხაზში თამაში იტაცებს. თავად განსაჯეთ, კაპიტანმა ყველა ტურნირის ჯამში 310 გოლი გაიტანა. ორჯერ კი სულაც პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ რაული ამიერიდან ჩვეულ სახეს დაიბრუნებს და ხალხს გატანილი ბურთებით გაახარებს.**

**- როგორც ვიცით, ტრავმა განუხებდათ. უკეთ გრძნობთ თავს? "ლევანტესთან" მატჩისთვის მზად იქნებით?**

- იმედია, არანაირი პრობლემა არ შემექმნება. დღევანდელი ვარჯიში სრული დატვირთვით ჩავატარე. უფრო სწორად, ყველაზე მეტი ვივარჯიშე. ალბათ, შეამჩნევდით, რომ მაღალი სისწრაფით გაუჩერებლად სამი კილომეტრი გავირბინე. ნორმატივი ჩავაბარე. ამასთან, არაფერი ამტკივებია. ვფიქრობ, მზად ვარ იმისთვის, რომ კვირას "ლევანტეს" დავუპირისპირდე. მთავარია, მწვრთნელი რას გადაწყვეტს. ჩემს საქმეს უდიდესი ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით ვუბრუნდები. თითქმის სამი კვირაა, არ მითამაშია. ბედნიერი ვარ, რომ "ლევანტე" "ბერნაბეუზე" გვსტუმრობს. ჩემთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- რონალდოს გუნდიდან გაძევების შემდეგ, "რეალისთვის" კიდევ უფრო საჭირო ფეხბურთელი გახდით?**

- ყველა, ვინც აქ არის, თანაბრად საჭიროა. ტრავმებმა გაგვაწამა. ახლა ნელ-ნელა ფეხზე ვდგებით და საქმეს ვუბრუნდებით. უმნიშვნელოვანესია, რომ რიტმი უმცირეს დროში გავზარდოთ. სეზონის დარჩენილი მონაკვეთი გაცილებით მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ. ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს გვეპარება. დარწმუნებული ვარ, მეორე წრე ბევრად წარმატებული გამოდგება. ერთი რამ უდავოა, "ბერნაბეუზე" ერთი ქულის დაკარგვაც აღარ შეიძლება. ფრის უფლებაც კი აღარ გვაქვს. წაგებაზე აღარაფერს ვამბობ. კმარა, რაც გავაკეთეთ. თუ პრიმერა დივიზიონში გამარჯვება გვსურს, არაადამიანური ენერგია და ბრძოლისუნარიანობა უნდა გამოვამჟღავნოთ. აბსოლუტურად იგივეს ვიტყოდი ჩემპიონთა ლიგასთან მიმართებაშიც.

**- როგორ გგონიათ, "რეალის" შემადგენლობას უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის უნარი თუ შესწევს? რონალდოს წასვლა გუნდის გაძლიერებას აშკარად არ გამოიწვევს.**

- ჩემი აზრით, შემადგენლობის პრობლემა არ გვაქვს. მთავარია, ტრავმირებული ბიჭები დროულად განიკურნონ. როცა ყველა ჯანმრთელია, სამეფო კლუბი ნებისმიერ გრანდს გაუწევს კონკურენციას და უმეტეს შემთხვევაში, დაამარცხებს კიდეც.

**- რონალდოს წასვლის შესახებ რას ფიქრობთ?**

- რონიმ გულშემატკივრებს უამრავი სიხარული, "რეალს" კი 100-ზე მეტი გოლი მოუტანა. ის დიდებული ადამიანი და ნამდვილი მეგობარია. სამწუხაროდ, ფეხბურთელის ესა თუ ის ეტაპი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთზე სრულდება. როგორც კაპიტანი, თავს უფლებას მივცემ, მთელი გუნდის სახელით გაწეული ღვაწლისთვის უდიდესი მადლობა მოვახსენო.

**- მიატოვიჩმა რონალდოს შემცვლელის შეძენა ვერ მოასწრო. კაპელო იძულებულია, პოზიცია შეგიცვალოთ და თავდასხმაში წაგწიოთ.**

- გულწრფელად გეტყვით, რომ ყველაზე მეტად სწორედ თავდასხმაში თამაში მიყვარს, მაგრამ პრობლემას არასოდეს ვქმნიდი. ტაქტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ყოველთვის მწვრთნელმა უნდა მიიღოს. მზად ვარ, კაპელოს ნებისმიერი მითითება შევასრულო, თუმცა მის ნათქვამს დოგმად ნუ მიიღებთ. არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმის სათქმელად, რომ მუდმივად თავდასხმაში ვიასპარეზებ. ყველაფერი კონკრეტული მატჩების მსვლელობასა და დინამიკაზე იქნება დამოკიდებული. ზოგადად კი რონალდოს წასვლა მეტ შესაძლებლობას მანიჭებს, რათა წინ წავიწიო და გოლები გავიტანო.

**- ბოლო კვირებში დაძაბული სიტუაცია ოდნავ მაინც თუ განიმუხტა?**

- დიახ, ვითარება მეტ-ნაკლებად დამშვიდდა. გასულ დღეებში გამართულ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მზის ამოსვლას იმედით ვხვდებით. სატრანსფერო ბაზარი დაიხურა. უკვე ვიცით, რომ დღეს არსებული შემადგენლობით მოგვიწევს ბრძოლა. ყველა ერთ მუშტად შევიკვრებით და საერთო ძალისხმევით მოვაგვარებთ ნებისმიერ პრობლემას. სატრანსფერო მოლაპარაკებები, ფინანსური ოპერაციები დასრულდა. ამიერიდან, ერთადერთი საზრუნავი ფეხბურთია. მოკლედ, ყველაფერი ჩვენზე, მოთამაშეებზეა დამოკიდებული.

**- საფეხბურთო მოედანს მიღმა მიმდინარე მოვლენები, ხმაურიანი განცხადებები, კონფლიქტები და ღია დაპირისპირებები გუნდზე მეტისმეტად დამთრგუნველად მოქმედებს?**

- თითქოს ფეხბურთელები კუნძულზე ვცხოვრობთ. ხმაურიან ცხოვრებაში არ ვმონაწილეობთ. ჩვენ მხოლოდ ვვარჯიშობთ და ვთამაშობთ. პირადად მე სამი ქულის მოპოვების გარდა, აბსოლუტურად არაფერი მაინტერესებს. თუ გარეთ მიმდინარე მოვლენებს ყურადღებას დავუთმობთ და ბევრს ვიფიქრებთ, მოედანზე დამანგრეველი ქარიშხალი შემოიჭრება და "რეალი" დაიღუპება. მერწმუნეთ, ეს არავის სურს.

**- გასაგებია, მაგრამ კოლბაში არ ცხოვრობთ, რომ აბსოლუტურად სტერილურები იყოთ...**

- ცხადია, მაგრამ ჩვენ პრობლემებისა და სკანდალების პარალელურად ცხოვრების გზა უნდა ავირჩიოთ. მოედანს მიღმა მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ფეხბურთში თითქმის ყველაფერი ფსიქოლოგიურ განწყობაზეა დამოკიდებული.

**- გულწრფელად მითხარით, ყველაზე მეტ სიამოვნებას რომელი გუნდის თამაში განიჭებთ?**

- შარშან "ბარსელონა" ცალსახად საუკეთესო იყო. მანამდე "ლივერპული" და "ჩელსი" მომწონდნენ. წინა წლებში "მილანიც" საუცხოოდ გამოიყურებოდა, თუმცა ახლა მათაც უსერიოზულესი პრობლემები აქვთ. ბოლო სამი სეზონია, "რეალი" საკუთარ თავს არ ჰგავს. შესაბამისად, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გუნდის თამაში ძალიან მომწონს, მაგრამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ავანგარდში ვიყავით და ტიტულებს ვიგებდით.

**- "ბაიერნზე" რას გვეტყვით? ფლეი ოფამდე დიდი დროც არ დარჩა. ბავარიელებმა ეს-ესაა მწვრთნელი შეცვალეს. პრობლემები მათაც არ აკლიათ...**

- სიმართლე გითხრათ, მომავალი მეტოქის სირთულეები სულაც არ მახარებს. გაიხსენეთ გასული სეზონი. "არსენალი" ყველას დაძაბუნებული ეგონა, მაგრამ გამოგვაგდო და ფინალამდე მიაღწია. ღმერთმა დაიფაროს, წელსაც იგივე მოხდეს. "ბაიერნი" უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია. სხადასხვა დროს მათ არაერთი ბარიერი წამოგვიმართეს და სერიოზულადაც შეგვაშინეს. გერმანელებს დაძაბულობასთან გამკლავების საოცარი უნარი აქვთ. იმედია, სამეფო კლუბის ფავორიტად შერაცხვა არავის მოუვა აზრად. მირჩევნია თქვან, რომ შანსები თანაბარია. უპირატესობაზე წინასწარ საუბარი ძალიან ცუდად გვაქვს დაცდილი.

**- რონალდოს გარეშე, ტიტულების მოხვეჭა არ გაგიჭირდებათ?**

- ის უდიადესი ფორვარდია, მაგრამ ტიტულებს რონალდოს გარეშეც მოვიპოვებთ.

**- რუალ, როგორ ფიქრობთ, წინა წლებთან შედარებით, პრიმერა დივიზიონის დონე დაეცა?**

- გულწრფელად გეტყვით, წლეულს პრემიერლიგა გაცილებით საინტერესოა, მაგრამ ფანტასტიკური შეხვედრების ნახვა ესპანეთშიცაა შესაძლებელი. ინგლისელებს თამაშის უსწრაფესი რიტმი აქვთ. ცდილობენ, მოწინააღმდეგის კარს უმცირეს დროში მიუახლოვდნენ. ისე კი, ჩემი აზრით, ფეხბურთის დონე ყველაზე მეტად იტალიაში დაქვეითდა. "იუვენტუსი" სერია B-შია. მომავალ უქმეებზე "ინტერი" "რომას" თუ მოუგებს, სკუდეტოს მეპატრონის ვინაობა, პრაქტიკულად, გარკვეული იქნება.

**- უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში ახლახანს გამარჯვებულმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ ესპანეთისთვის ჩემპიონთა ლიგის კვოტის შემცირების საკითხს დააყენებს დღის წესრიგში. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

- მირჩევნია, ჩემპიონთა ლიგაში თითოეულ ქვეყანას ერთი წარმომადგენელი, ნამდვილი ჩემპიონი ჰყავდეს. ადრე სწორედ ასეთი ფორმატით მუშაობდნენ და ძალიანაც საინტერესო იყო. შესაძლოა, პლატინი მართალი იყოს, როცა ამბობს, რომ ოთხი გუნდი მეტისმეტია. თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს საუკეთესო ორი კლუბი დაესაკუთრება, ნაციონალური პირველობები ბევრად უფრო საინტერესო გახდება. ყოველ შემთხვევაში, კონკურენცია ერთი ორად გაიზრდება. ამ შემთხვევაში, გუნდები კონფორმიზმს აღარ გამოიჩენენ და მესამე, მეოთხე ადგილებით აღარ დაკმაყოფილდებიან. ალბათ, უეფას გადაწყვეტილების მიღებამდე სერიოზული ფიქრი მოუწევს. თუ წამყვან ლიგებს კვოტას შეუმცირებენ, გამოდის გათავისუფლებულ ადგილებს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის წარმომადგენლები დაიკავებენ. ასე ჩემპიონთა ლიგა აშკარად უფრო დემოკრატიული გახდება.

**- ყველამ იცის, რომ "ატლეტიკოს" საყმაწვილო სკოლის აღზრდილი ხართ. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თქვენი ბავშვობის გუნდში თუ დაბრუნდებოდით?**

- აქ მთავარი არა "ატლეტიკო", არამედ, თავად პრინციპია. სრული სერიოზულობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ესპანეთში, "რეალის" გარდა, არც ერთ კლუბში არ ვითამაშებ. ამა თუ იმ მიზეზის გამო, თუ ჩემი კლუბის დატოვება მომიწევს, უცხოეთში წავალ. ვიმეორებ, რაული სხვა ესპანური კოლექტივის ღირსებას არასოდეს დაიცავს. "რეალი" ჩემი სახლია. საკუთარ სახლს კი თავს არ ესხმიან (იცინის).



რაულ გონსალეს ბლანკო

**- ლუის არაგონესმა განაცხადა, იოლი შესაძლებელია, რაული დანიასთან 24 მარტის შეხვედრისთვის ნაკრებში დავაბრუნოო...**

- დაბრუნება სადებიუტო მატჩივით სასიხარულო და მღელვარე იქნება. ყველაზე დაუვიწყარი საღამოები სწორედ ნაკრებთან ერთად მქონია. ეროვნულ გუნდში თამაშს ვერანაირი საკლუბო წარმატება ვერ შეედრება. უზომოდ მინდა, "სელექსიონს" დავუბრუნდე. გეფიცებით, უფრო დიდი ოცნება და პატივი, უბრალოდ, არ არსებობს.

**- მთელი ამ ხნის განმავლობაში არაგონესს რამდენჯერ ესაუბრეთ? ციურიხის მერე არ შეხვედრილხართ?**

- სწორად გახსოვთ. ფიფას გალა ღონისძიებაზე ესპანეთის ნაკრებისთვის განკუთვნილი პრიზის ასაღებად წავედით. რა თქმა უნდა, გავისაუბრეთ. არაგონესი ძლიერი პიროვნული თვისებების მქონე სპეციალისტია. უდავოა, რომ ნაკრებისთვის მხოლოდ საუკეთესო სურს. ერთ მომენტში კი გადაწყვიტა, რომ საჭირო არ ვიყავი. მომავალში თუ კარგ ფორმაში ვიქნები, შესაძლოა, მართლაც დავბრუნდე. გადაწყვეტილებას ლუისი მიიღებს.

**- როგორ გგონიათ, მან აზრი უკვე შეიცვალა?**

- წარმოდგენა არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ "სელექსიონში" თამაში უსაზღვროდ მომენატრა. არაგონესმა კარგად იცის, რას წარმოვადგენ. ასე რომ, გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდება. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

**ილია ნიკოლაიშვილი**

გამოძიება

# ბომბი პრეზიდენტის სავარძლის ქვეშ

## სასამართლომ საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა ბრძანა

**ვილიარ მირს** გამჩენი არ ასვენებს. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს ეცოდინებათ, რომ 2006 წლის 2 ივლისს მადრიდის "რეალში" საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. წინასწარი გამოკითხვების თანახმად, გამარჯვების საუკეთესო შანსს სწორედ სენიორ მირი ფლობდა, მაგრამ პირველობა **რამონ კალდერონს** დარჩა. ბატონი ვილიარის გარდა, ახალ პრეზიდენტს გამარჯვება ყველა კონკურენტმა მიულოცა. მან კი პირობა დადო, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტით მიცემული ხმების გაყალბებას რეაგირების გარეშე არ დავტოვებო. მას შემდეგ უდიდესი დრო გავიდა. მირი ორ კვირაში ერთხელ მაინც იმუქრებოდა, კალდერონის დღეები დათვლილიაო. ეს კაცი ბევრს გიჟიც ეგონა, მაგრამ გუშინ მომხდარმა ფაქტმა შესაძლოა, საზოგადოებას ამ ადამიანზე შეხედულება შეუცვალოს.

გუშინ მადრიდის ერთ-ერთმა მომრიგებელმა სასამართლომ ვილიარ მირის სარჩელი დააკმაყოფილა და 2 ივლისის არჩევნებისას გამოყენებული ყველა ბიულეტენის გადათვლა ბრძანა. აღსანიშნავია, რომ გადათვლას არა მარტო საფოსტო, არამედ უშუალოდ უბანში მიცემული ხმებიც დაექვემდებარა. სასამართლო პროცესს თავად რამონ კალდერონი ესწრებოდა. მის გარდა დარბაზში სამეფო კლუბის წინა ხელმძღვანელობის ყოფილი მაღალჩინოსნებიც იყვნენ. პრეზიდენტის ადვოკატებმა, რა თქმა უნდა, სააპელაციო სარჩელზე მუშაობა დაიწყეს. მათ ამისთვის სამი კვირა აქვთ. ახლა საქმე საქალაქო სასამართლომ უნდა განიხილოს.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ბრძოლის მეორე ეტაპი კალდერონისთვის წარმატებით დასრულდება და საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას გააბათილებს... თუმცა თავად ის ფაქტი, რომ სამეფო კლუბის წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების რეპუტაციას გვარიანი დარტყმა მიადგა, არც ერთ მადრიდისტას არ ახარებს. კმაყოფილი მხოლოდ ვილიარ მირია, რომელსაც პრეზიდენტის სავარძელში მოკალათება იდეაფიქსად ექცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# ნაკრების ახალი კონსულტანტი



ვასილ აბაშიძე პრესკონფერენციაზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**ვასილ აბაშიძე**
ნაკრების მენეჯერი

- ანრი ბრონკანი საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია. "ოში" მეორე დივიზიონში ყველაზე მცირებიუჯეტიანი კლუბია, მაგრამ, ამის მიუხედავად, გუნდს თითქმის განაღდებული აქვს პირველი ადგილი და ელიტური, პირველი დივიზიონის საგზური. ეს კი, მეტწილად, სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა.

საქართველოს ნაკრები 29 იანვრიდან სტუდენტურ სპორტულ კომპლექს "ტეიში" ცხოვრობს და ვარჯიშობს. განწყობა, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა. ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი მორაგბე დაგვაკლდა. ამან კი საშუალება მოგვცა, ისეთი მორაგბეები გამოგვეცადა საქმეში, ვისაც დიდი ხანია ნაკრებში თამაშის საშუალება არ მისცემია.

მართალია, ჩვენს მიერ რუმინელებთან ეს მატჩი მსოფლიო თასისთვის მზადების კონტექსტში განიხილება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შედეგს ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. საქართველოს ნაკრები წასაგებად მოედანზე არასდროს გადის, როგორი ძალის მეტოქეც არ უნდა იდგეს მის წინ.

რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** გვაცნობა: - მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები ახალი ფორმებით ისპარეზებს. გაფორმებაზე ცნობილი ქართველი დიზაინერი **ავთანდილ ცქვიტინიძე** მუშაობს. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე უცხოურ კომპანიასთან ფორმების შეკერვის თაობაზე.

რაგბის კავშირს მალე განახლებული ვებ გვერდი ექნება. მისამართი იგივეა www.rugby.ge. დიზაინი კი სრულიად ახალი იქნება. მის შექმნაზე **ლევან კაკაურიძე** მუშაობს. რაგბის კავშირს სურვილი აქვს, რომ ვებგვერდის შექმნაში რაგბის ქომაგებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ. რჩევები და სურვილები შეიძლება გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით gru@caucasus.net ან gru_secretariat@caucasus.net.

ერთა თასის პირველ შეხვედრას შაბათს, ბუქარესტიდან, 15 საათსა და 30 წუთზე პირდაპირ ეთერში ტელეკომპანია "მზე" გადმოსცემს.

**3 თებერვალი, ბუქარესტი**

**რუმინეთი-საქართველო**

რუმინეთი: 15. ფლორინ ვლაიკუ, 14. კატალინ ფერკუ, 13. გაბრიელ ბრეზოიანუ, 12. რომეო გონტინიაკი, 11. ქრისტიან საუანი, 10. იონუც ტოფანი, 9. ლუჩან სირბუ; 1. პეტრუ ბალანი, 2. მარიუშ ტინკუ, 3. პეტრიშორ ტოდერაშკი, 4. სორინ სოკოლი (კაპ), 5. ქრისტიან პეტრე, 6. ფლორინ კოროდიანუ, 7. მიჰაი მაკოვეი, 8. კოსტიცა მერსოიუ / 16. ჩეზარ პოპესკუ, 17. რაზვან მავროდინი, 18. იონ პაულიცა, 19. ვალენტინ ურსაკე; 20. ვალენტინ კალაფატეანუ, 21. ჩაბა გალი, 22. იულიან დუმიტრაში.

საქართველო: 15 პალიკო ჯიმშელაძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. რეზო გიგაური, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე (კაპ), 5. ლევან დათუნაშვილი, 6. ილია მაისურაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი / 16. დავით გასვიანი, 17. ავთანდილ კოპალიანი, 18. ვიქტორ დიდებულიძე, 19. მამუკა მაგრაქველიძე; 20. ბიძინა სამხარაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. გიორგი ელიზბარაშვილი

მსაჯი: კოლინ სტენლი (ირლანდია)

**ერთა თასი 2007-08. პირველი წრე**

**3 თებერვალი**
რუმინეთი-საქართველო
პორტუგალია-ესპანეთი

**10 თებერვალი**
ესპანეთი-რუსეთი

**10 მარტი**
რუმინეთი-ესპანეთი

**17 მარტი**
ესპანეთი-საქართველო
ჩეხეთი-რუმინეთი

**24 მარტი**
საქართველო-რუსეთი

**7 აპრილი**
საქართველო-ჩეხეთი

**24 აპრილი**
რუსეთი-ჩეხეთი

**5 მაისი**
ჩეხეთი-ესპანეთი

**12 მაისი**
პორტუგალია-რუსეთი

**19 მაისი**
ჩეხეთი-პორტუგალია

**23 ივნისი**
საქართველო-პორტუგალია

**10 ნოემბერი**
რუმინეთი-რუსეთი

**17 ნოემბერი**
პორტუგალია-რუმინეთი



2005 წელი. საქართველო-რუმინეთი 20:13

ჩოგბურთი

# მერვედფინალში დამარცხდა

იტალიის ზამთრის კურორტ ვალ გარდენში, "ორტისეის" კლუბის დახურულ კორტებზე მიმდინარეობს 75-ათასიანი საჩოგბურთო ტურნირი, რომელშიც ჩვენი პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** ასპარეზობდა. ჩახნაშვილი პირველ წრეში 22 წლის ესპანელ **ლაურა პოუს-ტიოს** ხვდებოდა. პოუს-ტიო შარშან 79-ე ჩოგნობამდე აღზევდა, ახლა კი ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 101-ე ადგილზეა. მატჩი ორ სეტში ჩახნაშვილმა მოიგო, 6:4, 7:5. მაკა თითო სეტში თითო ბრეიკით დაკმაყოფილდა. მერვედფინალში ჩახნაშვილის მეტოქე იყო ავსტრიელი **ივონ მოისბურგერი** (129), რომელმაც უნგრელი **კირა ნეგი** (136) დაამარცხა - 7:5, 6:4. პირველი სეტი ავსტრიელმა მოიგო, მეორე - ქართველმა, გადამწყვეტში 1:1-ზე მაკამ საკუთარი მოწოდება დაკარგა, თუმცა იქვე ბრეიკის განხორციელება შეეძლო - მოისბურგერის მოწოდებაზე 15:40 იყო, ჩახნაშვილმა კი ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა და ამის შემდეგ ყველაფერი მალე მორჩა - 4:6, 7:5, 1:6. მერვედფინალში მარცხით ჩახნაშვილმა ჰონორარის სახით 2 ათასი დოლარი მოიპოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# გიბრალტარული აჯაფსანდალი

გიბრალტარის სუპერტურნირზე ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. ერთპიროვნულად აქამდე ჰოლანდიელი **ივან სოკოლოვი** ლიდერობდა, თუმცა მერვე ტურში ისეთი მეტოქე ჰყავდა, ძნელად რომ დაეძვრინა თავი, - თანაც შავებით უწევდა თავდაცვა. ვერც შეძლო და სომეხ **ვლადიმერ აკოფიანს** გასწრების საშუალება მისცა. აკოფიანის დარად იმარჯვა უკრაინელმა **იური კუზუბოვმა**, რომელმაც შვეიცარიელ **ვადიმ მილოვს** აჯობა. კუზუბოვი გადამწყვეტ ტურში აკოფიანს შავებით ხვდება და, სიმართლე რომ გითხრათ, გამოკვეთილ ფავორიტად სომეხი დიდოსტატი მიგვაჩნია.

ლიდერთა ტანდემს ნახევარი ქულით ერთბაშად 12 მოჭადრაკე ჩამორჩება, რაც უპრეცედენტო ფაქტია. თუკი ლიდერები ყაიმით ითამაშებენ, მაშინ ისეთი აჯაფსანდალი დაგროვდება ცხრილის ზედა ნაწილში, რომ ეშმაკიც კი ვერ გაიგნებს თავს...

ქალთა შორისაც უმწვავესი ბრძოლაა: **პია კრამლინგმა** კი წააგო მეშვიდე ტურში, მაგრამ მდევრებმა მოიგეს და ორმა - ყატარელმა **ჭუ ჩენმა** და ამერიკელმა **ირინა კრუშმა** ნახევარი ქულით გადაასწრეს - ამათ 5.5 ქულა აქვთ, კრამლინგს - 5. ამდენივე კიდევ 5 ქალბატონს დაუგროვდა და მათ შორისაა **ნანა ძაგნიძეც**, რომელმაც გუშინ ინგლისელი **გარი ქვილანი** შავებით დაამარცხა. ნანას ერთი უშუალო კონკურენტის, ინგლისელი **იოვანკა ჰოუსკას** ჩამოცილებაც შეუძლია - მას ბოლო ტურში თეთრებით ხვდება. თუმცა საკითხავია, გამარჯვების შემთხვევაში რამდენისთვის იქნება საკმარისი 6 ქულა.

5 ქულა კიდევ აქვთ ინდოელ **ჰარიკა დრონავალის** და ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვას**. ამათაც სწადიათ მოგება, მაგრამ თუ შეძლებენ, სხვა საკითხია. სხვათა შორის, დრონავალი თეთრებით კრამლინგს ხვდება და ესეც თქვენი მეორე ქალური დერბი. ძაგნიძისთვის უკეთესი იქნებოდა ორივე კაცს შეხვედროდა, სადაც დამარცხების მეტი შანსი ექნებოდათ.

მოიგო **ქეთევან არახამიამაც** - თეთრებით ინდოელი **აარტიე რამშვამი** დაამარცხა. არახამიას 4.5 ქულა აქვს და ქალთა შორის პრიზის მოპოვების შანსი აღარ დარჩა. ბოლო ტურში ქეთევანი შავებით ინგლისელ **ენდრიუ გრიტს** ხვდება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ბლიცში პრეზიდენტის ჩაება

უკვე დავწერეთ, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ყოველ ხუთშაბათს ბლიც-ტურნირის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. გუშინ ტურნირი მეორედ გაიმართა და, როგორც ჩანს, ამ წამოწყებას დიდხანს სიცოცხლე უწერია.

ტურნირში ლამის ყველა უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე თამაშობს. მართალია, ჯერჯერობით რამდენიმე თავს იკავებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცხვირს იბზუებს - ყველას თავ-თავისი გეგმა აქვს და ზოგი არც იმყოფება საქართველოში.

წინა კვირისგან განსხვავებით შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ძლიერ მოჭადრაკეთა რიცხვმა იმატა - გუშინ **ზურაბ სტურუა** და **გია გიორგაძეც** ვიხილეთ, ამასთან ერთად თამაშის სურვილი გამოთქვეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიგა ყაჭეიშვილმა** და პრეზიდენტმა **რომან სიჭინავამ**. მონაწილეთა რაოდენობამაც მოიმატა მცირედთ - პირველ გათამაშებაში 32 მსურველი შეიკრიბა, მეორედ კი - 34. ჭადრაკის მოყვარულს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ტურნირში მონაწილეობის საშუალება ნებისმიერ მსურველს - არაპროფესიონალსაც შეუძლია, ამისათვის მხოლოდ 5 ლარია საჭირო. 5 ლარიან შენატანს ყველა აკეთებს და აქედან დგება საპრიზო ფონდიც - შემოსული თანხის 75 პროცენტი.

მთავარი პრიზი, ცხადია, გამარჯვებულს ერგება; ფულად ჯილდოს იღებს ასევე მეორე და მესამე ადგილზე გასული. ამას გარდა ვლინდება ქალთა შორის საუკეთესო და მეორე მაჩვენებლის მქონე, ასევე ჯილდოვდება 14 წლამდელთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე.



რომან სიჭინავა

შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად ჩატარდა. საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო ბრძოლებში პირველი ადგილი **ლევან ფანცულაიამ** დაიკავა 7 ქულით. ამდენივე დააგროვეს **გიგა ყაჭეიშვილმა** და **მიხეილ მჭედლიშვილმაც**, თუმცა კოეფიციენტით ლევანს ჩამორჩნენ. საბოლოო ჯამში პირველ სამეულში ადგილების თანმიმდევრობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია - ამ შემთხვევაში ფულადი თანხა სამზე თანაბრად იყოფა. 14-წლამდელებში **ზურაბ ჯავახაძემ** გაიმარჯვა, ქალთა შორის კი საუკეთესო **ნინო ბაციაშვილი** იყო.

რაც შეეხება **რომან სიჭინავას** შედეგს, სახარბიელო არ ეთქმის - პრეზიდენტი ქულით მე-20-ე ადგილზე გავიდა. აშკარაა, მას სათამაშო პრაქტიკა აკლია, თუმცა თუკი რეგულარულად ითამაშებს, ალბათ შედეგსაც დაეტყობა.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მემკვიდრეობა. ჭიდაობის ისტორიიდან



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე**

# გორელი მოჭიდავეები

ქართლი საქართველოს გულია. ისტორიულად, ის ყოველთვის ითვლებოდა ქვეყნის ერთიანობის მედროშედ. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ადრევე ჩაუყარა საფუძველი მის ცივილიზაციას, სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების დონეს. ქართლი სხვადასხვა მხრიდან (სომხეთი, ალბანეთი, კოლხეთი, ჩრდილოეთი კავკასია) მომავალი გზების შესაყარზე იყო. ყველა გზა მცხეთასა და ქართლზე გადიოდა. გვიან პერიოდში ეს მისია გორმა (დაახლოებით 800 წელინადზე მეტი ისტორია აქვს) იტვირთა. დღეს გორი ქართლის კულტურულ-საზოგადოებრივ ცენტრს წარმოადგენს. გორში დაიბადნენ და გაიზარდნენ მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, სპორტსმენები... გორელებს ბევრი აქვთ საამაყო. სტუმართმოყვარე, ღირსეული ტრადიციების ქალაქმა საქართველოს აღუზარდა მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირების ათეულობით ჩემპიონი და პრიზიორი, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. ჩემი დედულეთი ქართლია - კარალეთი (ისტორიული ნაჭარმაგევი). საკმაოდ დიდ სოფელს, სადაც ადრე თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა ქართული ჭიდაობა და ძალებს ცდიდნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდა მოჭიდავეები,



ოთარ თუშიშვილი (მარცხნივ) და დავით პოლოსიანი

ამშვენებს და ალამაზებს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. 6 მაისს, გიორგობაზე, აქ იმართებოდა და იმართება საყოველთაო ზეიმი. ქართული ჭიდაობის ფესვებზე აღმოცენდა და მოიკიდა ფეხი იაპონელების სათაყვანებელმა სახეობამ, ძიუდომ. დიახ, ქართული ძიუდოს აკვანი სწორედ გორში დაირწა. ყველა ჩვენგანისთვის საამაყოა და დასაფასებელი ბატონ **გურამ პაპიტაშვილის** ამაგი, რომლის ძიუდოს სკოლა საქვეყნოდაა ცნობილი.

გორმა მსოფლიოში სახელი გაითქვა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით. ათეული წლებია, ჭიდაობის ამ დიდ ოჯახს სათავეში უდგას ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენისა და მედლის კავალერი **ნუგზარ სხირელი**. ნუგზარი ძირძველი რაჭველია, მისი წინაპრები ონის რაიონის სოფელ სხიერიდან იყვნენ. ამიტომაც არ ივიწყებს მშობლიურ კუთხეს და ზაფხულობით საერთო ფიზიკურ მომზადებას, აღსაზრდელებთან ერთად, ხშირად ონში ატარებს. პირადად მქონდა ბედნიერება, დავსწრებოდი მასთან ერთად სხიერში გიორგობის დღესასწაულს, რომელიც აგვისტოს მეორე შაბათ-კვირას იმართება ხოლმე. ამ დღესასწაულზე უამრავი ხალხი იყრის თავს რაჭის სოფლებიდან, სვანეთიდან, იმერეთიდან და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ნუგზარს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნია. ნება მიბოძეთ, ჩემს კოლეგებთან ერთად, სითბო და პატივისცემა გამოვხატო მის მიმართ, გადავუხადო დიდი მადლობა იმ ამაგისა და თავდაუზოგავი შრომისთვის, რასაც ის ეწევა თავისუფალი ჭიდაობის ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

ახლა კი ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილთა შესახებ. უპირველესად, მსურს დავასახელო თავის დროზე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე **ვლადიმერ მოდოსიანი**. მიუხედავად იმისა, რომ ის კრასნოიარსკიდან იცავდა რუსეთის სახელს, თავისი პირველი აღმზრდელისთვის არასოდეს უღალატია და ყოველთვის პირველ მწვრთნელად ასახელებდა. ყველამ კარგად იცით, რომ კრასნოიარსკში ქართველ ბიჭებს ყოველთვის პატრონობდა და დღესაც პატრონობს ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, მეორე "ციმბირელი პაპა" **დიმიტრი მინდიაშვილი** (ნესტორ კალანდარიშვილის შემდეგ ეს სახელი სწორედ მას შეარქვეს). დიმიტრი რუსეთის საპატიო მოქალაქეა. მოდოსიანი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი (1985, 1986, 1987, 1988) და პრიზიორი (1981, 1982, 1983, 1984), მსოფლიო ჩემპიონი (1986), მსოფლიო თასის მფლობელი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1986), თბილისის საერთაშორისო ტურნირების ჩგამარჯვებული (1984, 1985) გახლავთ.

**ზაზა ზოზიროვი**. წლების მიხედვით მისი შედეგი ასე გამოიყურება: 1989 - სსრკ პირველობა ჭაბუკთა შორის, I ადგილი; 1989 - ევროპის პირველობა, I ადგილი; 1990 - სსრკ პირველობა, I ადგილი; 1990 - მსოფლიო პირველობა, I ადგილი, 1991 - სსრკ პირველობა ახალგაზრდებში, I ადგილი; 1992 - დსთ-ს ჩემპიონატი, I ადგილი; 1993 - ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი, 1996 - ატლანტის ოლიმპიადა, III ადგილი; 1996 - ევროპის ჩემპიონატი, III ადგილი.

**დავით პოლოსიანი**. 1990 - მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, I ადგილი; 1990 - მსოფლიო პირველობა ჭაბუკთა შორის, I ადგილი; 1991 - სსრკ პირველობა, I ადგილი; 1992 - დსთ-ს პირველობა, I ადგილი; 1994 - ევროპის პირველობა, II ადგილი; 1997 - ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი; 1997 - ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, I ადგილი; 1998 - ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, I ადგილი; 1998 - ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი; 2000 - სიდნეის ოლიმპიადა, IV ადგილი; 2001 - მსოფლიო ჩემპიონატი, III ადგილი; 2004 - ალი ალიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, I ადგილი; 2006 - კიევის საერთაშორისო ტურნირი, I ადგილი; 2006 - მსოფლიო ჩემპიონატი, V ადგილი.

**ოთარ თუშიშვილი**. 1993 - მსოფლიო პირველობა ჭაბუკთა შორის, III ადგილი; 1995 -ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის, II ადგილი; 1996 - ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1996 - მსოფლიო პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1998 - ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1999 - ევროპის ჩემპიონატი, III ადგილი; 2001 - ევროპის ჩემპიონატი, III ადგილი; 2005 - მსოფლიო ჩემპიონატი, III ადგილი, 2006 - მსოფლიო ჩემპიონატი, II ადგილი.



გიორგი გოგშელიძე

**გიორგი გოგშელიძე**. 1998 - ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1998 - მსოფლიო პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1999 - ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 1999 - მსოფლიო პირველობა ახალგაზრდებს შორის, I ადგილი; 2001 - ევროპის ჩემპიონატი, II ადგილი; 2001 - კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირი, I ადგილი; 2001 - მსოფლიო ჩემპიონატი, I ადგილი (რუსეთის სახელით); 2002 -მსოფლიო თასი, I ადგილი; 2002 - ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი; 2003 - მსოფლიოს აბსოლუტური პირველობა, I ადგილი; 2006 - ევროპის ჩემპიონატი, III ადგილი; 2006 -მსოფლიო ჩემპიონატი, II ადგილი; 2006 - ბაქოს "ოქროს დიდი პრიზი", I ადგილი. 2006 წელს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) რეიტინგით, აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავედ.



ნუგზარ სხირელი

ნუგზარ სხირელის შრომის ნაყოფია სხვა მოჭიდავეთა წარმატებებიც. ესენი არიან: **თამაზ ინდუაშვილი** - ევროპისა და სსრკ პირველობებში გამარჯვებული; **ამირან ელბაქიძე** - 2001 და 2002 წლებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი; **ცოტნე ბარამიძე** - ევროპის პირველობის პრიზიორი ჭაბუკთა შორის; **გიორგი ბალიაშვილი** - ევროპის პირველობის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის; **ზაურ აბრამიშვილი** - ევროპის პირველობის პრიზიორი; **გიორგი მაყიშვილი** - ევროპისა და მსოფლიო პირველობების პრიზიორი; **არტურ მოდოსიანი და მნაცაკან არუთინიანი** - ევროპის პირველობის პრიზიორები ახალგაზრდებს შორის; **გოჩა ჩიხრაძე** - მსოფლიო პირველობის პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში; **იოსებ მომცელიძე** - 1998 წლის მსოფლიო პირველობის გამარჯვებული ახალგაზრდებს შორის; **ლევან ფილოიანი** - 2005 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიური ფესტივალის III პრიზიორი; **დავით ოქროპირიძე** - მსოფლიო პირველობის II პრიზიორი.

## თვის მონაცემები — იანვარი

**1. ფეხბურთი:** გოგა გახოკიძემ და ჰოლანდიურმა "ტვენტემ" ორმხრივი შეთანხმებით გაწყვიტეს კონტრაქტი. ქართველმა ფეხბურთელმა ქრონიკული ტრავმის გამო, სპორტიდან წასვლა გამოაცხადა.

**3. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა. გუნდმა ლატვიაში ევრო 2008-ის მე-3 შესარჩევ ჯგუფში 20:38 წააგო.

**4. ფეხბურთი:** **კლიმენტი წიტაიშვილი** კვიპროსულ გუნდს იცვლის, აელ-იდან აეკ-ში გადადის.

**5. ჭადრაკი:** მერაბ გაგუნაშვილმა ინგლისურ ჰასტინგსში მასტერსის ტურნირი მოიგო, 6-ათასგირვანქიანი საპრიზო ფონდით.

**6. კალათბურთი:** **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** სეზონის ბოლომდე სევილიის "კახა სან ფერნანდოში" გადავიდა.

**7. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ევრო 2008-ის მორიგი შესარჩევი მატჩი დათმო. ამჯერად, შინ ლატვიასთან 29:32.

**7. სუმო:** ტოკიოში დაიწყო წლის პირველი ბაშო, სადაც მეხუთე მაეგაშირას რანგში წარსდგა **ლევან ცაგურია (კოკაი)**.

**11. ფეხბურთი:** **ლევან ცქიტიშვილი** ჰოლანდიურ "ალკმაარში" სინჯებზე ჩავიდა.

**12. ხელბურთი:** ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა შინ რუმინეთის ნაკრებთან 24:34 წააგო.

**14. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა სტუმრადაც წააგო რუმინეთთან - 24:30.

**14. კალათბურთი:** შედგა **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** დებიუტი ესპანურ ACB ლიგაში, "კახა სან ფერნანდოს" მაისურით" პირველ მატჩში მან 3 წუთი ითამაშა.

**16. ფეხბურთი:** "ალკმაარმა" სინჯებზე მყოფ **ლევან ცქიტიშვილს** კონტრაქტი არ გაუფორმა.

**19. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა, ბულგარეთი შინ 22:21 დაამარცხა.

**19-20. ანტიკური ჭიდაობა:** ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ირაკლი ჭოჭუა** (55 კგ.), **რევაზ ლაშხი** (60), **მუხრან მაჭუტაძე** (66), **შმაგი სახლთხუციშვილი** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96) და **რევაზ ჭელიძე** (120).

**20. ფეხბურთი:** დსთ-ის თასის პირველ ტურში საქართველოს ჩემპიონი "სიონი" ლიტვის ჩემპიონ "კაუნასთან" 1:2 დამარცხდა.

**21. ფეხბურთი:** დსთ-ის თასის მეორე ტურში "სიონმა" თურქმენეთის ჩემპიონი დაამარცხა 2:1.

**21. კალათბურთი:** მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის თასის ფინალი რუსთავში: **„აზოტი“**-თსუ 95:75

**21. სუმო:** დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** იანვრის ბაშო უარყოფითი ბალანსით (7-8) დაასრულა.

**21. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთში 21:24 წააგო და ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

**21-22. თავისუფალი ჭიდაობა:** ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55 კგ.), **გიორგი ბალიაშვილი** (60 კგ.), **კობა კაკალაძე** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **ლერი ქეთიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120).

**23. ფეხბურთი:** დსთ-ის თასზე "სიონმა" 2:1 დაამარცხა ბელგრადის ოფკ, თუმცა ეს ჯგუფიდან გასვლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**26. სროლა:** მიუნხენის საერთაშორისო ტურნირი. **ნინო სალუქვაძემ** პნევმატური დამბაჩიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**26-27. ფიგურული ციგურაობა:** ევროპის ჩემპიონატზე ვარშავაში **ელენე გედევანიშვილმა** მერვე ადგილი დაიკავა, მოკლე პროგრამაში კი მესამე შედეგი აჩვენა.

**27-28. ძიუდო.** გაიმართა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (მსოფლიო თასი). ქართველმა სპორტსმენებმა ოქროს ოთხი მედალი მოიპოვეს: **ზაზა კედელაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი**. მეორე პრიზიორები გახდნენ: **გიორგი ბაინდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე** და **ლევან რაზმაძე**, ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს **დავით ასუმბანმა, მინდია ხომიზურმა, საბა გავაშელიშვილმა, ნოდარ მეტრეველმა, გიორგი ყიზილაშვილმა** და **ადამ ოქრუაშვილმა**.

**28. ფეხბურთი:** "ფრაიბურგის" მაისურით კარიერაში პირველი გოლი გაიტანა **ოთარ ხიზანეიშვილმა**.

**28. ანტიკური ჭიდაობა:** ფრანგულ კრეტეიში საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენებმა ოქრო (**ნოზაძე**), 2 ვერცხლი (**ბედინაძე, გოგიშვილი**) და ბრინჯაო (**ჭელიძე**) მოიპოვეს.

**29. კალათბურთი:** საქართველოს თასის ფინალში "ავიამ" რუსთავის "აზოტი" 83:79 დაამარცხა.

**31. ჩოგბურთი:** საქართველოს ნაკრების კაპიტანმა "დევისის თასის" მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა: **ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე.**

**31. ფეხბურთი:** **გოგიტა გოგუას** ბრიტანეთში თამაშის უფლება არ მისცეს, "ჰართსში" ტრანსფერი ჩაიშალა.

## კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრებები

# ახალგაზრდებს გაუმართლათ, კადეტები რთულ ჯგუფში მოხვდნენ

**ფიბა-ევროპის გენერალური მდივნის ნარ ზანოლინის ხელმძღვანელობით 2007 წლის ახალგაზრდული ტურნირების წილისყრა მოეწყო. გაირკვა ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრებების მეტოქეთა ვინაობა და მატჩების განრიგი.**

დავიწყოთ 20-წლამდელებით, რომლებსაც ევრო-2007-ზე **დავით უსტიაშვილი** უხელმძღვანელებს. შარშან სწორედ მისი ხელმძღვანელობით აღზევდა გუნდი პირველ დივიზიონში.

16 მონაწილე 4 ჯგუფად გაიყო. A ჯგუფი: სერბეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, სლოვენია; B ჯგუფი: თურქეთი, რუსეთი, საბერძნეთი, ლიტვა; C ჯგუფი: ესპანეთი, ისრაელი, მაკედონია, ხორვატია; D ჯგუფი: **იტალია, ლატვია, საქართველო, ბულგარეთი.**

მეტოქეთა ძალის შეფასებისთვის საბჭოურ ფრაზას გამოვიყენებთ - ჩვენთვის უსვრია "ავრორას". ლატვიასა და ბულგარეთზე სუსტი გუნდი ნამდვილად არ უნდა გვყავდეს, ხოლო იტალიელი ახალგაზრდები ტურნირის ფავორიტები არც ამჯერად იქნებიან. 1990 წლის შემდეგ მათ საუკეთესო შედეგი მეორე ადგილია, ისიც შორეულ 1994 წელს.

ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა გაისადაც A დიივზიონში (ანუ ევროპის პირველობაზე) თამაშის გარანტიას იძლევა. ოთხი ჯგუფის საუკეთესო რჩეული ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან განაგრძობს. მეორე რვეული ჯგუფში დასარჩენად ითამაშებს. მეორე დივიზიონში მე-15 და მე-16 ადგილებზე გასული გუნდები დაქვეითდებიან.



ახალგაზრდულმა ნაკრებმა შარშან მეორე დივიზიონში გაიმარჯვა

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შარშანდელი შემადგენლობა რომ გვყავდეს, მინიმუმ ნახევარფინალამდე მისვლას ნამდვილად მოვითხოვდით. მაგრამ **ცინცაძეს, სანიკიძეს, გამყრელიძეს** და **მარკოიშვილს** ასაკი მოემატათ და 20 წლამდელებს ვერ დაეხმარებიან. დავით უსტიაშვილს ახალი გუნდის შენება მოუწევს. ამიტომ, მეოთხედფინალში მოხვედრა კარგი შედეგი უნდა იყოს.

ახალგაზრდებისგან განსხვავებით, კადეტები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ. მათი მეტოქეც იტალია იქნება, მაგრამ როგორც ჯგუფის, ასევე ევროპის ჩემპიონატის ფავორიტი ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრებია, ევროპის მოქმედი ჩემპიონი.

16 გუნდი ჯგუფებში ასე განაწილდა. A **ჯგუფი: იტალია, ესპანეთი, საქართველო, სლოვენია;** B ჯგუფი: სერბეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ისრაელი; C ჯგუფი: ლიტვა, თურქეთი, პორტუგალია, უკრაინა; D ჯგუფი: ხორვატია, რუსეთი, ლატვია, საბერძნეთი.

საქართველოს 16-წლამდელთა გუნდს წელსაც გაწვრთნის **ნიკო ჩერქეზიშვილი**, რომელმაც შარშან ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზური მოაპოვებინა. გუნდის ლიდერი ისევ **ნიკა მეტრეველი** უნდა იყოს, რომელიც იტალიურ "სიმონიში" თამაშობს.

ქართველ კადეტებს ჯგუფიდან გასვლა კი გაუჭირდებათ, მაგრამ ლიგაში ადგილი მაინც უნდა შეინარჩუნონ. ამის თამამად თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ ტურნირში ჩვენზე სუსტი გუნდებიცაა - თუნდაც ჩეხეთი, ლატვია (ორი წლის წინათ, ევრო-2005-ზე ორჯერ მოვუგეთ) ან პორტუგალია.

გათამაშების ფორმატი ზუსტად ისეთივეა, როგორიც ახალგაზრდების ჩემპიონატისა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ნოვა გორიცა. სლოვენია**

6 ივლისი
**იტალია-ბულგარეთი**
**საქართველო-ლატვია**
7 ივლისი
**საქართველო-იტალია**
**ბულგარეთი-ლატვია**
8 ივლისი
**იტალია-ლატვია**
**საქართველო-ბულგარეთი**

**კრეტა. საბერძნეთი**

20 ივლისი
**ესპანეთი-საქართველო**
**იტალია-სლოვენია**
21 ივლისი
**საქართველო-იტალია**
**სლოვენია-ესპანეთი**
22 ივლისი
**იტალია-ესპანეთი**
**საქართველო-სლოვენია**

ევროტურნირები

# 19 ქულა კომპენსაციად

ევროთასის მეოთხე ტურში **ვახტანგ ნაცვლიშვილის** "დიჟონმა" ბოლონიის "ვირტუსთან" წაგების შემდეგ ფლეი ოფში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. არადა, ფრანგებმა ვატოს შემწეობით საშინაო მატჩი კარგად დაიწყეს, ბოლო პერიოდამდე გამარჯვების შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მეოთხე ათწუთეულში იტალიურმა გრანდმა 6:0 სპურტი მოაწყო, სამი მშრალი წუთის შემდეგ ანგარიში ნაცვლიშვილმა დაასველა, მაგრამ თანაგუნდელები მაინც ვერ გამოაფხიზლა - "დიჟონმა" 78:94 წააგო.

ქართველმა ფორვარდმა თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი, 34 წუთი ითამაშა, ყველაზე მეტი - 19 ქულა ჩააგდო (14-დან 7 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო), ყველაზე მეტი - 2 ჩაჭრა მიითვალა, რასაც 7 მოხსნა და 1 დაფარება მიამატა.

4 ტურის შემდეგ, I ჯგუფი. **1. ხირონა (ესპანეთი)-4 მოგება, 2. ვირტუსი (იტალია)-3 / 3. დიჟონი (საფრანგეთი)-1, 4. კალევი (ესტონეთი)-0.**

ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესმა" კვიპროსში სენსაციური მარცხი განიცადა - აელთან, 62:63. მაგრამ ამ წაგების მიუხედავად, ესპანელებმა ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნეს და მომდევნო ეტაპზე გასვლაც არ უნდა გაუჭირდეთ. ჩვენთვის რომ ვთქვათ, ვიქტორს თამაშიდან ერთადერთი ტყორცნა რომ გამოეყენებინა, "ესტუ" არ დამარცხდებოდა. სანიკიძემ 6 წუთში 1 მოხსნა, 2 ფოლი და 1 შეცდომა მოაგროვა.

I ჯგუფი. **1. ესტუდიანტესი (ესპანეთი)-3 მოგება, 2. აელ (კვიპროსი)-3 / 4. ლიეჟი (ბელგია)-1, 4. შიაულიაი (ლიტვა)-1.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველები NBA-ში

# პროგრესი: იანვარში დადებითი ბალანსია

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი** ყოველთვის, ყველა გუნდში, უსწრაფესი კალათბურთის მიმდევარია. ჰოდა, "გოლდენ სტეიტს" მისივე სტილით ეთამაშა "ატლანტა ჰოქსი" და თითქმის უდაცვო კალათბურთში სტუმრებზე გაცილებით შთამბეჭდავი სანახავი იყო.

"ატლანტამ" პირველ ნახევარში 70 ქულით მიმდინარე რეგულარულის გუნდური რეკორდი დაამყარა, დიდი შესვენების შემდეგ კი სტუმრები მხოლოდ 38 ქულას დააჯერა და მანამდე მოპოვებული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

**ზაზა ფაჩულიას** ორმაგ დუბლამდე ამჯერადაც ძალიან ცოტა დააკლდა. ზაზას ანგარიშზე თამაშიდან 4-დან 3, საჯარიმოს ხაზიდან კი 5-დან 4 ზუსტი საჯარიმო ტყორცნა იყო, რასაც ჩვენი ნაკრების ლიდერმა შეტევაში შესრულებული 2 მოხსნაც დაურთო.

უკვე შევეჩვიეთ, რომ "ატლანტის" სასტარტოში ცენტრად **ლორენცენ რაიტია**. მან ზაზასთან ერთად "გოლდენ სტეიტის" უნიჭიერეს პივოტს, ლატვიელ **ანდრის ბიედრინსს** არც ორმაგი დუბლი გააკეთებინა და ათ ქულამდეც არ აუშვა. რაიტმა ამჯერად დაცვაში შესანიშნავად ითამაშა, რაც ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "ჰოქსის" მთავარმა მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმაც** აღნიშნა.

ცალკე თემაა **ჯო ჯონსონი**, რომელიც ამ სეზონში კარიერაში ყველაზე შთამბეჭდავ კალათბურთს თამაშობს. "ატლანტის" მსროლელმა 33 ქულა დააგროვა და ამ რეგულარულში 30-ქულიანი ბარიერი უკვე მეთოთხმეტედ გადალახა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯოსა და მისი თანაგუნდელების თავდაჯერებული თამაშით "ატლანტამ" იანვარი მოგება-წაგების დადებითი ბალანსით დაასრულა, რაც **მაიკ ვუდსონის** ამ გუნდში ყოფნის სამი წლის განმავლობაში პირველად მოხდა. "ატლანტამ" 15-დან 8 შეხვედრა მოიგო. ჯორჯიელებს ბოლოს წაგებაზე მეტი მოგებით თვე 2004-ში დაუსრულებიათ, როდესაც აპრილში გუნდმა 7-დან 4 შეხვედრა მოიგო.

*"ყოველთვის ვამბობდი, რომ ადრე თუ გვიან პროგრესი ჩვენც დაგვეტყობოდა. სეზონის დასაწყისში ძალიან კარგ კალათბურთს ვთამაშობდით, მერე კი ბევრი რამ აირია, რაც, პირველ რიგში, ჩემი ბიჭების ხშირი ტრავმიანობით იყო გამოწვეული"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ვუდსონი. სხვათა შორის, "ატლანტამ" თვეში 8 და მეტი მოგება ამ იანვრამდე ბოლოს 2002 წლის მარტში გაიფორმა, როდესაც გუნდმა 16-დან მხოლოდ 7 მატჩი დათმო.

"ატლანტის" უსუსტესი თავდასხმა, რომელიც ერთ მატჩში საშუალოდ მხოლოდ 91.5 ქულას (ლიგაში ბოლოსწინა მაჩვენებელი) აგროვებს, დაუპირისპირდა "გოლდენ სტეიტს", რომლის შეტევაც 105.9 ქულით ლიგაში მესამეა. ამ მატჩამდე "ჰოქსს" მიმდინარე რეგულარულში ყველაზე მეტი ქულა 11 ნოემბერს დაუგროვებია, როდესაც "სიეტლთან" დამატებით დროში წაგებულ 112:113 შეხვედრაში "ატლანტის" ერთბაშად ექვსმა მოთამაშემ მოახერხა 10 და მეტი ქულის გაკეთება.

ზემოთ ერთ ნახევარში დაგროვილი 70 ქულა ვახსენეთ. "ატლანტას" პირველ მეოთხედში ამდენი ქულა 2005 წლის 18 დეკემბრის მერე არ გაუკეთებია. მაშინ გუნდმა "ნიუ იორკთან" 71 ქულა აილო.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა-გოლდენ სტეიტი 115:94**

30:29, 40:27, 22:19, 23:19

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (40 წთ. 33 ქ. 7 მ. 4 პ), მერვინ უილიამსი (32 წთ. 17 ქ. 4 მ. 2 პ. 2 ჩ. 1 დ), ლიუ (22 წთ. 13 ქ. 3 პ. 2 მ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (19 წთ. 4 ქ. 4 მ. 4 დ. 4 პ), ლ. რაიტი (17 წთ. 2 ქ. 7 მ. 1 პ. 1 დ) - ჩილდრესი (34 წთ. 23 ქ. 8 მ. 7 პ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (24 წუთი, 10 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 4 ფოლი)**, ჯ. რიჩარდსონი (7 წთ. 5 ქ. 1 მ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (23 წთ. 2 ქ. 2 მ), აივი (12 წთ. 2 ქ. 4 პ. 2 მ), მედვედენკო (1 წთ. 2 ქ. 1 მ), ს. ჯოუნსი (3 წთ. 2 ქ. 1 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (35 წთ. 21 ქ. 8 მ. 2 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (36 წთ. 17 ქ. 12 პ. 6 მ. 1 ჩ), ს. ჯექსონი (35 წთ. 17 ქ. 4 პ. 2 მ. 1 ჩ), მ. პიეტრუსი (22 წთ. 16 ქ. 1 მ), ბიედრინსი (34 წთ. 6 ქ. 9 მ. 3 დ. 1 ჩ) - ბარნსი (23 წთ. 6 ქ. 3 ჩ. 1 პ), აზუბუიკე (17 წთ. 4 ქ. 4 მ. 1 ჩ), იასიკიავიჩუსი (11 წთ. 3 ქ. 1 პ. 1 ჩ), მ. ელისი (10 წთ. 2 ქ. 1 მ. 1 პ. 1 ჩ), პაუელი (10 წთ. 2 ქ. 1 პ. 1 დ), ფოილი (2 წთ. უქულოდ, 1 ჩ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 05:24 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 04:32 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 03:58 | შეცდომა: 1 (3 წამის წესი დაარღვია) |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:35 | ორქულიანი: ბიედრინსმა დაუფარა |
| 11:16 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (32:31) |
| 08:53 | ფაჩულიაზე ს. ჯექსონი დააჯარიმდა |
| 08:53 | საჯარიმოები: 2/1 (3 ქ. 39:37) |
| 08:38 | ფოლი: 1 (ჰარინგტონზე დააჯარიმდა) |
| 08:07 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 07:57 | შეცდომა: 2 (მ. ელისმა ჩაუჭრა) |
| 07:47 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 05:28 | ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (50:42) |
| 05:28 | ფაჩულიაზე ს. ჯექსონი დააჯარიმდა |
| 05:28 | საჯარიმო: 6 ქ (51:42) |
| 03:33 | ფოლი: 2 (ბიედრინსზე დააჯარიმდა) |
| 03:33 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 04:56 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 04:39 | ჩაჭრა: 1 (ბიედრინსს ჩაუჭრა) |
| 04:37 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (88:69) |
| 03:43 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 03:12 | მოხსნა: 5 (შეტ: 1, დაც: 4) |
| 03:01 | ფოლი: 3 (ბარნსზე დააჯარიმდა) |
| 02:32 | შეცდომა: 3 (ბარნსმა ჩაუჭრა) |
| 00:57 | მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4) |
| 00:57 | ფაჩულიაზე ბარნსი დააჯარიმდა |
| 00:57 | საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 92:75) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:45 | მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5) |
| 10:35 | მოხსნა: 8 (შეტ: 2, დაც: 6) |
| 08:41 | ფოლი: 4 (ს. ჯექსონზე დააჯარიმდა) |
| 08:28 | მოხსნა: 9 (შეტ: 2, დაც: 7) |
| 06:04 | ფაჩულია უილიამსმა შეცვალა |



უტევს ზაზა ფაჩულია

**ზაზა ფაჩულია:** 41 მატჩი, 28.8 წუთი, 11.4 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.6 პასი, 1.1 ჩაჭრა, 2.4 შეცდომა, 3.6 ფოლი; **ატლანტა ჰოქსი:** 44 მატჩი, 17 მოგება, 27 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** 2 თებერვალი. ატლანტა-ტორონტო

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# იყო და არა თურქი...

**იუტა–სან ანტონიო 97:93**

**20:17, 25:30, 26:16, 26:30**

**იუტა:** ოქური (31 ქ. 11 მ), მილსეპი (15 ქ. 8 მ. 2 დ), დერონ უილიამსი (14 ქ. 7 პ. 6 მ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (27 ქ. 6 პ), დანკანი (25 ქ. 12 მ. 5 დ. 3 პ), ჯინობილი (10 ქ), ჰორი (10 ქ. 5 მ).

37 წუთი, 31 ქულა, 11 მოხსნა, 14-დან 10 ზუსტი სროლა, 2 შედეგიანი გადაცემა, არცერთი (!) შეცდომა და 3 ზუსტი სამქულიანი – აი, ასეთი შესანიშნავი (მეტი თუ არა) სტატისტიკით გამოიჩინა თავი "სპურსთან" პრინციპულ შეხვედრაში, "ჯაზის" თურქმა ცენტრმა, **მეჰმეთ ოქურმა**.

მეჰმეთმა უკანასკნელ მეოთხედში 14 ქულა დააგროვა და მასპინძლებმა თანაკონფერენციელი ოპონენტი თავიანთი საუკეთესო მოთამაშის, პირველი მექულისა და მომხსნელის - **კარლოს ბუზერის** (რომელსაც წინა 45 მატჩში 33 ორმაგი დუბლი გაუკეთებია და ვისი საშუალო მონაგარიც 22 ქულასა და 12 მოხსნას უტოლდება) გარეშე დაამარცხეს.

ოქურმა ბოლო წუთზე 8 (!) ქულა შესძინა "იუტას", რომელმაც ამ მოგებით ორმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულა.

*"კარლოსი ჩვენი გუნდის პირველი ვარსკვლავია და არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ "ჯაზის" წარმატებული თამაში, მეტწილად სწორედ კარლოსის კარგ გამოსვლაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, "სპურსის" დამარცხება ორმაგად მნიშვნელოვანია. თანაც, ბოლო წლებში ამ გუნდთან სერიოზული პრობლემები გვქონდა"*, - ამბობდა ნამატჩევს ოქური. სხვათა შორის, თურქმა ამ გუნდებს შორის გამართულ ორ შეხვედრაში, ბოლო წამებზე "იუტას" გამარჯვება მოუტანა. ეს ფაქტი ნამატჩევს არც "სპურსის" მთავარ მწვრთნელ **გრეგ პოპოვიჩს** გამორჩენია.

*"ოქურმა ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. დღეს ბევრი ბავშვური შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ კიდეც. მართალია, ფლეი ოფამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ ყველაფერი დროულად უნდა გამოვასწოროთ, რათა შემდგომში უსიამოვნო სიურპრიზები თავიდან ავიცილოთ"*, - მიაჩნია პოპოვიჩს.

მორიგი (ამ სეზონში 28-ე) ორმაგი დუბლი გამოჭედა **ტიმ დანკანმა**, რომელიც "ჯაზთან" ყოველთვის სოლიდური სტატისტიკით ასრულებს ხოლმე მატჩებს. ტიმი ამჯერადაც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გაცილებით მეტ ქულა-მოხსნას მოიხვეჭდა, მის წინააღმდეგ დაცვაში ახალბედა **პოლ მილსეპსა** და ბევრისგან მივიწყებულ **რაფაელ არაუხოს** კარგად რომ არ ეთამაშათ.

მასპინძლებმა ორივე ფარი დაიპყრეს და მაღალ, ათლეტურ "სპურს" მოხსნებში 50:32 აჯობეს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონამდე "სან ანტონიოს" წინა ექვსი რეგულარულიდან, "ჯაზისთვის" ხუთჯერ სეზონი მშრალად ჰქონდა მოგებული.

მილსეპმა მთელი ბოლო მეოთხედი ითამაშა და ორჯერ დანკანს ელემენტარულ სიტუაციაში დააშვებინა შეცდომა, რაც მისმა თანაგუნდელებმა 5 ქულაში (**დერონ უილიამსის** საშუალო გდება და **დერეკ ფიშერის** სამიანი) გარდასახეს.

*"სან ანტონიოს" ერთადერთ რამეში ვაჯობეთ – დღევანდელი თამაშის მოგება მათზე მეტად გვინდოდა, თუმცა, როდესაც ბოლო მეოთხედში მეტოქემ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი წინაც გავიდა, წამით გავიფიქრე, რომ ეს მატჩი წაგებული იყო"*, - განაცხადა ფიშერმა, ვისთვისაც "სპურსი", ჯერ კიდევ "ლეიკერსში" ყოფნიდან მოყოლებული, ყოველთვის ყველაზე პრინციპულ მოწინააღმდეგედ რჩება.

უკანასკნელი მეოთხედი მასპინძლებმა 71:63 უპირატესობით დაიწყეს, მაგრამ შეხვედრის განახლებას **ტონი პარკერის** "აფეთქება" მოჰყვა – ფრანგმა ფლეიმეიქერმა 7 წუთში 12 ქულა (სულ ბოლო მეოთხედში 14) გააკეთა და სტუმრებმა მისი ზედიზედ 2 ზუსტი სამიანით ანგარიში გაათანაბრეს (81:81).

ბოლო წუთებზე კი ოქურის ჯერი დადგა - თურქმა ბოლო 2 წუთსა და 13 წამში 8 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი დააგროვა. ამასთან ერთად, სტუმრები მასზე ორჯერ დაჯარიმდნენ და მეჰმეთმა ოთხივე საჯარიმო უშეცდომოდ შეასრულა. მოკლედ, ეს მისი სრული ბენეფისი იყო.

**მემფისი–დალასი 94:95**

**20:23, 13:17, 28:23, 33:32**

**მემფისი:** მ. მილერი (32 ქ. 3 პ), უორიკი (15 ქ), გასოლი (13 ქ. 13 მ. 2 დ).

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქ. 11 მ), ტერი (20 ქ. 6 პ), სტექჰაუზი (20 ქ), დემპიე (15 ქ. 8 მ), დ. ჰარისი (10 ქ. 3 პ).

"დალასმა" ამჯერადაც **ჯოშ ჰოვარდის** გარეშე (შვილი შეეძინა და გუნდს მომდევნო მატჩში დაეხმარება) ითამაშა, თუმცა **ეივერი ჯონსონის** ბიჭები იმდენად მაღალი დონის კალათბურთს თამაშობენ, რომ მათი დამარცხება, თუნდაც მეორე მექულისა და საუკეთესო დამცველის გარეშეც კი პრობლემატურია.

კვლავ არ წაუვიდა თამაში ტეხასელთა გერმანელ მეგავარსკვლავ **დირკ ნოვიცკის**, რომელმაც ამჯერად თამაშიდან 20-დან 12 სროლა გააფუჭა, თუმცა, როცა გუნდს ყველაზე მეტად გაუჭირდა, დირკმა, როგორც სჩვევია, სწორედ მაშინ იბობოქრა.

ნოვიცკიმ უკანასკნელ მეოთხედში 16 ქულა მოიმკო და რვავე საჯარიმო სროლა გამოიყენა, ხოლო **პაუ გასოლს** კი იმდენად შეუზღუდა სათამაშო სივრცე, რომ ესპანელმა ფორვარდ-ცენტრმა ბოლო 8 წუთში 4 სროლა მიჯრით გააფუჭა, საერთოდ კი მატჩი 17-დან ოდენ 4 ზუსტი საშუალო გდებით ჩაამთავრა. მისი გუნდი ბოლო 4 მატჩში მესამედ დამარცხდა.

**ტორონტო–ვაშინგტონი 119:109**

**28:17, 26:29, 43:34, 22:29**

**ტორონტო:** ბოში (34 ქ. 8 მ. 2 დ), კალდერონი (24 ქ. 11 პ), ბარნიანი (14 ქ. 4 პ. 3 მ), პიტერსონი (11 ქ. 2 დ), ნესტეროვიჩი (10 ქ. 6 მ. 3 დ).

**ვაშინგტონი:** არენასი (27 ქ. 5 პ. 4 მ), კ. ბატლერი (27 ქ. 7 მ. 5 პ), ა. დენიელსი (14 ქ. 5 პ), ჰეიესი (13 ქ), სტივენსონი (10 ქ).

**ორლანდო–მილუოკი 98:73**

**31:13, 25:16, 13:24, 29:20**

**ორლანდო:** თურქოღლუ (17 ქ. 4 მ), ბეტი (15 ქ. 6 მ), მილიჩიჩი (14 ქ. 10 მ. 4 დ. 2 ჩ), ბოგანსი (14 ქ. 7 პ. 5 მ), გ. ჰილი (12 ქ. 8 მ. 4 პ).

**მილუოკი:** მო უილიამსი (23 ქ. 3 პ), ბოგუტი (12 ქ. 7 მ. 4 პ), ჩ. ბელი (11 ქ).

**ატლანტა–გ. სტეიტი 115:94**

**30:29, 40:27, 22:19, 23:19**

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (33 ქ. 7 მ. 4 პ), ჩილდრესი (23 ქ. 8 მ. 7 პ), მერვინ უილიამსი (17 ქ. 2 ჩ), ლიუ (13 ქ. 3 ჩ), **ზაზა ფაჩულია (10 ქ. 9 მ. 1 ჩ).**

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (21 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბ. დევისი (17 ქ. 12 პ. 6 მ), ს. ჯექსონი (17 ქ), მ. პიეტრუსი (16 ქ).

**შარლოტი–ნიუ იორკი 104:87**

**26:30, 30:24, 22:18, 26:15**

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (42 ქ. 8 მ. 3 ჩ), ფელტონი (16 ქ. 10 პ), ა. მორისონი (11 ქ), დ. ანდერსონი (10 ქ. 5 მ. 4 პ), ოკაფორი (8 ქ. 15 მ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (28 ქ. 5 მ. 4 პ), კარი (15 ქ), ფრაი (13 ქ. 9 მ), ლი (10 ქ. 13 მ), ნ. რობინსონი (10 ქ).

**ბოსტონი–ლეიკერსი 98:111**

**23:35, 26:22, 24:26, 25:28**

**ბოსტონი:** გომესი (23 ქ. 7 მ), ჯ. გრინი (22 ქ. 5 პ), სკალაბრინი (17 ქ), ელ ჯეფერსონი (10 ქ. 14 მ), დელონტე უესტი (10 ქ. 9 პ. 4 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (43 ქ. 8 მ. 8 პ. 3 დ), ს. პარკერი (19 ქ. 2 ჩ). რადმანოვიჩი (13 ქ. 4 მ. 4 პ), ბინუმი (11 ქ. 6 მ), ოდომი (10 ქ. 9 მ. 4 პ).

**ნიუ ჯერსი–დეტროიტი 89:113**

**27:30, 24:32, 18:31, 20:20**

**ნიუ ჯერსი:** მური (20 ქ. 5 მ), კიდი (15 ქ), ე. ჰაუსი (14 ქ), მ. უილიამსი (14 ქ), ვ. კარტერი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (24 ქ), ბილაპსი (18 ქ), უებერი (17 ქ. 3 დ), მაქსიელი (16 ქ. 6 მ. 2 დ), პრინსი (13 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ).

**მინესოტა–საკრამენტო 98:100**

**22:26, 19:28, 29:26, 28:20**

**მინესოტა:** რ. დევისი (24 ქ. 7 მ. 2 ჩ), გარნეტი (18 ქ. 10 მ. 7 პ. 2 ჩ), ჰასელი (18 ქ. 5 მ. 5 პ), მ. ბლაუნტი (16 ქ), ფოიე (11 ქ).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (28 ქ. 7 მ. 3 ჩ), არტესტი (23 ქ. 6 მ. 3 პ. 3 დ), ბიბი (14 ქ. 5 პ. 4 მ), კენი ტომასი (8 ქ. 12 მ), ბრედ მილერი (9 ქ. 9 მ. 9 პ).

**ნ. ორლეანი–ფილადელფია 78:89**

**18:18, 16:27, 33:26, 11:18**

**ნიუ ორლეანი:** დევინ ბრაუნი (17 ქ. 4 პ), ჩენდლერი (10 ქ. 15 მ. 2 დ), მეისონი (10 ქ), დევიდ უესტი (10 ქ. 5 მ . 2 ჩ), რ. ბატლერი (10 ქ. 7 მ), პოლი (9 ქ. 4 პ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (22 ქ. 9 მ. 7 პ), ა. მილერი (14 ქ. 5 პ), ჯო სმიტი (12 ქ. 12 მ), ს. ჰანტერი (12 ქ. 10 მ), კორვერი (10 ქ).

**ჰიუსტონი–სიეტლი 112:102**

**31:29, 28:22, 26:31, 27:20**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (36 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ალსტონი (15 ქ. 9 პ), ჰედი (14 ქ), ჰეიესი (!2 ქ), ჯუვან ჰოვარდი (11 ქ), მუტომბო (10 ქ. 8 მ).

**სიეტლი:** რ. ალენი (36 ქ. 6 მ. 5 პ), კოლისონი (25 ქ. 17 მ), უოტსონი (10 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი–დენვერი 100:91**

**24:22, 16:20, 26:24, 34:25**

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (26 ქ. 17 მ. 3 ჩ), როი (25 ქ. 8 პ. 4 მ), ჯეკი (14 ქ. 8 პ), ოლდრიჯი (11 ქ. 6 მ), უდოკა (11 ქ).

**დენვერი:** ენტონი (33 ქ. 4 მ), კემბი (17 ქ. 8 მ. 5 პ. 2 დ), ნენე (14 ქ. 4 მ. 2 დ).

**კლიპერსი–ჩიკაგო 110:98**

**31:23, 26:22, 22:26, 31:27**

**კლიპერსი:** ბრენდი (26 ქ. 9 მ. 5 დ. 3 პ), ტიმ ტომასი (18 ქ. 10 მ), კასელი (18 ქ. 6 მ. 6 პ), მაგეტი (15 ქ), ლივინგსტონი (14 ქ), მობლი (11 ქ. 5 პ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (25 ქ. 10 პ. 4 მ. 3 ჩ), დენგი (17 ქ. 9 მ), გორდონი (17 ქ. 4 მ. 4 პ), მ. ალენი (12 ქ), ბ. უოლასი (8 ქ. 8 მ. 3 დ).

**ზურაბ თალაკვაძე**



სოლტ ლეიკ სიტის არენაზე მეჰმეთ ოქური ბატონობდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## შაქმა მორიგი ტრავმა მიიღო

"მაიამი ჰიტის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა, **შაკილ ო'ნილმა** მორიგი ტრავმა მიიღო. მოქმედი ჩემპიონის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოემბერში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მოედანზე სულ ახლახანს დაბრუნდა, ორი მატჩი ჩაატარა, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ისევ დაშავდა. შაქმა ის ფეხი იტკინა, რომელზეც, შარშან ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

"მაიამის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის - **რონ როტშტეინის** განცხადებით, ო'ნილმა ვარჯიში კოჭლობით დატოვა. მისი ტრავმის სერიოზულობის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## ჰორნეთს პოლი უბრუნდება

"ნიუ ორლეან ჰორნეთს" თვენახევრიანი შესვენების შემდეგ, შემტევი მცველი **კრის პოლი** დაეხმარება. გასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა ფეხის ტრავმა 26 დეკემბერს, "სიეტლთან" მატჩში მიიღო. ამ კვირას კი, მან გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში ჩაატარა.

*"ვგრძნობ, რომ მოედანზე გასვლა შემიძლია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი (ბაირონ სკოტი) მოცდას მირჩევს. ვფიქრობ, პარასკევს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში მომცემენ თამაშის საშუალებას"*, - ამბობს "ჰორნეთსის" ლიდერი.

## ბუზერის ტრავმა სერიოზული ყოფილა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "იუტა ჯაზის" ლიდერმა **კარლოს ბუზერმა**, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო.

სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბუზერს ძვალი აქვს გაბზარული და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. კერძოდ, კლუბის ექიმები აცხადებენ, რომ ფორვარდი მინიმუმ ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

კარლოსმა ტრავმა შაბათს, "ნიუ ორლეანთან" მატჩში მიიღო. აღსანიშნავია, რომ ბუზერი ამ სეზონში "იუტას" ლიდერია ორ სათამაშო კომპონენტში - ქულებსა (22.1) და მოხსნებში (11.8).

## მერილენდმა გიგანტი ჩინელი გაიფორმა

სტუდენტური კალათბურთის ლიგაში მოთამაშე "მერილენდმა", მსოფლიოში ყველაზე მაღალ კალათბურთელთან გააფორმა კონტრაქტი. ამ გუნდის რიგებში ჩაირიცხა ჩინელი **სან მინ მინი**, რომელიც 237 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 168 კილოგრამს იწონის. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ჩინელ გიგანტთან 1.5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

*"ჩემი ოცნებაა, ოდესმე NBA-ში ვითამაშო"*, - განაცხადა "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში სანმა.

## კამბალა დოპინგზე ჩავარდა

თურქეთის "ფენერბაჰჩეს" ლეგიონერი **კასპარს კამბალა** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. 13 დეკემბერს, ევროლიგაზე "არისთან" მატჩის შემდეგ აღებულმა დოპინგ-ტესტმა, დადებითი შედეგი აჩვენა. FIBA-ს წესების თანახმად, კამბალას დისკვალიფიკაცია ელის.

ლატვიელმა უკვე გამოტოვა ოთხშაბათს, ევროლიგის პირველი ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის მატჩი მოსკოვი ცსკა-ს წინააღმდეგ. კასპარს შეუძლია 10 დღის განმავლობაში FIBA-ს განმეორებითი ანალიზის ჩატარების თხოვნით მიმართოს.

28 წლის კამბალა, წლევანდელ ევროლიგაზე მე-14 პოზიციას იკავებს საუკეთესო ბომბარდირთა დავაში - მის ანგარიშზე საშუალო 15.8 ქულა და 5.1 მოხსნა მოდის. არადა, "არისთან" იმ ავადსახსენებელ მატჩში, "ფენერბაჰჩეს" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ძალიან ცუდად ითამაშა და მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა მხოლოდ 9 ქულა შეადგინა.

ჩოგბურთი

## სამპრასი ფედერერს რეკორდს უწინასწარმეტყველებს

"დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენი, ლეგენდარული ამერიკელი **პიტ სამპრასი**, ავსტრალიის ღია პირველობაზე შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მორიგ ტრიუმფს გამოეხმაურა. კერძოდ, სამპრასი დარწმუნებულია, რომ როჯერი მის რეკორდს დაამხობს. შეგახსენებთ, რომ ამერიკელის ანგარიშზე 14 სასლემო ტიტული მოდის.

*"შეხედეთ, როგორ თამაშობს ფედერერი. დარწმუნებული ვარ, ერთ-ორ წელიწადში, ის "დიდ სლემზე" ჩემზე მეტ ტურნირებს მოიგებს. სავარაუდოდ, როჯერი 17-18 ტიტულს დააგროვებს. დღევანდელ ტურში ორ ჩოგბურთელსაც ვერ იპოვნი, რომელსაც შვეიცარიელის შეჩერება შეუძლია. ის, უბრალოდ, ყველაზე ძლიერია"*, - განუცხადა BBC-ის ჟურნალისტს სამპრასმა.

შეგახსენებთ, როჯერ ფედერერს "დიდ სლემზე" 10 ტურნირი აქვს მოგებული.

## ბონდარენკო ავარიას გადაურჩა

მსოფლიო კლასიფიკაციის 29-ე ნომერი, უკრაინელი ჩოგბურთელი **ელენა ბონდარენკო** ავტოავარიაში მოყვა. ინციდენტი სამშაბათს, ხარკოვი-კიევის ტრასაზე, დილის 8 საათზე მოხდა. ავარიის შედეგად, ჩოგბურთელი არ დაშავებულა, სამაგიეროდ, სერიოზული დაზიანებები მიიღეს მანქანებში მსხდომმა სხვა ადამიანებმა.

ბონდარენკო "ფოლსკვაგენ-გოლფში" თავის მეგობართან ერთად იჯდა, რომელმაც ერთ მომენტში საჭე ვერ დაიმორჩილა, შემხვედრ ზოლზე გადავიდა და "მერსედესს" შეეჯახა.

ტრამპლინიდან ხტომა

## იან მაზოჰი სამშობლოში გადააფრინეს

ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელი **იან მაზოჰი** სიკვდილს გადაურჩა. როგორც იცით, ეს სპორტსმენი 10 დღის წინათ, პოლონეთში გამართული მსოფლიო თასის ეტაპის დროს დაეცა და თავის მძიმე ტრავმა მიიღო. გუშინ, მაზოჰი სპეციალური სამედიცინო ავიარეისით პრაღის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

პოლონელმა ექიმებმა, სპორტსმენი ხელოვნური კომის მდგომარეობაში გადაიყვანეს. კრაკოვის საავადმყოფოს პრეს-ატაშის - **ანა ნედზვედცკას** ცნობით, მაზოჰის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, რისი წყალობითაც გახდა შესაძლებელი მისი ტრანსპორტირება. უფრო მეტიც, ექიმები იმასაც ამბობენ, რომ თუ სურვილი ექნება, ჩეხს დროთა განმავლობაში შეუძლია ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობაც განაახლოს.

ინტერვიუ სტივ აიზერმანთან

# გრეტცკი ნაკრებში? რატომაც არა...

მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კანადის ნაკრების მზადების ციკლი, "დეტროიტ რედ უინგზის" ლეგენდარულ ჰოკეისტს, ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტ სტივ აიზერმანს ჩააბარეს. XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო ჰოკეიში ბატონობის (2002 წელს მოგებული ოლიმპიადა და ზედიზედ სამჯერ მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული) შემდეგ, კანადის ნაკრებს მორიგი ჩავარდნა ჰქონდა - შარშან, ტურინის ოლიმპიადაზე ამ გუნდმა ნახევარფინალში გასვლა ვერ შეძლო, მსოფლიო პირველობაზე კი, ტიტული შვედეთის ნაკრებს გადაულოცა. კანადის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრით, ქვეყნის ნაკრებს მორიგი წარმატებები სტივ აიზერმანმა უნდა მოუტანოს, რომელმაც გენერალური მენეჯერის პოსტზე ლეგენდარული უეინ გრეტცკი შეცვალა. ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ სტივის გენერალურ მენეჯერად დანიშვნის შემდეგ არის აღებული. მასში "დეტროიტის" ლეგენდა მომავალ გეგმებზე საუბრობს.



აიზერმანი კანადის ნაკრების მაისურით

**- თუ მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე, ახალ ამპლუაში თქვენი დებიუტი წარმატებული გამოდგა, რამდენად რეალური იქნება, 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზეც კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი იყოთ?**

- ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება, თუ ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობას შემომთავაზებენ, მაგრამ ამაზე ჯერ ადრეა საუბარი. თანაც, არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უეინ გრეტცკი, რომელიც 2002 წელს, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახდა. შესაძლოა, მან კვლავ მოინდომოს ნაკრების გენერალური მენეჯერობა. ხოლო, თუ მე მის შტაბში მუშაობას შემომთავაზებენ, ამაზეც სიამოვნებით დავთანხმდები.

**- მანამდე, უეინ გრეტცკი "ფინიქსს" წვრთნის. ხომ არ გეგმავთ ამ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მის ნაკრებში მთავარ მწვთნელად მიწვევას?**

- თუ უეინი თავისუფალი იქნება - რატომაც არა? მაგრამ, ფლეი ოფის საგზურებისთვის ძალიან დაძაბული ბრძოლა დაიწყო და ყველაფერი რეგულარულის ბოლო დღეებში გაირკვევა. ამიტომაც, ჩემპიონატის დამთავრებამდე, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობას არ გამოვაცხადებ. მანამდე, ბევრ კანდიდატურას განვიხილავ და მათთან წინასწარ მოლაპარაკებებს გავმართავ, რათა აქედანვე ვიცოდე ამ საკითხისადმი მათი დაინტერესების ხარისხი.

**- როდის დაიწყებთ ტელეფონის მეშვეობით იმ მოთამაშეების მოკითხვას, რომელთა კლუბებიც რეგულარულ ჩემპიონატში ბოლო ადგილებზე არიან?**

- ჰოკეისტებთან მოლაპარაკებებს მაშინ დავიწყებ, როცა რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე დაახლოებით სამი კვირა იქნება დარჩენილი. თუმცა, ზოგიერთებს უფრო ადრეც დავუკავშირდები. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, როცა მათი გუნდები ფლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს დაკარგავენ. მოლაპარაკებების პროცესი ისეთივე იქნება, როგორიც მწვრთნელებთან მიმართებაში - პირველ რიგში უნდა გავიგოთ, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად დიდია ამა თუ იმ ჰოკეისტის ნაკრებში თამაშის სურვილი. კანდიდატთა სიაც ამის მიხედვით დაკომპლექტდება.

**- ევროპულ ნაკრებებში ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის მოთამაშე, სხვადასხვა მიზეზის გამო, უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე. რამდენად სერიოზულად დგას ეს პრობლემა კანადაში?**

- რალა შორს წავიდე, მეც თავის დროზე, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ხუთჯერ გამომიძახეს ნაკრებში, მაგრამ სულ სამჯერ ვითამაშე. ბუნებრივია, ჰოკეისტებს უარის თქმის საპატიო მიზეზები აქვთ. პირველ რიგში, ეს არის ტრავმები. მეორე - პირადი გარემოებები, მაგალითად, ბავშვის დაბადება და მსგავსი მიზეზები. საერთოდ კი, მოთამაშეების გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, თუ რა სიტუაციაში თქვეს მათ უარი ნაკრებზე. NHL-ში სეზონი ძალიან გრძელი და მომქანცველია და ის ჰოკეისტები, რომლებიც სტენლის თასისთვის ბრძოლას ეთიშებიან, როგორც წესი, მორალურად დათრგუნულები არიან ხოლმე. ბევრს უჩნდება სურვილი, სადმე გადაიკარგოს და დროებით დაივიწყოს ჰოკეის არსებობა. ესეც, უარის თქმის სერიოზული მიზეზია.

**- და არ ეცდებით, ასეთ ჰოკეისტებს წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება გადააფიქრებინოთ?**

- რა თქმა უნდა, შევეცდები, მაგრამ ზომიერების ფარგლებში.

**- რა არგუმენტებით იხელმძღვანელებთ?**

- ავუხსნი, რომ ეს არის მათი კარიერის წინსვლის კიდევ ერთი შანსი. აგრეთვე შანსი იმისა, რომ უნიკალური ტურნირის მონაწილე გახდეს და თავის თანამემამულეებს დიდი სიხარული მიანიჭოს. "დეტროიტში" ჩემი ორი პარტნიორი - კრის დრეიპერი და კირკ მიოლტბი, ფლეი ოფში უმძიმესი ბრძოლების გადატანის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავიდნენ და კანადას ოქროს მოპოვებაში დაეხმარნენ. ამ გამარჯვებით მიღებული სიხარული მათ მთელი ზაფხული გაჰყვათ და გარდა ამისა, ორივე ოლიმპიურ ნაკრებშიც მიიწვიეს. ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ თუ ჰოკეისტმა მაინც უარი განაცხადა, მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ.

**- გენერალური მენეჯერობა ყოველთვის გსურდათ, თუ ეს იდეა ცოტა ხნის წინათ ამოგიტივტივდათ გონებაში?**

- ეს სამუშაო ყოველთვის მაინტერესებდა. NHL-ში თამაშს როცა ვიწყებდი, მაშინაც კი ვინტერესდებოდი გარიგებებით, შემადგენლობის ფორმირების პროცესითა და მოთამაშეების პროგრესის შეფასებებით.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე კანადის ნაკრების შემადგელობა მთლიანად NHL-ის მოთამაშეებით დაკომპლექტდება თუ იუნიორთა ლიგებსა და ევროპაში მოთამაშე კანადელების კანდიდატურებსაც განიხილავთ?**

- ასეთი იდეა მართლაც არსებობს. კანადელ იუნიორებსა და რამდენიმე ევროპელ ლეგიონერს კარგად ვიცნობ. დრო გვიჩვენებს. შეიძლება, რომელიმე ახალგაზრდისთვის გამოინახოს ადგილი შემადგენლობაში.

**- ბოლო შეკითხვა: რატომ დათანხმდით ამ სამუშაოს?**

- პირველი რიგში იმიტომ, რომ კანადელი ვარ. ნებისმიერი კანადელის ეროვნული ოცნებაა - თავისი ცხოვრება ჰოკეის დაუკავშიროს.

## TV სპორტი

**2 თებერვალი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რასინგი.
09:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი.
10:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 სპორტინფორმი.
11:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ბლუმინგი-სანტოსი.
13:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ჰერტა.
15:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო.
16:45 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-სარაგოსა.
18:30 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
18:40 ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.
19:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
19:36 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ვაშინგტონი.
22:25 სპორტინფორმი.
22:35 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი.
01:35 კრივი. რინგ-საიდი.
02:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-რეალი.
05:25 სპორტ-დოსიე
05:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლამბუსი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ალტენბერგი. გერმანია.
11:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია.
12:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. რუპოლდინგი. გერმანია.
14:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უნგრეთის გრან-პრი.
15:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა.
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. პოკლიუკა. სლოვენია.
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
18:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
22:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
01:00 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 სნოუბორდი.
02:30 ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:45 ველოსპორტი. კატარის ტური. VI ეტაპი. (LIVE).
16:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. იგლზი. ავსტრია (LIVE).
17:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. იტალია.
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
20:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავორია. საფრანგეთი (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა.
22:30 კიკბოქსინგი. ცვოლე. ჰოლანდია (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
01:45 კალათბურთი. ევროლიგა.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| იტალიის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი | |
|---|---|
| ინტერი-სამპდორია | 0:0 (3:0) |

| ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| სევილია-ბეტისი | 0:0 |

| თურქეთის თასი | |
|---|---|
| კაისერი-გალათასარაი | 0:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| მაკაბი-პანათინაიკოსი | 76:73 |
| ოლიმპიაკოსი-კიოლნი | 77:73 |
| პარტიზანი-უნიკახა | 90:94 (ო) |
| პროკომი-კლიმამიო | 78:84 |
| რომა-ციბონა | 81:58 |
| ტაუგრესი-ლე მანი | 86:54 |
| ხუვენტუდი-ოლიმპია | 82:86 |
| ეფესი-დინამო | 72:76 |

**ხელბურთი**

| მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| გერმანია-საფრანგეთი | დ.დ. 32:31 |
| პოლონეთი-დანია | დ.დ. 36:33 |

**ჰოკეი**

| გერმანია | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 1:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კალპა-ჰიფკ | 2:5 |
| კიეკო-ლუკო | 6:3 |
| ტაპარა-ტპს | 3:0 |
| ჰპკ-პელიკანსი | 4:4 |
| ესეტი-იუვასკიულა | 4:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ბრინასი-ფერიესტადი | 2:2 |
| ლულეა-მოდო | 3:0 |
| მალმიო-ტიმრა | 1:1 |
| მორა-აიკ | 6:4 |
| იურგორდენი-ფროლუნდა | 4:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| იუჟნი-ცაკლი | 6:4, 6:2 |
| ჟიკელი-სანტორო | 6:4, 3:6, 6:4 |
| კლემანი-დლუჰი | 6:4, 7:6 |
| კარლოვიჩი-ლოდრა | 4:6, 6:7 |
| ლუბიჩიჩი-კუბეკი | 7:6, 6:7, 6:4 |
| ტ. იოჰანსონი-ბრაჩიალი | უარი |

| ATP. ვინია დელ მარი | |
|---|---|
| გონსალესი-ალვეში | 6:2, 6:2 |
| ვასალო არგელო-პორტასი | 6:1, 6:1 |
| მონტანიესი-ერნანდესი | 6:3, 7:5 |
| ბერლოკი-ნავარო პასტორი | 7:6, 6:2 |
| ანდრეევი-ჰარტფილდი | 6:3, 3:6, 6:4 |

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| ჰაასი-ლუ | 2:6, 6:4, 6:3 |
| ბეკერი-ლევინი | 6:3, 6:3 |
| სპეიდი-სვიტინგი | 7:5, 6:4 |
| ჰაასი-კერი | 6:4, 7:5 |
| სანგინეტი-დელიჩი | 6:3, 4:6, 6:3 |

| WTA. ტოკიო | |
|---|---|
| იანკოვიჩი-ჟენგი | 6:4, 6:0 |
| ბრემონი-ვინჩი | 3:6, 0:6 |
| დემენტიევა-ლიხოვცევა | 6:3, 7:5 |
| ივანოვიჩი-სანტანჯელო | 4:6, 6:1, 6:2 |
| სუგიამა-კირილენკო | 3:6, 6:1, 6:3 |
| ნა ლი-სტოსური | 2:6, 4:6 |
| შარაპოვა-სკიავონე | 7:5, 2:6, 6:1 |

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# სუნდინი ტრადიციას არ ღალატობს

**ანაჰაიმი-ფინიქსი 2:1**

0:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 სიოსტრიომი-6 (ბალარდი-11), 1:1 მოენი-7 (კუნიტცი-23), 2:1 ე. მაკდონალდი-15 (სელიანე-31, პრონგერი-34).

**ჟან-სებასტიან ჟიგერისა** და **კრის პრონგერის** დაბრუნების შემდეგ, "ანაჰაიმმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ "ნეშვილთან" სამ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა.

თუმცა, "იხვებს" საკმაოდ გაუჭირდათ **უეინ გრეტცკის** გუნდის დამარცხება. პირველ პერიოდში გატანილი გოლის წყალობით, "ფინიქსი" კარგა ხანი ლიდერობდა, მაგრამ მესამე პერიოდის შუაში, სტუმრებს წუთნახევრიანი ჩავარდნა ჰქონდათ, რომლის განმავლობაშიც **კერტის ჯოზეფმა** ორი შაიბა მიიღო საკუთარ კარში. ამ გოლებამდე, ვეტერან მეკარეს 29 შაიბა ჰქონდა მოგერიებული.

"ფინიქსმა" ბოლო 9 შეხვედრაში მეექვსედ წააგო, არადა, მანამდე ამ გუნდმა შვიდმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო და გულშემატკივრებს ფლეი ოფში გასვლის იმედი ჩაუსახა. თუმცა, გრეტცკის შეგირდებისთვის ფლეი ოფში მოხვედრა მაინც ძნელი იქნება, ვინაიდან ისინი, დასავლეთის კონფერენციის მერვეადგილოსან "მინესოტას" 10 ქულით ჩამორჩებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ "ფინიქსს" "ანაჰაიმი" 2003 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ არ დაუმარცხებია.

"ანაჰაიმმა" ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა ლიგის ყველაზე შედეგიანი მცველის, **სკოტ ნიდერმაიერის** გარეშე.

**რეინჯერსი-ტორონტო 1:2**

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 შენეჰანი-26 (იაგრი-43, რახუნეკი-14), 1:1 პონიკაროვსკი-13 (სუნდინი-26, ტ. კაბერლე-34), 1:2 სუნდინი-20 (ი. უაიტი-18).

"ტორონტოს" შვედმა ფორვარდმა **მატს სუნდინმა** ტრადიციას არ უღალატა და ამ სეზონშიც შეძლო 20-შაიბიანი ზღვარის დაძლევა. ვეტერანი ევროპელი, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მე-16 სეზონს ატარებს და 16-ივე შემთხვევაში შეძლო 20 ან მეტი შაიბის გატანა. სულ, სუნდინს NHL-ში 1021 მატჩი აქვს ჩატარებული და 1213 ქულა დაგროვებული.

"რეინჯერსისა" და "ტორონტოს" დაპირისპირებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მატჩამდე, გუნდებს 54-54 ქულა ჰქონდათ და 9-10 ადგილებს იყოფდნენ. ახლა კი, კანადური კლუბი "ტამპა ბეის" დაეწია და მასთან ფლეი ოფის ბოლო საგზურისთვის საჭირო მერვე ადგილს იყოფს.

"ტორონტომ" ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ მოიგო, აქედან, ზედიზედ ოთხჯერ სტუმრად.

**ედმონტონი-კოლამბუსი 5:2**

1:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 რ. სმიტი-26 (მ-ა. ბერჟერონი-15, ჰემსკი-29), 2:0 ტორესი-9 (პიზანი-9, სტოლი-25), 2:1 ვიბორნი-11 (ე. კარტერი-15, ჰეინსი-17), 3:1 სიკორა-18 (რ. სმიტი-17, ჰემსკი-30), 3:2 მოდინი-12 (ბრული-6, ფრიტშე-12), 4:2 ტორესი-10 (სტოლი-26, პიზანი-10), 5:2 პიზანი-11 (რისონერი-12, ტორესენი-8).

"ედმონტონმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და მერვე ადგილზე მყოფ "მინესოტასთან" ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა.

კანადალებმა საკმაოდ იოლად მოუგეს "კოლამბუსს", რომელიც ბოლო ტურებში კარგ სპორტულ ფორმაში შევიდა - "ბლუ ჯეკეტს" ამ შეხვედრამდე ოთხმატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა.



სუნდინის გოლი რეინჯერსის კარში

## კალათბურთი

პორტრეტი

# კალათბურთის პელე

**კალათბურთში სხვადასხვა ყაიდის მოთამაშეს შეხვდებით - "შავი მუშიდან" დაწყებული, უნივერსალით დამთავრებული, რომელიც კალათბურთის ყველა ელემენტს შესანიშნავად ფლობს. არიან ისეთებიც, რომლებიც ერთ, კონკრეტულ ელემენტზე არიან სპეციალიზირებულნი - მაგალითად, დაფარებებზე, მოხსნებზე ან შედეგიან გადაცემებზე. მაგრამ, მთავარი ყურადღება, ყოველთვის და ყველგან იმ კალათბურთელებს ექცევა, რომლებსაც მხოლოდ ქულების მოტანა ევალებათ. ისინი ლიდერები, სნაიპერები არიან და ბუნებრივია, ყველაზე მეტად დაფასებულები არიან. იმსახურებენ კიდეც, ამ დაფასებას.**

**ერთ-ერთი ასეთი კალათბურთელია ყველა დროის საუკეთესო სნაიპერი, საკალათბურთო პელე - ოსკარ შმიდტი. ბრაზილიელი ლეგენდის საფირმო ფრაზა იყო: "არიან ადამიანები, რომლებიც როიალს დაათრევენ, მე კი იმათ რიცხვში ვარ, რომლებიც მასზე უკრავენ".**

**მაშ ასე, გავიცნოთ კალათბურთელი, რომელმაც თვით ქარიმ აბდულ-ჯაბარი მოიტოვა უკან.**

**ოსკარ შმიდტი** დღეს 48 წლისაა, აქედან 32 მან კალათბურთს მიუძღვნა. პროფესიულ დონეზე, ის 26 წელს თამაშობდა და კარიერა მხოლოდ ორი წლის წინათ დაასრულა. მაგრამ დღესაც, თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ, ოსკარს ისეთივე შემართება აქვს, როგორიც ახალგაზრდულ ასაკში. შმიდტი ამბობს, რომ ცხოვრების ბოლომდე სიამოვნებით ითამაშებდა, მაგრამ ისიც ესმის, რომ ეს შეუძლებელია. *"ახალი მუხლები, ორი-სამი თითისა და წვივის შეცვლა მჭირდება, სხვა მხრივ, ყველაფერი წესრიგში მაქვს"*, - ხუმრობს ოსკარი.

თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, შმიდტმა უამრავი კლუბი გამოიცვალა. 16 წლისა, მშობლიურ ბრაზილიაში "პალმეირასის" იუნიორთა გუნდში თამაშობდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ნელი და არც ისე ათლეტური ახალგაზრდა ბიჭი, ლათინოამერიკული კალათბურთის საუკეთესო მოთამაშე გახდებოდა. ამაზე არც შმიდტი ფიქრობდა. *"ეჭვი მეპარებოდა, რომ ოდესმე ბრაზილიის ნაკრებში მოვხვდებოდი. ჩემი წარმატება ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, ვინაიდან ჩემს თამაშში ბევრი ხარვეზი იყო"*, - ამბობდა ოსკარი.

მაგრამ გზა არჩეული იყო. ის აგრძელებდა ტყორცნის გაუმჯობესებაზე მუშაობას. ამასობაში, "პალმერასის" ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. 19 წლის ასაკში იუნიორთა შორის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო შემტევ მცველად დასახელდა და პირველად მიიწვიეს ბრაზილიის ნაკრებში. შმიდტი დაუღალავად ვარჯიშობდა და ყოველთვის იცოდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. *"უკეთესად გამომდიოდა შეტევაში თამაში. უარყოფითი მხარე იყო სუსტი დაცვა და ნაკლები მოძრაობა"*, - იხსენებდა მოგვიანებით შმიდტი.

ამის შემდეგ, ის ცოტა ხნით, კიდევ ერთ ბრაზილიურ კლუბში - "სირიოში" გადავიდა. ოსკარის თამაში ვითარდებოდა და უკვე ამ გუნდში, ის საკმაოდ ავტორიტეტულ მოთამაშედ იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 21 წლის გახლდათ. ბრაზილიის ჩემპიონატში, "სირიოს" შემადგენლობაში საშუალოდ 30 ქულას აგროვებდა.

1980 წელს, შმიდტმა მოსკოვის ოლიმპიადაზე ბრაზილიის ნაკრებს მეხუთე ადგილი დააკავებინა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა იტალიურ კლუბ "კოზერტასთან", რომლის შემადგენლობაშიც ის ლეგენდად იქცა. ის გახდა სერია A-ს პირველი მოთამაშე, რომელმაც კარიერაში 10-ათასქულიან ზღვარს გადააჭარბა, აგრეთვე, იტალიის პირველობის რეკორდსმენი გახდა ერთ მატჩში დაგროვილი ქულების რაოდენობით - 66! იტალიაში გატარებული 11 წლის განმავლობაში, ოსკარი ყოველთვის ლიდერი იყო შედეგიანობის მხრივ - საშუალოდ მატჩში 34.6 ქულას აგროვებდა. მან კიდევ ორი სეზონი ესპანეთში ითამაშა და სამშობლოში დაბრუნდა.

*"იტალია სამუდამოდ დარჩა ჩემს გულში*, - ამბობდა ბრაზილიაში გამგზავრების წინ ოსკარი. - *აქ რომ ჩამოვედი, პატარა ბიჭი ვიყავი, ახლა კი, ორი შვილი მყავს, ოთხი ენა ვიცი. რაც მთავარია, უმაღლესი დონის კალათბურთი ვითამაშე"*.

და ეს ყველაფერი არ არის, რასაც შმიდტმა ამ პერიოდში მიაღწია. მან სამ ოლიმპიადაზე ითამაშა, 1984 და 1988 წლებში ამერიკის თასის მფლობელი გახდა. გარდა ამისა, 1987 წლის პანამერიკულ თამაშებზე ბრაზილიის ნაკრების გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა. მაშინ, ბრაზილიამ ინდიანაპოლისში 120:115 დაამარცხა აშშ-ის ნაკრები. მანამდე, ამერიკა ამ ტურნირის ზედიზედ 34-გზის ჩემპიონი იყო. იმ მატჩში შმიდტმა 46 ქულა დააგროვა, ძირითადად სამქულიანებით. უნდა ითქვას, რომ აშშ-ის მაშინდელ შემადგენლობაში, NBA-სა მომავალი ვარსკვლავები - **დევიდ რობინსონი, დენი მენინგი** და **პერვის ელისონი** ირიცხებოდნენ, მაგრამ მათ ვერაფერი დაუპირისპირეს ლეგენდარულ სნაიპერს.

1984 წელს, შმიდტი NBA-ში მიიწვიეს (ის "ნიუ ჯერსის" ჰყავდა დრაფტზე აყვანილი). მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში გადასვლა მას მოგვიანებითაც შეეძლო, მაგრამ მაშინ, საკალათბურთო წესები ერთდროულად NBA-ში და ბრაზილიის ნაკრებში თამაშს კრძალავდა. ოსკარმა თავისი ნაკრების ღირსება პირად კარიერას მსხვერპლად ვერ შესწირა და შეთავაზებაზე უარი განაცხადა. მაგრამ, მის უარს სხვა მიზეზიც ჰქონდა. მან კარგად იცოდა თავისი ნაკლოვანებები და ხვდებოდა, რომ NBA-ში მისი ნიჭი სრულად ვერ გამოვლინდებოდა. ხოლო მოედანზე 5-10 წუთით გასვლა, როგორც ამას მისი მეგობარი, ბულგარელი ცენტრი **გეორგი გლუშკოვი** აკეთებდა, ოსკარს არ სურდა.

თუმცა, საერთაშორისო ტურნირებზე NBA-ის მოთამაშეებთან შეხვედრა მას არაერთხელ მოუწია. 1996 წლის ოლიმპიადაზე ის ვერც **გრანტ ჰილმა**, ვერც **სკოტი პიპენმა** და ვერც **პენი ჰარდუეიმ** ვერ შეაჩერეს. Dream Team-ის წინააღმდეგ მან 26 ქულა დააგროვა. თანაც, მაშინ ოსკარი 38 წლის იყო!

ის დეკადა შმიდტმა ბრაზილიურ გუნდებში - "კორინთიანსში", "მაკენზისა" და "ბარუერიში" გაატარა, სადაც საშუალოდ მატჩში 41 ქულას აგროვებდა. ბოლოს, შეუდარებელი სნაიპერი რიო დე ჟანეიროს "ფლამენგოს" ღირსებას იცავდა. ოსკარი თანაგუნდელების უმრავლესობას მამად ეკუთვნოდა და არავის გაკვირვებია, რომ 2002-03 წლების სეზონის შემდეგ, კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

"ღმერთის ხელის მფლობელის" (ასე შეარქვეს მას გულშემატკივრებმა) კარიერაში, უამრავი სტატისტიკური რეკორდის პოვნა შეიძლება. მათ შორის არის ოლიმპიადის რეკორდი, ერთ მატჩში დაგროვილი ქულების რაოდენობით (1988 წელს, 55 ქულა ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ). ან კიდევ, ანალოგიური რეკორდი მსოფლიო ჩემპიონატებისთვის - 1990 წელს, ავსტრალიის ნაკრების კალათში ჩაგდებული 52 ქულა.

სულ, მთელი კარიერის განმავლობაში, ოსკარ შმიდტმა 49 703 ქულა დააგროვა, რითაც, ამ სიაში მანამდე ლიდერად მყოფ **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** გაუსწრო (46 723). ბრაზილიელი მონაწილეობდა ხუთ ოლიმპიადაზე (აქედან სამჯერ, ის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა) და ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე. ოსკარ შმიდტი ერთადერთი კალათბურთელია, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე 1000-ზე მეტი ქულა (სულ 1093) აქვს დაგროვებული. ამ შედეგს, უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში ვერავინ გააუმჯობესებს. სრულიად შესაძლებელია, ის საერთოდ ვერავინ გააუმჯობესოს. ყველაზე შთამბეჭდავად, შმიდტმა მაინც სეულის ოლიმპიადაზე (1988) ითამაშა - მან 8 მატჩში 338 ქულა დააგროვა, რამაც საშუალოდ შეხვედრაში 42.3 ქულა (!) შეადგინა.

კალათბურთი მისი ცხოვრება იყო. 13 წლის გახლდათ, როცა ეს თამაში შეიყვარა. ის ცხოვრობდა და სუნთქავდა კალათბურთით. მას სისხლში ჰქონდა ეს თამაში. *"ჩემი კარიერა, წარმატებები, რეკორდები, მეგობრები, ფული - ეს ყველაფერი კალათბურთის წყალობით მაქვს"*, - ამბობს შმიდტი.

თამაშს თავი კი დაანება, მაგრამ სპორტის ამ სახეობას ბოლომდე მაინც ვერ დაშორდა და ბრაზილიის კალათბურთის ფედერაციაში დაიწყო მუშაობა. ოსკარს სურს, რომ ეს თამაში მის ქვეყანაში კიდევ უფრო პოპულარული გახდეს და რომ ბრაზილიის ნაკრებმა დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს. და სანამ, შმიდტი ფედერაციაში ამაზე ზრუნავს, შეიძლება დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ ეს საქმეც კარგად გამოუვა.



ოსკარ შმიდტი

## კრივი



ოქროს ბიჭმა არჩევანი გააკეთა

დიდი ბრძოლის წინ

# ოსკარს როუჩი გაწვრთნის

**ოსკარ დე ლა ჰოიას** ძალიან უნდა **ფლოიდ მეივენზერ უმცროსის** დამარცხება. მასთან ბრძოლას თავისი კარიერის უმნიშვნელოვანეს მოვლენადაც კი აფასებს, მაგრამ გამარჯვების საფასურად თავისი აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის, **ფლოიდ მეივეხერ უფროსის** ოჯახის დანგრევას არ აპირებს. სწორედ ამიტომ, ცოტა ხნის წინათ მან უარი თქვა უფროსი ფლოიდის სამსახურზე და მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი **ფრედი როუჩი** აიყვანა.

*"ჩემთვის ძალიან უხერხული იქნებოდა, ფლოიდს რომ მისი შვილის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მოვემზადებინე. როცა გადაწყვეტილება მივიღე, ბევრმა ცნობილმა მწვრთნელმა შემომთავაზა ჩემთან მუშაობა, რამაც ძალიან დამაბნია, რადგან მათ შორის არჩევანის გაკეთება ძნელი საქმე იყო. თუმცა, ფრედისთან შეხვედრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ის კაცია, ვის ჩემს ამალაში ყოფნასაც ყველაზე მეტად ვისურვებდი. მარტო მისი მიღწევებიც ლაპარაკობს იმაზე, რომ მასთან მუშაობას ჩემთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ჰოდა, ახლა მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა სავარჯიშო დარბაზში შევალ და იქ ფრედი დამხვდება"*, - ამბობს 33 წლის დე ლა ჰოია, ვინც მეივეზერთან ბრძოლისთვის მზადებას პუერტო რიკოში, 1 მარტს შეუდგება.

როუჩი ერთ დროს თავადაც მოკრივე იყო და პროფესიული კარიერა 1986 წელს დაასრულა (მოკრივეობისას მას ლეგენდარული **ედი ფატჩი** ავარჯიშებდა.), რის შემდეგაც სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და ამ დროის განმავლობაში, 18 ჩემპიონს ავარჯიშებდა. ამ ჩემპიონებს შორის ყველაზე გამორჩეულები არიან **მაიკ ტაისონი, ჯეიმს ტონი, ვირჯილ ჰილი, ისრაელ ვასკესი** და **უეინ მაკკალოხი**. ამჟამად როუჩის შეგირდთაგან ყველაზე გამორჩეული ფილიპინელი **მანი პაკიაოა**.

*"მიხარია, რომ ამ ბრძოლისთვის ოსკარის მომზადების საშუალება მექნება. ეს დიდი პატივია და რაც მთავარია, უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც არამხოლოდ ოსკარის წინაშე, არამედ მთლიანად, კრივის წინაშეც მეკისრება. რაც შემიძლია, ყველაფერს ვიზამ იმისთვის, რომ ოსკარი ამ ბრძოლას საუკეთესო ფორმაში შეხვდეს"*, - ამბობს როუჩი.

დე ლა ჰოიასა და მეივეზერის ბრძოლას საკრივო სამყარო მოუთმენლად ელის. მოსალოდნელია, რომ საკაბელო ტელეარხები კლიენტების მოზიდვის რეკორდებს მოხსნიან. ამას კი ამ ორი მოკრივის დიდი ავტორიტეტი განსაზღვრავს. მაგალითად, დე ლა ჰოიას (38-4, 30 ნოკაუტი) 6 სხვადასხვა წონაში (ყველგან, სადაც გამოვიდა) აქვს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის წოდება და კარიერაში არაერთი სახელოვანი მოკრივე დაუმარცხებია. რაც შეეხება მეივეზერს (37-0, 24 ნოკაუტი), ტიტულების ნაკლებობას არც ის უჩივის - ოთხ წონაში ყოფილა ჩემპიონი. რაც მთავარია, აქამდე წაგების სიმწარე არ უგემია. ამჟამად ის WBC-ს ვერსიით, როჭოს წონის ჩემპიონია.

## ფორმულა 1

### ალონსო ბადოერს დაეჯახა

მასობრივი ტესტების პირველივე დღეს, ინციდენტი მოხდა "ფერარისა" და "მაკლარენს" შორის. ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** გზა ვერ გაიყო **ლუკა ბადოერთან** და ის ტრასის მიღმა გადააგდო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ალონსოს "მაკლარენი" ოდნავ შეეხო ბადოერის "ფერარის" და ამის გამო, ორივეს ბოლიდს მექანიკური პრობლემები შეექმნა.

იმ დღის ტესტების დასრულების შემდეგ კი, ასეთი შედეგები დაფიქსირდა: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ალონსომ პირველი ადგილი დაიკავა და უახლოეს მდევარს თითქმის წამი მოუგო.

### უილიამსმა გამოცდილი ინჟინერი დაკარგა

მოახლოებული სეზონის წინ, ფორმულა 1-ის გუნდ "უილიამსის" წამყვანი ინჟინერ-კონსულტანტი - **ფრენკ დერნი** ბრიტანული საჯინიბოს რიგებს ტოვებს. გუნდიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება, მან "უილიამსის" შეფობასთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო.

ფრენკ დერნი "უილიამსში" 80-იანი წლებიდან მუშაობდა. მაშინ, ის ბოლიდების აეროდინამიკულ მახასიათებლებზე იყო პასუხისმგებელი და იმ პერიოდში, "უილიამსის" პილოტებმა სამჯერ მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატი. ამის შემდეგ, დერნიმ "ლოტუსის" ტექნიკურ დირექტორად მუშაობაც მოასწრო, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო სხვა გუნდების ბოლიდების შექმნაში. 2003 წელს კი, "უილიამსში" ინჟინერ-კონსულტანტის სტატუსით დაბრუნდა.

## ჰოკეი

### კალგარის ორი ფორვარდი გამოაკლდა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ტურის შემდეგ, "კალგარი ფლეიმზი" ორი წამყვანი ჰოკეისტის გარეშე დარჩა. თავდამსხმელი **ჩაკ კობესიუ** იდაყვის ტრავმის გამო ოთხი კვირა ვერ შეძლებს თამაშს, ხოლო მის თანაამპლუელ **დარენ მაკკარტის** ბარძაყზე ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაკკარტი დაახლოებით თვენახევარი იქნება იძულებით შვებულებაში.

### მესიეს გენერალური მენეჯერობა მოუნდა

ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი **მარკ მესიე** ჰოკეიში დაბრუნებას აპირებს. მას განზრახული აქვს, NHL-ის რომელიმე კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტი დაიკავოს. ამ ინფორმაციას სააგენტო AP ავრცელებს.

*"მოუთმენლად ველი ჰოკეიში დაბრუნებას - ოღონდ, არა მოთამაშის სტატუსით. ჩემი გეგმების შესახებ ფიქრი, გასული წლის ზაფხულში დავიწყე. ვფიქრობ, საკმარისი გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ ლიგის რომელიმე გუნდს გამოვადგე"*, - განაცხადა მარკ მესიემ.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ზალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა